

NEW

საქართველოს
სამთხუამდებო
მინისტრი

№ 8 (26) აგვისტო, 2015 წელი

ფურ 25 ლიან
ეროვნული
გიგანტი

1970
2015

უკანასკნელი

ნომრის ავტორები
ბესო ხველეული & ლამ მა

პოვის
ერეა არჩევაში
ამაროვნი მილეაში

პროზა
ნიკა ჩატაშვილი
იუნივერსიტეტი
მიმო ტატაცვილი

პრიზის
ლალა კოლაცაშვილი

უკანასკნელი

马俊杰



ასალი თარგმანები
როლან ბარბე
ჯონ ადამიკი

არტი
გიორგი გაგოშიძე



საგიზიტო ბარათები; მოსაწვევები და მისალოცები; დიპლომები; სერთიფიკატები; ბროშურები; ფლარები; ბუკლეტები; გატალოგები; მენიუები; კალენდრები; პოსტერები ბლანკები; კონვერტები; ბლოკნოტები; CD/DVD შეფუთვა ნებისმიერი სირთულის ყეთები; ასევე ყეთებზე ბეჭდვა; ყველა სირთულის კვეთები; ეტიკეტები და სხვა თვითწებადი პროდუქტები; ბილეთები; აფიშები, ბანერები, გიტრინების და აფტომობილების გაფორმება; საათების ბრენდირება; ბეჭდვა ოქროს და ვერცხლის ფოლგაზე, ნატურალურ ტილოზე; პლასტიკური ბარათებზე ბეჭდვა; მაისურებზე, ჩანთებზე, კალმებზე ბეჭდვა

ქუთათელაპის 8. ტელ.: 597 39 55 87; 2 39 55 87; 2 14 12 14 innostd@gmail.com



საქართველოს ეპლიტანია
და ძალიან დაცის სამინისტრო

ქურნალი გამოიის საქართველოს
კულტურისა და ეგზოგრაფიკის
მხარდაჭერით



ცოგრის ავტორები

ბესო ხვედელიძე

ეპა შევანიშვილი – ბესოს გასხივოსნება 3
პესო ხვედელიძე – კორეული სანდლები 7
ამონარიდები (შოთა იათაშვილი, გიორგი კაკაბაძე) 12-13

ლამ მა

ავტორის შესახებ 14
ლამ მა – ნოველები (თარგმნა ხატია გაგნიძემ) 17

1

პოეზია

ქოქა არჩევაძე 29
ამპროსი მელქაძე 32

2

პროზა

ნაირა გელაშვილი – „ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე...“
(ფრაგმენტი რომანიდან) 34
იუნინა გურული – მგლების ხორუმი 61
მიშო ტატანაშვილი – 675 მილიამპერი საათში 65

3

კრიტიკა

ლელა კოდალაშვილი – სპარსული პოეზიის
კრებული ქართული პოეტური
თარგმანების ღარიბ თაროზე 69

4

პროექტის ავტორი:
ვაჟა წოდეოლაშვილი
ვაჟა წოდეოლაშვილი
მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაშვილი
რედაქტორი-სტილისტი:
ლელა კოდალაშვილი

ახალი თარგმანები

როლან ბარტი – მითოლოგიები
(ფრანგულიდან თარგმნა მარინა ბალავაძე) 72
ჯონ აკლაიპი – მზერა
(ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან თუხარელმა) 76

5

დიზაინი და დაკაბადონება:
ნიკა ხველელიძე

სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე
გის ექვირსავ
დათო ჭურაშვილი
ეკა ძევანიშვილი
ზურა გათირიშვილი
დავით ჩიხლიძე
გის დალური

ართი

გიორგი გაგოშიძე – ბებერი ბოზის პეტეროგენული
სახეები და მასზე შეყვარებული თითზე
ჩამოსათვლელი იდიოტები 79

6

ნომერზე მუშაობდნენ:
ეკა ძევანიშვილი
გასო ხველელიძე
საჭის გაგიძე
კოკა არჩვაძე
ამპროსი მელქაძე
ნაირა გელაშვილი
იუნენა გურული
მიშო ტატანაშვილი
ლელა კოდალაშვილი
მარინა პალავაძე
ეკოევან თუხარელი
გიორგი გაგოშიძე

გამოცემლობა – „საუნჯე“

მის.: პლ. ყაზაეგის 32/34

ტელ.: 2141214, 2395587, 2397188

Skype: saunje-saunje

ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com

Facebook: გამოცემლობა საუნჯე/Saunje publishing <http://www.facebook.com/saunjee>

www.saungeo.ge

პესოს გასხივოსნება

ეკა ქევანიშვილი

ვიჯეექი და ვფიქრობდი, რა ვუყო ბესოს. სათაური ტექსტზე ადრე მოვიდა. შევყურებდი ამ სათაურს და თეთრ სივრცეს კომპიუტერის ეკრანზე. წინ გრძელი დღე მედო, ადრე ადგომით, სამსახურში გავარდნით, იქ ჩინეთში მთავრობის ვიზიტზე რეპორტაჟით, მერე სახლში მოვარდნით, კერძის მომზადებით და კომპიუტერში სანახავად ჩატვირთული სერიალით. აი, ასე ვიჯეექი და ვფიქრობდი, რა ვუყო ბესოს. ვფიქრობდი რუტინაზე და უცებ მიხვდი, ალბათ ბესოც ასე ფიქრობდა. წერდა, მუშაობდა, წერდა, ლიტერატურულ საღამოებზე დადიოდა, წერდა, მუშაობდა. ასე იყო ერთ დღეს, მერე მეორე დღეს, მერე მესამე დღესაც. მეოთხე დღეს კი ადგა და წეპალში წავიდა. ასე გაექცა რუტინას და იპოვა სახლი.



ცეკალი, ნამასტე

არა, ახირებას ვერ დაარქმევ ამ წასვლას. აღრეც ხშირად გაქცეულა. მიზეზს რა დალევდა, მაგრამ სივრცე. ხო, აი ეს ჩაკეტილი სივრცე და კაქტუსივით სახლში ჯდომადებადგომადება რომ აღარ გინდა. ჰაერიც რომ არ გყოფის და საღმე უნდა გატერე და გარბიხარ. საზღვარს აბიჯებ - ასე იყო ბესო ხვედრელიძეც. მოკლეხნიანი გადაკვეთები, ისევ უკან რომ პრუნდები, ეგეთი. „თითქოს ამ ქეყნებს თავისი ვადა ჰქონდათ“. აი, წარმოიდგინეთ: გერმანია, ვადა 5 დღე. რაღაც

ამგვარი. ვადის გასვლის შემდეგ დაგემართებათ ნოსტალგია, სამშობლო, სახლი. იყო ერთკვირიანი და ერთთვიანი ქეყნებიც, სულ ალბათ - 25. და იყო ნეპალი.

„სადაც, ფეხი დავდგი თუ არა, მახსოვს, რომ ისტერიკული სიცილი ამიგარდა. რომ არ იცი, რაზე გეცინება, მაგრამ ხვდები, რომ სიხარულის სიცილია და ართოუ ვადა არ ჰქონდა იქაურობას, ისეთ ენერგეტიკას და აურასა ატარებდა, ჩემს თავს ვუთხარი, ეს არის ქეყანა, სადაც შემიძლია მოვკვდე-მეოქი“.

ეს იყო ნეპალი. ამბავი კი დაახლოებით 3 წლის წინ იწყება. ცოტა მეტა, ცოტა ნაკლები. მერე და მერე, დღეები რომ გადიოდა, ირწმუნებოდა, რომ არ ცდებოდა - სახლში იყო. აღარ ახსოვდა, სხვა სახლიც თუ გააჩნდა სადმე. არც ეიფორია ყოფილა, პირიქით, ეს იყო ზუსტი შეგრძნება - სახლის მიგნების. ადგილის, სადაც თავს გრძნობა კარგად - შინაგანად, სული-

ერად, ფიზიკურად, ქიმიურად და ყველანაირად. მშვიდად, რეალიზმულად.

„საკუთარი ადგილის პოვნა ჰქევია ალბათ მაგ შეგრძნებას. კარლოს კასტანედას თქმის არ იყოს, „ძალების ადგილი“. ასე-თია ნეპალიც – სადაც იქრევ ძალას და ივსები. რაღაც ისეთი შეგრძნება იყო, თითქოს საბურავით ვულკანიზაციაში მიგოტანეს და დაგბერეს“.

თოთხმეტჯერ წავიდ-წამოვიდა. მეთხუთმეტე წასვლა წინაა. ნეპალში ერთხელ ნამყოფები არ არსებობენ, ნეპალს ყველა უბრუნდება, აბბობს. იმ დიდი მინისტერის დროსაც იქ იყო, 2015-ის აპრილში. რასაც ხალხი მთელი მსოფლიოდან ბუზებივით ეხვერდა, სტიქიამ გაანადგურა. მერე ბესოც ყველა იქ მყოფებან ერთად ალაგებდა, ასულთავებდა, მინას ყრიდა, ხალხს ეხსარებოდა. მეორე, განმეორებითი მიწისძვრის დროს სამ ადამიანთან ერთად იდგა ერთ-ერთ შენობის სახურავზე და უყურებდა, როგორ ჩამოიქცა მათ თვალინის სხვა შენობა. მეორედ გადარჩნენ. ეგ ადგილი როგორ უნდა მივაჭოონ. და კიდევ სხვა ბევრი მიზეზიც არსებობს დაბრუნებით – ენერგეტიკა. საიდან იმოვა? აზიური სილომებისა და ევროპულ-ჰიპურ-როკენროლური განწყობის სინთეზმა გააჩინა – ამბობს ბესო.

„ეგ ცნობილი ამბავია, ჰიპების მოძრაობა როცა იშლებოდა, სოფლიოს ჰიპების სწორედ მანდ, ინდოეთის და ნეპალის საზღვართან დანიშნეს შეხვედრის ადგილი. ბევრი მათგანი ოჯახებიანად დარჩა ნეპალში. ნეპალებმა მათ ქუჩაც აჩუქეს. დღესაც არსებობს ეს ქუჩა. სწორედ მათ შეეტანეს იქ პირველად კაფეების, გესთჰაუზების და ბარების კულტურა. იყვნენ ისეთები, ვინც ბოლომდე მიჰყვა იდეას და ბოლომდე ასეთი თავისუფლების და სიყვარულის ერთგული დარჩა. იყვნენ ისეთებიც, ვინც ჰიპლატფუზი ჩამოიკიდა. ყველას თავისი გზა ჰქინდა. ადგილობრივებიც ასეთები არაან – მშვიდობის-მოყვარები. შენც – მშვიდად ხარ, ნერ, არავინ გირეკას და განუხებს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა შენი ძმაკაცია. შენი მეგობარი“.


ნეპალში კი 2072 წელია.

როცა ბესო ხვედელიერ დაუბრუნდება ჰიმალაის მთებს, დაბადების დღეს იქ შეხვედება და მათი კალენდრით, ასერთი წელი შეუსრულდება. ეს შეგრძნებაც, აქედან ჩასულს, რომ მომავალში ხარ, გამუდმებით თან დაგვვება. თითქოს მთელ მსოფლიოში რაც არ უნდა მოხდეს, შენ აგდება. იქ ხომ 2072 წელია. დანარჩენ მსოფლიოში კი – 2015.

* * *

ნერით კი ყოველდღე წერდა. ერთდროულად რამდენიმე ტექსტზე მუშაობდა. ნანილი დაასრულა, ზოგიც დაიწყო. ეს ატმოსფერო სჭირდებოდა. ხანდახან გინდა მოწყდე პლასტმასის ცივილიზაციას, ოჯახსაც და შენი თავის პატრონი გახდე. რა არის ამაში მიმზიდველი?

„ის, რომ სიმართლის მადიდებელი ხდები. არაფერი გაქვს დასამალი, ხარ ისეთი, როგორიც ხარ. აქ – თითქოს სხვებისთვის ცხოვრობ. ცხოვრობ ისე, როგორც საზოგადოე-



ბა გთხოვს. და მერე ეს რამდენიმე სამსახური, ვალდებულებები... ზიხარ. სუქდები. იქ თითქოს ფიზიკურადაც უკეთ გავხდი – ანუ გავხდი კიდეც, 40 კილო დავიკელი. იქაური სამარეულოს დამსახურებაცაა. პურის და ზოგადად, ცომეულის კულტურა იქ არ არის“.

დღემდე ბესოს 18 წიგნია გამოსული. ეს მხოლოდ „მოთელვაა“ – მისი სიტყვებია. თუმცა მათგან უმრავლესობა მესამე პირში დაწერილი რომანები და მოთხოვობებია. როცა ნეპალზე მოყოლილ სიახლეებზე ვლაპარაკობთ, პირველი პირის შემოსვლას ახსენებს. პირველ პირში დავიწყე წერაო. შესაძლოა, იმიტომ, რომ ამის დრო დადგა – დაგროვილი რაღაცების გარეთ თამამად გამოტანის. ოლონდ ისე, რომ არ გერიდება, დარწმუნებული ხარ ამ რაღაცების თქმაში.

„ნამასტეც“ ნეპალის შვილია. იქაურობის პირში. იქ დაიბადა, იქედან გამოიწურა. ეს არის მხატვრულ-დოკუმენტური რომანი, რომელიც ბესომ იქაურობას მიუძღვნა და კიდევ იმ ადამიანებს, ვინც ნეპალში ნასვლას გადაწყვეტს. ამ წიგნში ის ამბებია, რასაც დაგუგულით ვერ იპოვი. ვერც ბესომ იპოვა, როცა პირველად ნეპალის გზას დაადგა და იქ ნამყოფ მეგობრებში აგროვებდა საჭირო ცნობებს.

„რაც ამ წიგნში წერია, შენ თვითონ უნდა დაიჭირო. იქაურობის შეხება სჭირდებოდა ამ წიგნის დაწერას, მზერით, ხელით, ყველაფ-

რით". 90-იან წლებში იქ ნამყოფ მეგობრებს ჩიმოუარა, გიო მგელაძეს, დათო ტურაშვილს, რეზო თაბუკაშვილს. რუკები დაახატინა, ადგილები მოინიშნა. და მერე თავად დაწერა ისეთი წიგნი, რომელიც ადამიანებს ნეპალ-ისენ გზას გაუკალავს.

„ნამასტეს“, თუ ყველაფერი კარგად წავიდა, გაგრძელებაც ექნება. ინდოეთზე. და გააჩნია, მოგზაურობის გეგმა როგორ შესრულდება: „ხომ შეძლება, ასე იმრო ფეხით და ყველა ქვეყანას შენი გზავნილი დაუტოვო – წიგნი გზავნილი“.

წინ ცენტრალური აფრიკაა. სხვა ქვეყნებიც.

* * *

შორიდან დაკვირვება ადგილია. ბესო ამბობს, რომ სხვა მწერლებსაც ის სტირდებათ, რაც მას. გასვლა, ბოდიალი, ახალი შთაბეჭდილებები, ჩაკეტილი წრის გაღმევევა: „პოტენციურად კარგი წრეა, მაგრამ რომ წარმოვიდგენ ხოლმე, რომ ასე წერენ აქ, უფულობის, უსახსრობს პირობებში, რა იქნებოდა, სიარული რომ შესძლებოდათ, ოკეანე ენაბათ“.

რა გაარღვეს ამ წერეს? თარგმანიც. რამდენიც გინდა წერე, თუ არ ითარგმნა, წიგნები რამდენიმე ათეული ან ასეული შეითველის ანაბარა რჩება. არადა, ცოტაა.

ბესოსთან ყველაფერი ამბით იწყება. ჯერ არის ამბავი, როგორც პირველი ამოყვანილი თვალი ქსოვისას და მერე წელ-წელა იწყება ხალიჩის ქსოვა. მისთვის წიგნის წერის სტიმული – ბევრი სხვა წიგნია. კითხულობ, კითხულობ და უფრო მეტია წასაკითხი. მეტად ლიზიანდები, მეტად გინდება შენც რაღაც დაწერო, ხელები გექევება. კითხვის დროს წაწერმა შესაძლოა, სულ სხვაგან წაგიყვანის, „რაღაც წვეთი მოგარტყას“ ისეთი, რომ წერას შეუდგე.

„ჯერ ამბავს მოკლედ ჩაინიშნავ ხოლმე და წერას მერე ვიწყებ. ჩემი სანდო „ფოკუს ჯაუფი“ მყავს, ვისთანაც იდეას „ვამონმებ“ და რეაქციების მიხედვით ვაგრძელებ ან ენცვეტ. საკმაოდ მკაცრი შემფასებლები არიან. ვიცი, რომ თუ სადმე რამე ჭრიჭინებს, აუცილებლად მეტყვიან“.

დღემდე ჯერ ხელით წერს, შემდეგ გადააქცეს კომპიუტერში. ფიქრობს დიდხანს და მერე გადამტელად ორ-სამ საათში წერს. ბოლო წერტილს მაშინ სვამს, როცა იგრძნობს, რომ წერ შეიკრიბოს, კინო დამთავრდა. და ყოველთვის იცის, რომ გამოვიდა. ან პირიქით.

და ეტაპები. 18 წიგნი იძლევა ეტაპებად



დაყოფის შესაძლებლობას. თვითონ ახასიათებს იმ წლებისწინა ბესოს. მწერლს, რომელიც თითქოს ვიღაცაზე იყო ნაწყენი. თუ ცხოვრებისგან გასილაქებული და მისი მოთხოვობების გმირებიც ქალთმოძულე პერსონაჟებით იყო გატენილი. მერე წელ-წელა ისინიც სადღაც გადაიკარგნენ.

„მოკლედ, ცუდად ყოვნების რუკა შეიძლება ააგო ამ მოთხოვობების მიხედვით. მერე რელიგიაში გადავარდინის ეტაპი მქონდა. მონასტერში ვცხოვრობდი. ვფიქრობდი, როგორი ვიწერებოდი იქ – დგება ეგ მომენტიც, რაღაც გთხოვს, რომ მარტო დარჩე საკუთარ თავთან. თუნდაც ყოველდღე ერთი და იგივე აკეთო და დაკვირდე, რა გაიღვიძებს შენში, რა მოკვდება. ამ ეტაპების პარალელურად წერის სტილიც იცვლება. ყოფილა სრული თავისუფლების და ყიუინის ეტაპი, სადაც ხედები, რომ არაფერი დასმალი არ არის და ლვარცოფივით უნდა გამოიუშვა შენგან ყველაფერი. ამ ეტაპებს მოსდევს ხოლმე რაღაც წანარმოება, რომელიც ასახავს, სად ვარ. აი, მაგალითად, ასეთი იყო „კლარა“ – მოთხოვობა, რომელიც როცა ერთმა ადამიანმა წაიკითხა, მითხოა, სამ-ოთხ გვერდს ვერ გავცდი, მივხვდი, როგორ ცუდად იყავიო“.

* * *

რაც დაიწერა, დაიწერა, თუმცა, დღეს რომ ჰკითხო, ექვსი რომანიდან ორს სხვანაირად დაწერდა და ოთხს საერთოდ არ. მოთხოვობების კრებულებს სხვისი დაწერილივით კითხულობს და ჯერჯერობით ყველაფერი როგზე. მოსწონს. ლექსიბიც იყო – მთელი კრებული. „ბობ მარლის დასტული თვალები“ – ერთად მოუყარა თავი და მოიშორა. მწერლები მიხვდებან, „მოშორება“ რასაც ჰქვია. შეიძლება დაგახრჩოს, თუ არ გაუშვი.

როცა საწერიც დაგროვილია, მაშინაც განვება. ბესოც ასეა. სადმე, მთაში წავიღოდიო, საწერად. ანდა საკითხად.

„წერა თავისთავად მაგარი კაიფია, შეპყრობილი ხარ რაღაცანირად, გრინბობ, რომ რაღაცას ქმნი. შენ ხარ პასუხისმგებელი ყველაფერზე, ყველა ზაზზე, ყველა პერსონაჟზე.“

დღეს რაც იწერება, იმასაც ვკითხულობ ხოლმე. კი, მაინტერესებს. აი, ბოლოს ლუკა ბაქნიძის „მესამე ნაპირი“ წავიკითხე. მისნაირი ტიპი უნდა გაუშვა სადმე, ბევრი რამე აჩვენო. და ლუკას მსგავსი ავტორები გვყავს დღეს საქართველოში. ნიჭიერი. მხოლოდ რაღაც ფილმების ყურება და რაღაც ცების წარმოდგენა არ გყოფნის. როცა დღეები ერთმანეთს ასე ჰყვანან, შეიძლება გაგიუდე. რა დაგანერინებს? ცხოვრებაა ამისთვის საჭირო”.

იმას, რაც ლიტერატურაში უყვარს, შეიძლება ორიგინალობა ვუზოდოთ. როცა მწერალს ძალიან თავისი კუნძული აეცს. მისთვის პავიზი იყო ასეთი, მაგალითად. პირველად როცა წაიკითხა, იმდროინდელ შეგრძებებს იხსენებს – რაღაც ახალი უანრი დადო ლიტერატურაში.


„რუსებს ჰყავთ კიდევ ერთი მწერალი, ვიქტორ პელევინი. ძალიან მაგარია. დაეხეტება ხოლმე ეგეეც ნეპალსა და ინდოეთში. ორიგინალურობა რა არის? ფანტაზია, თავისუფლება აზროვნებაში. აი, როცა მგონია, რომ ეს უნდა მოხდეს, ამბავი ასე უნდა განვათარდეს და ბაც. სულ სხვა რამე ხდება. ეს მიყვარს ლიტერატურაში. რაც არ მიყვარს, ეს არის – „სინამდვილეში მოხდას“ რომ გეუბნება მოთხოვობა. როცა ტექსტს ეტყობა, რომ მართლაც მომხდარის ასლია – მომხდარის ქსეროქსი. ჩემთვის ეს ქრონიკაა. ცეცხლი არა აქვს შენთებული, ის ცეცხლი, საიდანაც მხატვრული ლიტერატურა და მწერლობა იწყება“.

ცოტას ლაპარაკობს წარსულზე. თითქოს ყველაფერი ახლა ხდება. თითქოს ნეპალამდე არაფერი იყო. ან ყველაფერი მოყოლილი აქვს. ბესო ხვედელიძე საბჭოთა კავშირში დაიბადა. რუსულ ბალში დადიოდა. 55-ე სკოლაში ისწავლა. უნივერსიტეტის უურნალისტიკის ფაკულტეტი. კულტურის უნივერსიტეტი, სასკრინო, ყველაფერი აქ ხდებოდა. თბილისში. სწავლით კარგად სწავლობდა. აი, გამოსაჩენ დაფაზე რომ შენს სურათს აკრავენ – როგორც წარჩინებული მოსწავლისას. ფარიკაობა, ფეხბურთი, რაგბი. ქანდაკებისა და ვეფხისტყაოსნის კითხვის წრეები. ცურვა, მუსიკა. ხატვა. მოკლედ, რაც კი შეიძლებოდა. მაგრამ როცა ვეუბნები, რამე მევეთრი გაიხსენოს იმ დროიდან, სოფელს ახსენებს. ზემო იმერთს:

„იქ ბებიასა და ბაბუასთან ჩავდიოდი და ეგ საერთოდ სხვა სამყარო იყო. სხვანაირი თავისუფლება. ძალიან მინდა, ისევ დავბრუნდე. მგონი, მანდეთ მიდის ყველაფერი. თუ საბოლოოდ ამ ქვეყანაში დავრჩი და ვიცხოვრე“.

ერთი ომიც იყო. აფხაზეთის. ეს ის დროა, როცა ბესო ხვედელიძე ჯერ ისევ უურნალისტად მუშაობს. 1993-94 წლებში თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში მოუნია უურნალისტად მუშაობა. აფხაზეთის ომშიც იქიდან წავიდა. მხოლოდ კალამი და ბლოკნოტი. პერიფერიც კი არ მქონდა მაშინ. წლების მერე ომში გატარებულ რამდენიმე თვეს მოჰყვა „თაგვის გემო“. თუმცა, რაც ომზე დაწერა, ორი იმდენი ჯერ სადღაც აქვს დალექილი. დრო სჭირდება იმ ამბების ამოლაგებასთ.

„ისე კი, სულ ვწერ, ერთად ვწერ ხოლმე ერთ 50 რაღაცას. მერე ჩამოვუვლი ხოლმე. ხან ერთს მივუმატებ რამეს, ხან მეორეს და მერე ბევრი სრულდება ხოლმე ერთდროუ-



ლად. ახლაც ასეა – ერთდროულად ვწერ რომანს 90-ანი წლების თბილისზე, ერთ ოცამდე მოთხოვობას, რომლებიდანაც რამდენიმე უკვე ბოლოშია გასული, რამდენიმე პიესას და სცენარს“.

აი, ასეა. კიდევ არის დაუწერელი ამბები, რომელიც ბესოს რომელილაც სკივრშია. მაგალითად, რომანი პარასკევაზე. რატომაც არა, ამბობს ბესო. სანამ კუნძულზე რობინზონ კრუზოსთან მოხვდებოდა, ხომ ჰქონდა მასაც თავისი ცხოვრება, რატომ უნდა შეეჭამათ, რატომ მიიყვანეს იმ უკაცრიელ ადგილას? ადრე თუ გვიან, ალბათ, დაწერს.

* * *

როგორ გვითხოვთ, ათი წლის მერე სად ხარ, როგორ გვითხოვთ, სად ზიხარ? ვკითხები.

ათი წლის მერე ვზივარ ხის ქვეშ. ვზივარ და საყვარელ ადამიანს ვუყვები ისტორიას.

შეიძლება ეს ხე თავის სოფელში დგას, შუაგულე ეზოში. ან, იქნებ, სადმე, სხვა ქეყანაში, ცხრა მთას იქით. ზუსტად არ ვიცი.

პორეული საცდლები

ძესო ხვედელიძე

ესე იგი, ვაფშე არ მიყვარდა რა. არადა, მაყუთი ქონდა ჩემოდნებით. აი, ცოტაზე მაინც რო მყვარებოდა, ხო გავყვებოდი... მაგრამ მე მაშინ ეგრე არ ვიცოდი! სუ პადარკებით მოდიოდა: დუხები გინდა, მზის აჩე გინდა, ბამბაზის რეიტუზები... ამასო, ზნაჩიტ, ფრანგული პარფიუმერით. მერე კარაკულის შუბაც დამიადა. თან რა დელიკატნი იყო, ბოჟე მოი... სუ გაუთოებული კლეჩატი პლატოი ედო გულის ჯიბეში. წვეტი უზანდა. ინსპექტორებიც წვეტინი. ეჭ, სადღა არიან ახლა ეგეთი მასტები... გეგონება, სექენდ-ჰენდიდან პლეტი ქონდეს აწეული ნაროდა... ის კიდე ვაფშე სხეა როუა იყო. არ შემიყვარდა მაინც... აეხლაც სუ ვფიქრობ, რა იყო ეგეთი, რამაც დამატორმუზა... ხამი არ ვიყავი არასდროს, ტუფლებით რომ შემეფასებინა. თან ყველაფერი იმენნა ხუთიანზე ქონდა: ძერსად იცვამდა. მთანმინდაზე ოთხოთახიანი ბათია - სვეცკი ადამიანების სასაფლაოზე ხედით... მერე იმდენი რამე იცოდა. არ არსებობდა თემა, არ ნამოგყოლოდა ბაზარში. პოლიტიკა გინდა, მისტიკა ტო, სპორტი, ფილასოფია, კომპიუტერები, პატრიოტიზმი, შავი გაგება. ნუ, ყველაფრის აზზე იყო, მაგრამ მაინც ვერ შემიყვარდა... ჩემი გული რიყის ქვა ეტყობა. - ჰავლაბრულ კილიზე რატრატებდა არაბულ ტახტზე შემვლად მჯდომი ზემფირა ფოლადაევა და თანთალა ბარძაყებზე „ახალი აღთქმა“ ედო გადაშლილი.


ზემფირა ფოლადაევა „ნატურშიცად“ მუშაობდა და საკუთარი ბინა სამასტვრო სტუდიად ჰეონდა გადაკეთებული. იქ მას სტუდენტები სტუმრობდნენ, შიშველს ხატავდნენ ხოლმე და ისიც ამით ირჩენდა თავს.

* * *

- ამა წლის ოცდაცხრა იქნისას, დამის თორმეტიდან პირველის მიდამოებში, შენ და ბექა შოთას ძე ყოჩივარს მოგივიდათ ცხარე კამათი ასათიანის 29-ში მდებარე ზემფირა ფოლადაევას ბინაში, რაც ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. - ააკაუნა თეთრი ლეპტოპის კლავიატურზე ბანჯველიანი თითები ხელნარბება გამომძიებელმა, მზერა გამისხორა და მის თვალებში ნამით გაკეთა მატარებლის რელსის ავმი ნაპერნებალმა. ამის დანახვასა და, მასმდე კი, მისი ნათქვამის გაგონებაზე, უცებ შემცირდა და პირში სისხლის მჟავე გემო ვიგრძენი.

- არაფერი ისეთი, უფროსო. ეგრე ვიცით ხოლმე. ხანდახან. ხუმრობით... - დავიწყე თავის მართლებასავით, მაგრამ გამომძიებელმა ცივად შემანცვეტინა:

- თვალებში მიყურე! მეზობელთა ჩვენებით, ოცდაცხრა იქნისის შუალამით შენ გადატეხილი „გომი-კლასიკის“ ბოთლით



დასდევდი მოქალაქე ბექა ყოჩივარს ზემფირა ფოლადაევას ბინაში, და რომ არა მეზობლების აქტივობა, არავინ იცის რითი დამთავრდებოდა ყველაფერი. მათივე თქმით, შენ ყოჩივარს ყელის გამოლადვრით ემუქრებოდი და არაამქვეყნიურ ხმაზე აგინებდი.

- არამქვეყნიურზე? - ბასუსის ნერწყვი გატირვებით გადავყულავ და შევეცადე თემა მსუბუქ კალაპოტში გადამეგდო. - აჲ, ეგეც ხუმრობით, უფროსო. ჩვენ ბავშვობის მეგობრები ვართ.

- ბავშვობიდან მეგობრები სართ... - ააკაუნა გამომძიებელმა კლავიატურა. - ბალშიც და სკოლაშიც ერთად დავდიოდით. - ბალში და სკოლაში... რომელში? - მეორე რესულ ბალში, კრილოვზე, და მერე 55-ეში. „მზიურთან“. ერთ მერზე ვიჯექით.

- ერთ მერხზე...
- პირველ ქალთანაც ერთად ვიყავით. ბოლოსთანაც...
- ბოლოსთანაც... წესიერად ეხლა! ეგძებას არ აინტერესებს. - ხმა გაიმკაცრა გამომძიებელმა.
- ყველა ქართულ ომში ერთად ვმონაწილეობდით მოხალისებად. მე პრეზიდენტის ორ-დენიც კი მაქას. მეოთხე ხარისხის...
- სადაა აპა?
- ბულაჩაურზე... ლომბარდში.
- კიდევ ერთხელ გიმეორებ! თუ გამოძიებას არ გაუწევ ქმედით დახმარებას, კიდევ უფრო დაგიმძიმდება ბრალდება!
- კი მაგრამ, რა ბრალდებაა ეგეთი? - ვეღარ მოვითმინე მე.
- რა და, სად ნაიღე ყოჩივარის ცხედარი?
- ნამოდგა ფეხზე გამომძიებელი და სველი თვალებით დამაცქერდა ზემოდან.

* * *

ზემფირა ფოლადავეას ბინაში ჩხუბი მოზაიკურად მახსოვდა. მახსოვს, ძლიერ გამაკავეს მეზობლებმა, არადა ჩხუბის მიზეზი ძალიან ტუტუცური იყო:

მე და ფოლადავეას ერთმანეთზე კაი ხანი იყო თვალი გვერდნა დადგმული. ჩემი გუმანით, სწორედ იმ ღამით, ხატვის მერე უნდა დაგვეგემოვნებინა პირველად ერთმანეთი. ამას ბექაც გრძნობდა. ამიტომ, ფანქრები რომ გადავდეთ გვერდზე, არყოს მესამე ბოთლი ჩავცალეთ და სასტიკად მზერაარეულები შევიქენით, ის პატიონსად დაგვემშვიდობა და ლილინით გაპანცალდა ფოლადავეას ბინიდან. სახლშიც, შესაბამისად, მსწრაფლ შემოიხაზა ჩასატარებელი სხეულებრივი წილასვლების სავარაუდო კონტურები.

- ვაიმე, მეონი პაზვანორნიკის გამრუდება მეწყება, პეტო... ამეებს რა ქვია?

- მალები...

- რა მალები? მეკაიფები? მალე ბი არ გამიხდე მართლა...

- მალა ქვია, ვა. მალები.

- კაი ხო. ნუ, მალებს ვგრძნობ ყველას. უჯას... ოზდაცამეტია ხომ? ყველა სათითაოდ მტკივა. - რატრატებდა ფოლადავეა და სუფრას ალაგებდა. - არადა, შენ ხომ არ იცი, რა ვიდზე ვიდექი შევარდნაძის დროს. რა ნატურშიცობა, ბოჟე მორ! სასოფლო-სამურნეოში ცეკვის ანსამბლ „თეთნულდი და შხარას“ სოლისტება ვიყავი, ტო! სად არ ვაძლევდით კონცერტებს: პრაფსაიუზები გინდა, ვსესაიუზნი ტუბდის-

პანსერები, მოხუცების სახლები, ქუთაისის „ტორპედოს“ ბაზა საღორიაზე, იმიერ-ტაო, მინვოლდები და ესანტუკები...

- „თეთნულდი და შხარა“ რა სახელია, ზემცირ? - ვერ მოვითმინე მე და თვალები კიდევ უფრო დამიერმდა. ფოლა დაევა უკვე ოთხი იყო და ოთხივე „ბიტლზებივით“ უბერავდა:

- ეგენი სვანეთის დიდი გორდასწები არიან. ერთი ცოლია, მეორე - ქმარი. ასე ამბობს იქაური ნაროდი.

- რა გვარის სალხია?

- ვინა?

- ეგენი?

- უიმე, მართლა დებილი ხარ რა, პეტო. არაფერი შენ არ იცი. ეგენი მთებია, ტო. სუ თოვლი ადევს. აი როგორც ყაზბეგი და უშბა.

- ყაზბეგი და უშბა?.. კაი გამახსენე - დილით ორი ბოთლი „პერცოგი“ და ვაკის სასისკი გაასწორებდა რძიანი. ხომ ამონტან?

- რა რძიანი სასისკი, ტო?.. აგერ კალბასი მიღევს მაცივარში... თხის რძეც მაქ, ოლონდ ძაან ჟირნია...

- მაიცა რა, კალბასი რათ მინდა... მკერდს კი არ ვიზრდი... ისე, რა ზომა გაქ?

- ახლა დასტორინად! ბიუსტი იმის მერე დამისატარავდა, რაც ჯანჯაფილი გადავაგდე.

- რა გადაგდე?

- ეგეც არ იცი... შენ ვინა ხარ, ტო. ხეა ეგეთი. ჯონჯოლის პონჩი. ისტება.

- ჯონჯოლის ხეს რა გასმევდა ამხელა ქალს?.. ისე ჯონჯოლის წევნიც გაასწორებდა დილით... ცივი მანონიც რამე ქიშმიაშიანი კექსით... განდონება გაქვს?

- განდონი თავი გაბარა, რეზინა ქვია მაგას.

- და ის ულვაშა ამირანა რა უყავი, შენთან რო დაძრებოდა... რეზინის ჩექმებში.

- ეჰ, ამირან-ამირანჩიკ...

- შხარაზე მიაბი თუ თეთნულდზე?

- ...რა ტუპოი კრეტინი ხარ, პეტო...

- გაგერისკა ზემფირ, ბედს მინდობოდი. იქნებ მერე შეგყვარებოდა... ხომ მოსულა ცხოვრებაში ეგეთები?

- ეჰ, ჩემო პეტო... ეგეთები მარტო ამერიკანსკი კინოებში მოსულა. რეალნი ცხოვრება სულ სხვა ბაზარია. უსიყვარულოდ, ძალაზე და ტყუილში რო ცხოვრობს ნარიდი, იმიტომა მაგრა საქმე რესპუბლიკაში. მაღლი არაა ეგეთ ურთიერთობიაში. ეგაა რიჟა ცოლ-ქმრობა - ხართებ-მათორები და ვამეტ-ცოდოა... და ის პონტი, რო მერე იქნებ რამე იყოს, არი ბლეფი! ტივინი გულში უნდა ჩავიდეს და დადოს სიმართლე!

მე ჩავიყვანე და მითხრა, რო არა, ზემფირ! არ გიყვარს შენ ეგ ამირანი! შენ ჩემი გულს ჭკუა არ იცი! მე ძალიან რეალნი გული მაქ! რეალობას კიდე, პასტაიანნა თვალებში უნდა შეხედო - არაფერი მიამატო და მოაკლო! აგერ იყო შიშველი რეალობა - მე ტიტველი ვიჯექი ტახტაზე, თქვენ მჟღალანიდით და მე კიდე ამაში მაყუთს ვიღებ უნამუსით. თან ვითომ ამ ნიგნს ვეითხულობდი... აპა, კიდევ ერთი „ვითომ“. ვითომ... ისევ რიჟა ბაზარი. მე და შენ კი არა, მთელი მსოფლიო რიჟა ბაზარშია! მზე ამოვიდაო, ტო? ეგ პარშივი

სიაფანტი პოეზია ვის უნდა? მზე ამოვიდა კი არა, ეგ დედამიწა ტრიალებს! გაგივონია ამხელა ტყუილი? ანდა, მზე ღრუბელს ამოფარაო. მზე ეფარება, თუ პირიქით? ნუ, არ ვიცი რა პირდაპირ, ეს რა პაროდაა ეს ადამიანები. ისე, პეტო, ამსისქე წიგნი, რომ იცოდე, ნიტოშტო წამიკითხავს, აქამდე არც გადამიშლია. რას არ მოგონებოთ ხოლმე ეს ხუდოუნიკები. გამოჩინე, პეტო, გვერდზე ეს სპირალი, თორე ჩავიფსი, ისე ცხელა...

* * *

ფოლადაევა შიშელი დატანტალებდა სარკის წინ, ყოჩივარი რომ მობრუნდა. წვიმაში გარეცხილ ბრაზილიური ქათ-მის კურტუმის გავდა - ტრანსპორტი არაფერი შემხვდა, თან თავსხმა და ბარებ აქ დავრჩები, თავით კედლისკენ დავწვები, მოგვახალა უტიფრად. თქვენ რაც გინძთ, ის ქენიოთ, და ფოლადაევას ბამბა მოთხოვა ყურში ჩასდებად.

ფოლადაევას ერთოთახანი, ერთტახტანი და უსამზარეულო ბინისთვის ეს განცხადება ნამეტანი ფართო გაგების იყო, და სწორედ აქედან დაიწყო, რაც დაიწყო. ისედაც უზომიდ ამღრეულს ალკოჰოლით, და ახლა კიდევ უფრო გახელებულს, ბეჭას ეს სვლა იმდენად ძალით ჩადენილი მეჩვენა, რომ ეგრევე ავენთე და არყის ცარიელი ბოთლი მაგიდის კიდეს ჩამოგატეხე. გაჭირებით, მაგრამ მაინც მასოვს, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, ბეჭა კი წკაზე გადამირჩა: მისი შემოფლებითი „ლა კოსტას“ სისხლანი მაისური და განივი ნაკანტები ტანზე ახლაც მიდგას თვალწინ. ისე, მეც მაგრად მიგბეგვე. ისიც მასოვს, აქვთინებულმა ფოლადაევამ გარეთ რომ გამოგვარა. იქ კიდევ, ვარსკვლავებანმა ცაშქნა, სუფთა ჰაერმა, თუ ორივემ ერთად, აღარ ვიცი - მაგრამ ფაქტია, რომ გარეთ გასვლის მერე, მართლა აღარაფერი მახსოვს. დილით კი, ჩემ სახლში, იატავზე მწოლს ყოჩივარის კორეულ სანდლებში გამოწყობილს გაძელიდა.

მთელი ბინა გადავაქოთე ყოჩივარისა და ჩემი ბათინკების ქებაში, მაგრამ ვერც ერთი ვნახე და ვერც მეორე. მერე, წინა შუალამისა და სახლამდე გზის გახსნება ვცადე, მაგრამ მაინც მხოლოდ სიცარიელე და საბნელე მედგა გონებაში. მასოვდა ზემფირა ფოლადაევა, მისი სამნახევარნომრიანი, მაგრამ სხვადასხვა ზომის ძუძუხი, გადატეხილი ბოთლით ჯირითი მაგიდის გარშემო, ბეჭა ყოჩივარის რუსთავის ფოლადისებრი მუშტი ცხვირში, იატავზე მოჯდომა და ბოლოს დაშოშმინება თავის გარეთ გაბრძანებით. დანარჩენი წაშლილი იყო მესიერების დაფიდან. ეტყობა ბეჭას მუშტმა მცირე ტვინის რეევაც გამოწერია. თან ამდენი ალკოჰოლით გამობრუულ ტვინი ისედაც რისი დამახსოვრებელი იქნებოდა.

* * *

გამომძიებელს რომ ავყურებდი, ვხვდებოდი, რომ გარეთ მაინც მოხდა რაღაც ძალიან ისეთი და სხვანაირი. გულით კი მინდოდა გახსნება, მაგრამ არაფრით გამომდიოდა. არადა, ამის გაგბის მიზნით, მეორე დღესვე ჯერ სახლში დავურევე ყოჩივარს, მაგრამ მისმა მერცხალა ცოლმა იქით მოკითხა - სად გდია, განა ერთად არ იყავით „აუტსაიდერის“ კონცერტზეო?.. რო ნახავ, ბავშვისთვის „პამპერსები“ წამოილოს...

მერე ყოჩივარის მშობლებთან გადავრცევე. იქ საერთოდ ტყემალზე ისხდნენ.

- ვინა? რომელი ბექა? აჲ, ჩვენი პატარა ბექა? ჩვენმა ბექუნამ ცოლი მოყვანა! ისეთი ყოჩალი გოგოა... ბუღალტერი. ჩვენთან აღარ ცხოვრობს რა ხანია... - გაქანებული სკლეროზი ჰქონდა ყოჩივარის დედას.

მაშინ ვიფაქრე, რომ ალბათ ვინმე ძველი ხასა გაიხსენ სიმთვრალეში, მისკენ გასწია და მის რბილ „ბიუსტში“ თბილად თავჩარგულს ძინავს-მეტქი. ჰოდა, ამიტომაც შევეტვი.

იმ დღლით მარტო მომინია ხაშზე წათრევა და აეგრე ეულად გამოსვლა პატელიაზე. მერე მოელი დღე მეტინა. მესიზმრა თურქული „თავით კედლისკენ“-ის გადაღებები. ერთ დღეს მეორე გადაება - იგივენაირი. მთლიანად ძილის დღე იყო, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად სიზმრად ვნახე გიგა სიხარულიძის პოვზის საღამო და „გომის“ ქარხანასთან რომ დიდი ბოთლი დგას - მისი რაკეტასავით ცაში გაშვება. მესამე დღესაც არ გამოჩნდა ყოჩივარი. არც ერთი კვირის თავზე. ჯერ მისმა ცოლმა დამანიკია. მერე ნათესავებმა და სხვა ძმაკაცებმა.

ორი კვირის თავზე საერთოდაც პოლიციიდან დამადგნენ, ბორკილები დამადეს და ამიყვანეს. ახლა კი, ეს ვილაც აშკარად სადიზმისკენ მიღებეკილი გამომძიებული მადგას თავზე და სად გადამალე ცხედარიო, მეკითხება. მე ისევ არაფერი მასოვს და სულ უფრო საზარელი ეჭვები მიპყრობს...

* * *

- იქნებ ფირმაში მოიხია, უფროსო? - გაგაუფროსებ ახლა... წესიერად ილაპარაკე!

- როგორ მოგმართოთ აპა? პატივცემულონ გამომძიებულოთი?

- თან რომ გვეკაიფება, ეს დამპალი? სად არის-მეტქი ტრუპი?

- რა ტრუპა? კარგით რა...

- მოწმები ხელს შენ გადებენ... ზემფირა ფოლადაევაც! აგერ ხელმოწერები მაქეს მთელი სამეზობლოსი... კლავდაო. ჩვენ რომ არა, არ დაინდობდაო...

- ზემფირას პუტანკა დედაც მოვტყან... იქნებ მართლა ნავიდა სადმე ფირმაში? ხომაა დამის რეისები. მატარებლებიც დადიან...

- საზღვარი ეგეთს არავის გადაუკეთია. გადამომზებულია უკვე. შენა, ბიკო, აბუჩად გვიგდებ? რცი წელია, ისეთ საქმეებს ვხსნი, კორადო კატანი ისვენებს. ყველა ნაცნობი და

უცწობი გადავამოწმეთ. მორგებიც. საზღვარიც. ყველა მხრიდან... გაითვალისწინე, აღიარება შეგიმსუბუქებს სასჯელს!

- ღმერთო დიდებულო...
- ომერთს ნუ აწესებ, მე შენ გეუბნები. აღიარება, მისი სანდლები საიდან აღმოჩნდა შენთან?
- ამის გახსენებაზე ერთი-ათად დავმიძიდო.
- ყველაფერი უნდა დაწერო.
- რა უნდა დავწერო, რაც არაფერი მახსოვებს.
- რასაც გიკარნახებ, იმას დაწერ... არადა, საქათმეში შევარდები, იცოდე...
- საქათმეში რა მინდა? კვერცხს კი არ ვდებ.
- იქ დაგადებინებენ იმდენს, აღდგომა მოგენატრება. - პირველად ახითხითდა გამომძიებელი.

* * *

ოთხი წელი ვითომ ბევრია? არ ვიცი. ცოტაც რომ არაა, მაგას კი ვევდები. იმდენი მომხვდა და ისეთი მეტკინა - ველარ გავუძელი. ოღონდ თავში არ ერტყათ. დავწერე ბოლოს ყველაფერი. მარცხენა ხელით დავწერე, აჯღა-ბაჯღად, ნანღლილი ასლებით. მარჯვენა აღარ მიგარგოდა. ოღონდ თავში არ ერტყათ. თითებს ვერ ვგრძნობდი. ვერც ხელისგულს. ჯერ ლილისფერი იყო მთლიანად. მერე წელა-ნელა გალურჯდა. ბოლოს გაშავება დაინყო.

- განგრენაა, - ამბობს თანაკამერელი ბიჩოკა. - მაჯაში მოგაჭრიან...
- მომაჭრიან რა, ხის ტოტია?
- ცაცია გახდები, ჰეტ. დიდი ამბავი. აგერ, ცხონებულ საშკა სერებრიაკოვს საერთოდ არ ქონდა ხელები და ცირკში პისტალეტს ათიანში არტყამდა ფეხით.

- სულ ვერ ატოკებ, ტო? - მეყითხება ბებერო.
- ვცდილობ თითები ოდნავ მაინც გავამოძრავო. არაფერი გამომდის. თითქოს ჩემი კი არა, სხვისი იყოს.
- ეგაა. - აქენებს თავს დანანებით ბიჩოკა.
- ცხონებულ საშკა სერებრიაკოვს ხელები არ ქონდა-მეტე და ყურის ანევა კი მაინც იცოდა...

- ფეხით! - უდასტურებს ბებერო.
- დანა-ჩანგალსაც ხომ ფეხებით უბერავდა, ჩემი კაი...
- ტრამვაიზე ფეხებით არ კარმანშიკობდა რო?

რაც არ მახსოვდა, ყველაფერი დავწერე. ბოლომდე ავინწყვიტე ფანტაზიებში. ოღონდ თავში არ ერტყათ. ყველაფერი „გავიხსენე“:

იმ შეუაღამის ბარათაშვილის ხიდი. კიდევ ერთი შეხლა-თრახი ბექა ყოჩივართან. სილიან-ლავაშიანი ძიგილ-ჭიდავი. დედის სისხლის გინძა. მურტალი ბრახან-დაკა-გრუზუნი. მერე დავვეცი, იქვე მიგდებულ რიყის ქვას დავწვდი და ზემოდან დამსცდარ ყოჩივარს მთელი ძალით საფეთქელში მივუცი.

ტკაცან!

ოღონდ თავში არ ერტყათ. სანამ მტკვარში გადავაგდებდი - კორული სანდლები გავხადე, ჩემიგბში ფეხი მეხარშებოდა. და ბექა ყოჩივარი ჩემ ბათინებიანად მტკვარში გადავუშვი. მღვრიე წყალს გავატანე მოგონებად. ოღონდ თავში არ ერტყათ. ეს მე მოგვალი ბექა. სიპი ქვა ვხიე სიმთვრალეში საფეთქელში. ოღონდ თავში არ ერტყათ. ოთხი წელი არაა ცოტა. ოთხი წელი ითხვევე სამასამოცდასუთი დღეა გამოყეტილში. სასამართლოზე დამწყევლა ყველამ - ბექასიანებმაც და ჩემიანებმაც.

- სირკუზი! ეგდე აქ და ამოლპი! - მომიგდო იქ შავებში გამოხვეულმა ფოლადევამ.

- ეცადე, ცოცხალი არ გამოხვიდე. - სისინით მირჩია შავებში გამოწყობილმა ბექას ძმამ.

- ეს რა გვიქენი, ან შენ თავს რა უქენი, პეტო? - ერთ დიდ მლაშე ცრემლად იყო ქცეული ძალებით მოსილი ყოჩივარის ცოლი.

- ოღონდ თავში არ ერტყათ... - ვთქვი მე. მერე მოსამართლემ ჩაქუჩი მოიქნია.

* * *

- გოცირიძე, გამომძიებელთან!

- მეე?

- გაგირითმო, ვაუკაც?

- მოიცა-მოიცა, ახლავე უფროსო!

ხელები ჯერ უკან ნამაღლებინეს. მერე დერეფანში გამიყვანეს. ერთი სართული ავიარეთ. მეორეც. მერე მნკლარტე შუქით განათებული კორიდორი იყო. მერე დარბაზი. მერე ისევ ცივი კორიდორი - კარი. ოთახში, მაგიდასთან გამომძიებელი იჯდა და დამწყები სირინზივით იღიმებოდა. აქ რატომლაც გამაცივა და თვალებში რაღაც ბლანტი სიმუქე ჩამომძღვარა.

- დაჯე აბა, ჯიგარო. - ამჯერად სხვანაირად მითხრა გამომძიებელმა, თან ისე, რომ სკელი მზერა არ მოუცილებია.

- რა ხდება, უფროსო... - ძლივს გადავყლაპე რახათლუბუმად ქცეული ნერწყვი.

კაი ხანს მიყურებდა. ბოლოს ყველაზე წარმოუდგენელი თქვა:

- ბექა ყოჩივარი ცოცხალი აღმოჩნდა...

აქ სისხლი მომანვა საფეთქელებში. თან გულიც ბოლომდე ამიჯაზდა.

- მეეაიფებით, ბლიად? - ესლა წამომცდა გაოგნებულს და ზურგს უკან მდგომს პოლიციელს გავხედე. მერე ისევ გამომძიებელს, მერე ისევ პოლიციელს.


- გიხარიდენ. მაგრამ გარეთ მაინც ვერ გახვალ... - გამომძიებლის ამ სიტყვების იქთ აღარაფერი მახსოვეს, იმიტომ რომ გამარტარებული მთელი ძალით მივენთხლი კედელს თავით და ეგრევე გავითიშვ.

* * *

- ა ი მაგარი ჭამა მაშინ პეტო გოცირიძემ, გოგოუბო, და ეგდოს ახლა ეგრე ვეუბნებოლი, ნუ სვამ, პეტო, ნუ სვამ ამდენს, ციროზი იცის ტკინში... ვინ გიგდო ყური... - არაბულ ტახტზე შიშვლად მჯდომ ზემფირა ფოლადაევას თანთალა ბარძაყაბზე ისევ „ახავილ პროტექტ“ პეტოდა გადაშლილი. - აქ რომ ბის პროტექტ ჩარავილ ჩატატერს მაგან და ბექა ყოჩივარმა, მერე თურმე გარეთ ისევ ჩაბრატდენ. ბუხონზე მაგარი გაეხსნა ბექუნას და ბავშვობის ოცნება უნდა შევასრულოო. არა, იმენნა კვერცხი არ იყო ამხელა ვერზილა? ცხვარში უნდა გავგაზო ახლავეთ. რა ცხავი, ტო... ამანაც, ნასკივით ბუხონმ, მიცა თავისი ბათონები, იმან ჩატაცეთ თავისი სანდლები, და მართლა არ გაგაზა ორთაჭალის ავტოსადგურისკენ?.. იყო მერე იმ ცხვარში, ეგ მართლა ცხვარი ეგა, კაი სამი თვე თავისი ელდაკიზლარებით. უკრავდა სალამურზე სირივოთ, ჯოხი ეჭირა და ჰაცევე. ეს დურავი პეტო კიდე ააგდო პოლიციამ და ვაფშე არაფერი არ ახსოვდა. თან ბექას სანდლებში ტასაბდა. იმენნა გაიგდეს მწარედ, და კი დანერა ბოლოს, რომ დაბრიდა პრატი სიმოვრალეში და მტკავარში იალა უქნა. ბექუნა კიდე დაიხატა ორი თვის მერე უფ-ზდაროვ, და ბრახ - რას ხედავს? პეტო ციხეში ზის მის დაბრედვაზე, ოთხი წელი აქ და ხეხამს ცივ კოიკას. რატო ასე ცოტტ? ეე... ეგ მე ვუჩალიჩ მაგ შეიზოდა, მაგას. გამომძიებელმა დაკითხავაზე - ორი ვარიანტია: ან წავა დიდ სროვზე, ან კიდე აფექტი, თავდაცვა და პატარას გავუფლომებოთ... აი, მაგრან ვჭამე მაშინ მეც. ამოღებული კოფტა მეცვა და სუ შიგ მიუურბდა ეგ ჩემის შერლოკ ხომის... პეტო შემეცოდა, მაინც სკიორა, თორო ეგრე ნაპარავო-ნალევა ქალი კი არ ვარ, ტო... მოერლი ორი კვირა დადიოდა ჩემთან ეგ ჩემის გამომძიებელი... ყველა გამლილი ზონტიკი ისვერებდა... საქმეც გაკეთდა. ყორივარმა კიდევ, ცოცხალი ვარო. გამოსილი ცველა, არ გამოუშვეს მანწ... ოთხი კი მოუხსნეს, მაგრამ ორით შეუცვალეს - რიუა პაკაზანის მიცემისთვის. ატანს ახლა ბექა ყოჩივარი ციხეზე პერედაჩებს პეტოს დედას და აქმევს იმ ქლიბს. სხვა რა გზაა... ორი წელი დარჩა. დებილები რა... აუ, ზემფირა ჩართე ერთი, ჩემი გოგო. დაყრუ-ვდი ამ საჩუმეში...

- რომელი?

- „დასვიდნი“ იყოს... კაი ვეშია. ხო, ჩვენ სად ვიყავით? აგერ... „მეორე დღეს, როცა ისინი გზაში იყვნენ და ქალაქს უახლოვდებოდნენ, იქნებოდა ასე ექვსი საათი, რომ პეტრე ერდოზე ავიდ სალოცავად. მოშივდა და ჭამა მოუნდა. ვიდრე რამეს მოამზადებდნენ, ალტაცებაში მოვიდა. და იხილა გასხნილი ცა და გარდმომავალი რაღაც ჭურჭელი, დიდი ტილოს მსგავსი, რომელიც ოთხი კიდით ეშვებოდა დედამინაზე. მაშინ იყო დედამინის ყოველნაირი ოთხფეხი, ქვენარმავალი და ცის ფრნეველი. და ხემ იყო მის მიმართ: „ადეკი პეტრე, დაკალ და ჭამე.“ მაგრამ პეტრემ თქვა: „არა, უფალო, არასოდეს არაფერი მიჭამის ბინიერი და უწმიდური.“ მეორედ კვლავ იყო მის მიმართ ხას: „რაც ღმერთმა განმინდა, ნუ მიიჩნევ ბინიერად.“ ასე მოხდა სამგზის და ჭურჭელი ცისკენ ამაღლდა“. არა, ხედავთ ტო? ზნაჩიტ, ყველაფრის ჭამა მოსულაო, გაიგონეთ?.. მოიცა, დავახურო ეს წიგნი ჩემ მეზობელ მაგდას თავზე. რო



ზაბალა თავისი ისპანახით, თან უკვერცხოდ. ხორცი არაო, რეჯ არაო, დაჟე კარაქი, მანინი და სმეტანაც არაო. პური, ნეალი და მწვანილის ბალახი ი ვსოო. რა უნდა, ტო? არადა, რა ნაშა იყო, იცით? ახლა ორმოცი კილოა, ბოჟე მოი. ქარი როცაა, გარეთ არ გამოდის... და როცა გამოდის, სუმაში ხორცის გასატარებელი მაშინკა უდევს, რო არ წაიქცეს... ალბათ ვაფშემც გაქრება მალე... არადა, პეტო გოცირიძემ მართლა მაგარი ჭამა. ხო... ნუ, მეც ხომ ვჭამე და ვჭამე... მომშივდა რალაც. პერაშეზე რომელი გამეგზავნებით?.. ჰო. ის დამავიწყდა: საცოდავმა პეტომ ციხეზე მარჯვენა ხელს პაკა უთხრა... განგრენა დაემართა და მოჭრეს დირში. არადა, რამდენიც ალბათ მაგ ხელით უმუშავია... აფსუს!

* * *

ისევ აქ ვარ. პეტრი კი არ დამრჩა. გარეთ რომ ვიქნები - ნახატების ახალი სერია უნდა გავაკეთო: „ცაცია“. მარცხენა ხელით დახატული ალბათ სულ სხვა გაგება იქნება. პირველი ვიცი, რაც უნდა დავხატო. უკვე დავიწყე ესკიზების კეთება. ფურცელიც მაქვს და ფანქარიც. მოკლედ, ეგეთი რამეა იდეაში - ჩახს სოფლის გზა, გრუნტიანი, გარდიგარდმო ბულავარდინილი, მაყვლის ბურჩებით. ცხელა სასტიკად. გზას პორიზონტისკენ მე და ბექა მივუყვებით მხარდამხარ - ხედი ზურგიდან. ნახატი იქროსფრად ანათებს და ნელზევით შიშვლებს კანი მზისგან გაზეთილი გვაქსეს. ნახატის მთავარი გასხმა ისაა, რომ მე მარცხენა ფეხზე და ბექას - მარჯვენაზე, მისი კორეული სანდლები გვაცვია. იმას ცალი და მეც - ცალი. ანუ, ძმაკაცურად რა. ჩვენ როგორც ვიცით ხოლმე...

„გაფრინდინელას“ შესახებ

[...] ბესო ხვედელიძის წინამდებარე რომანი 1996-97 წელს დაწერილი ამავე სახელწოდების მოთხოვნიდან არის ამოზრდილი. ძევლი „გაფრინდინელა“ ძირითადად ყმაწვილეაცის ცხოვრების ამსახველი სურათებისაგან შედგებოდა. გამოკვეთილი სიუჟეტური ხაზი, ისევე როგორც გამორჩეული, არაორდინაციური სამოქმედო ფონი მას არ გააჩნდა. პრინცეპი, ეს იყო სცენების ნაკრები, რომელთა ბმულობის ხარისხი არცოდ ისე მაღალი იყო და თეორიულად, სულ იოლი შესაძლებელი იყო მათი დაშლა და ახალ, უფრო ჩამოყალიბებულ, შთაბეჭდავ ტექსტუალურ ველში მათი განთავსება. ალბათ სწორედ ამან უბიძგა ბესო ხვედელიძეს ახალი „გაფრინდინელას“ დაწერისაკენ. უფრო სწორად, მას ახალი „გაფრინდინელა“ არც კი დაუწერია. მან დაწერა ახალი ნანარმოება, რომლის მასალადაც „გაფრინდინელას“ ოდნავ სახეცვლილი ეპიზოდები გამოიყენა, იმავე პირველ კრებულში შესული კიდევ ერთი მოთხოვნის, „ქათიმის დღის“ სცენათა ვარიაციებიც წაამატა და რატომძლაც მას ისევ „გაფრინდინელა“ დაარქვა. არადა, მე რომ მკითხოო, უფრო უპრიანი იქნებოდა, მისთვის, როგორც თვისობრივად სხვა ნანარმოებისათვის, ახალი სახელწოდება მიეცა – ვთქვათ, „როზენბურგი“.

როზენბურგი მთავარი გმირის ბავშვობისდროინდელი გეოგრაფიული გატაცებების შედეგია. რეალურ რეაგათა თვალიერება-შესწავლის შემდეგ მას უჩიდება საკუთარი ქალაქის იდეა-ხატი, და ეს ხატი კარტოგრაფიულ იმიჯებში გადაყავს. და ამის მერე მთელი მისი ცხოვრება ამ ნარმოსახვითი ქალაქის ქუჩებსა და შენობებში ნარიმართება. ალბათ დამეთანხმებით, რომ ეს იდეური თარგი სრულიად ახალია „გაფრინდინელასათვის“ და ღომინაცურიც. ბესო ხვედელიძე ფაქტურად სხვა რაღაცაზე ინყებს წერას და „გაფრინდინელა“ ამ ახალი თემის სრულ დაქვემდებარებაში აღმოჩნდება. [...]

ვინც ბესო ხვედელიძის შემოქმედებას ასე თუ ისე იცნობს, იცის, რომ ეს ავტორი ენობრივი თვალსაზრისით არაერთგვაროვანია: მას აქვს მოთხოვნები, სადაც ქალაქელები რატომძლაც მეტყველებენ სტილიზებული კახური დილექტით, აქვს ტროკებით გადახუნდლული პოეტური ნანარმოებები, აქვს მარგინალური ხასიათის ტექსტები, სადაც ენა შესატყვისად რადიკალური ვერ ხდება, მაგრამ იქითკნ კი მიისწრაფვის. გარკვეული დოზით ჭველა ამ ტიპის ენას აერთიანებდა რაღაც საერთო, რაღაც ძნელად

მოსახელთებელი უცნაურობა, და მე ვფიქრობ, ეს უცნაურობა ყველაზე უკეთ ამ რომანში გამოიკვეთა. სემანტიკურ ანალიზში ამჯერად ვერ ჩავღრმავდებით, ამიტომ შევეცდები გარეგნული განმსაზღვრელი მახასიათებელი ამ ენისა მაინც გამოკვეთოთ.

არის ტექსტები (ვთქვათ, გურამ დოჩაბაშვილისა), სადაც პირდაპირაა გაცხადებული ავტორის უინი სალტერატურო ენის ახალ სინტაქსზე, ახალ კანონებსა და უდერადობაზე გადაწყვიტებისა. ბესო ხვედელიძესთან ასეთ მიმართებას ცხადად ვერ დაინახავს მკითხველი, მეტიც, თითქოსდა ავტორის სული მეტყველება კანონების სრული დაცვით მიმდინარეობს, მაგრამ აი, კითხულობ ტექსტს და თანდათან სულ უფრო და უფრო გაუფლება განცდა, რომ ეს რაღაც „სხვა“ ქართულია, ისეთი, რომელსაც არა ხარ მიჩვეული, რომელიც ბუნებრივად ვერ მიედინება. არადა, სიტყვა-სიტყვა ამონქმებ და ვერანაირ არსებით დარღვევებს ვერ პოულობ. საბოლოო ჯამში, ყოველივე ეს საეგაო დაბეჭულობაში გაგდებს. და ძალის თავიც სწორედ აქა დამარხული: ეს გარეგნულად ნორმალური ქართული, რომელიც სინამდვილეში „არანორმალური“ და ხელოვნურია, თავისი შეფარული ანომალიური ბერვებს გიფუტების, განვალებს, გირთულებს სათქმელთან და სიუჟეტთან მისელას. არადა, ყველა-ყველა და ბესო ხვედელიძე ნამდვილად ვერ დავაბრალებთ, რომ მან ნესტერი ქართული აი იცის და არ შეუძლია გამართულად წერა. უბრალოდ, მან „გამართული ქართული“ უკან მოიტოვა და კრიზისულ ფაზაში შევიდა – „ხელოვნური ქართულის“ ფაზაში, რომელიც ქმნადობს, თვითგამორკვევის პროცესშია და დღეს, ამ მომენტში ჩემთვისაც აპსოლუტურად უცნობია, თურა განაჩენს გამოუტანს მომვალი ხვედელიძის ამ „ხელოვნურ ქართულს“. საბოლოოდ აღმოჩნდება, რომ ეს სტილია, თუ საკუთარი სტილის დაჭერის უნაყოფე მცდელობად ჩაითვლება.

ნიშანდობლივი ამჯერად სულ სხვა რამ არის: ის, რომ მთავარი გმირის ამ ნარმოსახვით, ხელოვნურ ქალაქში ცხოვრება იმღება ამ ხელოვნური ქართულის ენობრივ ქსოვილში; და ეს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩემთვის მხატვრული ხერის ადეკვატურობას ნიშნავს. ეს პლასტიმასისებური, სინთეტური, დახუთული ქართული თანდათან ხუთავს პერსონაჟსაც და შემთხვევებით არაა, რომ საბოლოოდ იგი კლასტროფიბიულ სივრცეში გამოკეტილი აღმოჩნდება. თუმცა ეს ენა ერთსახა არაა და სხვა ტიპის მინარევებსაც შეიცავს. [...]

შოთა იათაშვილი
რომანის წინათქმიდან. 2004 ნელი.

საზოგადოებიდან გაეცევა


კობო აბეს ერთ-ერთ მოთხრობაში სასონარკვეთო-ლი მამაკაცი ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ იღებს ცარ-ცის ნატეხს, კედელზე ხატავს კარს, შემდეგ აღებს მას და შეუცნობელ, უცხო განზომილებაში შეაბიჯებს... ასე ანერა მწერალმა უკანასკნელი საშუალება, რომ-ლითაც პიროვნება სოციუმისაგან და მის მიერვე შექ-ნილი ცივილიზაციისაგან თავის დაღწევას ცდილობს. ზოგი თვლის, რომ რეალობიდან გაქცევა, შესაძლებე-ლა, ცხოვრების წესი იყოს, ზოგიც კი მას ახალგაზრ-დობის ერთ-ერთ მანეირ თვისებად მიიჩნევს.

ბესო ხვედელიძის რომანი (უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით „რომანი-იგავი“) „გაფრინდნელა“ ასე-თვივე ესკაპისტური ნანარმოებია. იგი გარკვეული გაეცით ქართული ლიტერატურული ტრადიციების გამოწვევაა, რადგან კონფლიქტისა და მაკვადრებულ გემოვნებასთან, ეტიკეტთან. აქ სტილი სტილს უპ-ირისპირდება, ჟანრი – ჟანრს, რომანი ნინაღმდე-გობებითა სავსე. მას მხოლოდ თავისი შინაგანი ლოგიკა აქვს, სხვადასხვაგარი ახსნის საშუალებას იძლევა და მკითხველს დაალოგში იწვევს.

ვინც ამ წიგნს ტრადიციული ნიაზით წაიკითხავს, თარაშ ემხვარივით დაიკვნესხს: „გახუნდა ჩემი საყ-ვარელი ფერები“-ო და მართალიც იქნება, რადგან მასმი ვერ შეხვდება ტრაგიკული ეპოქის სცენებს, რაყიფების რაინდულ პექტობას და შეყვარებულ-თა მეღანქოლიურ პათოსს. რომანში ტრადიციული, ავანგარდული, მისტიკური, აბსურდის და სხვა ლიტ-ერატურული ხერხები გვერდივგერდაა გამოყენებული. ალარაფერს ვიტყვი ჟანრული ფორმების მრავ-ალფეროვნებაზე. რომანში ლექსებსაც შეხვდებით და ნოველასაც. ეს უკვე აღარაა „დიდი მიზნებისა“ და „დიალი იდეებისა“ მნერლობა (რასაც ათწლეულების მანძილზე მიგვაჩიიეს). იგი ახალი ტალღის ნონკონ-ფორმისტული ნანარმოებია, თუ გრძებავთ სულიერი ნინაღმდეგობის ლიტერატურა. [...]

„გაფრინდინელა“ ერთ პერსონაჟის – კოკას აღ-სარგაბა, უფრო ზუსტად მისივე ცხოვრების რეტ-როსპექტული ხედვა და ჭეშმარიტების შეცნობის მცდელობა იმ ფაქტების, ნიშნებისა და სიმბოლოების მიხედვით, რომელიც ყოველი ადამიანის ცხოვრე-ბაზე, მატერიალური თუ სულიერი ობიექტების საშუ-ალებით ახდენს ზეგავლენას.

კოკას საკუთარ საარსებო სივრცესთან აქვს კონ-ფლიქტი, ამიტომ იგი იძულებულია ბრძოლის ველს გაუცალოს, და მის მიერვე გამოგონილ იდეალურ




ქალაქ როზებურგში იქინაოს ბინა. მან საზოგადოე-ბაში დამკვიდრებულ ცხოვრების წესს ნარმოსახვით სამყაროში გაქცევა ამჯობინა. [...]

იდეალური ქალაქი – როზენბურგი, რეალური სამ-ყაროს სრული ანტიპოდია. მათი ტემპი განსხვავდება ერთმანეთისაგან. სოფლის უზრუნველ, მშვიდ სცენებს როზენბურგის ნერვული, აჩქარებული მოუთმენლობა უპირისპირდება. რეალურ ცხოვრებაში სიყვარულში ხელმოცარული კოკა როზენბურგში ოცნების ქალს, დოლორესს ხვდება და თავს ბეჭდიერად გრძნობს. იგი ახალ თავისუფლებას პოულობს და ცდილობს დაიბრუნოს ის, რაც მას ცხოვრებამ წაართვა.

როზენბურგი გარშემომყოფთათვის დაფარულ, ხელმიუწვდომელ სივრცეშია განთავსებული. იგი გმირის შიგნით, მის ცნობიერებაში არსებობს და კო-კას ოცნებისა და შიშის სამყაროა. ეს ქალაქი იზიდავს და იმავდროულად ემუქრება მას. ამგვარი ფორმით აბსურდული სიტუაცია სრულიად რეალური და ხელშესახები ხდება (რა თქმა უნდა ლიტერატურული გაგებით). ამ ხერხით მწერალი არა მხოლოდ პერსონაჟის სულიერ მდგომარებას, არამედ რეალურობის მეტაფიზიკებას ადგენს. რეალურ სამყარო მისი პას-ტორალურობის მიუხედავად უფრო საშიში და დაუნ-დობელია, ვიდრე როზენბურგის აფორისაქებული ურ-ბანზმი. აქ არ შეიძლება ერთი ბიბლიური პარალელი რომ არ გაგვასხენდეს: აპრაამის ძმიშვილი – ლოთი – სანამ სოდომში ცხოვრობდა, წმინდა და მართალი ადამიანი იყო. იგი მხოლოდ მაშინ წანყდა, როდესაც ამ ცოდვის ბუდეს გაეცალა და თავი სამშვიდობოს იკრძნო. როდესაც ავტორი როზენბურგის სცენებს გვიხატავს, იგი სინამდვილეში იმ ტრაგიკულ გაორე-ბას აღწერს, რომელიც კოკას სულიერ სამყაროში ხდება. [...]

გიორგი კაკაბაძე
„ნიგნები - 24 საათი“

ლამ გ



ლაო მა თანამედროვე ჩინელი მწერალი და ლიტერატურათმცოდნე, პეკინის უნივერსიტეტის (დღუდებით თავისი მნიშვნელობით ჩინეთის მესამე უნივერსიტეტის) პროფესორი და მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატია. გასული საუკუნის 90-იან წლებში ავტორი რომანებს წერდა, მაგრამ 2000-იან წლების მიწურულს მცირე პროზაზე გადაერთო და დღესდღეობით იგი მცირე პროზის ცნობილი ოსტატია, რომელ მოთხოვნილი ისტორიები ქვეყანის შიგნითაც პოპულარობით სარგებლობს და უცხო ენებზეც ხშირი ითარგმნება. ლაო მაზე დიდი გავლენა იქონია ჩიხეოვის, ზოშტენკოს, ბორჩესის და იაპონელი მინიატურისტების შემოქმედებამ. მისი პერსონაჟები, ძირითადად, ინტელექტუალები არიან, მაგრამ არც უბრალო ადამიანები ყოველდღიური ცხოვრება რჩება ავტორის ყურადღების მიღმა. თავად მწერლის აღიარებით, მისთვის არ არის მნიშვნელოვანი, არამედ – ისიც, რომ მის მიერ აღნერილი სიტუაციები არ იყოს აბსტრაქტული ან – მეორე ხელიდან მოპოვებული, და რომ მის მიერ აღნერილი სიტუაციებში მისი პირადი გამოცდილები ფიგურირებდეს. ლაო მასთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გონებაშეზღუდული ან მრავალი ურთიერთგა სხვავებული მიზეზით დემორალიზებული პერსონაჟების გალერეის შექმნა, არამედ იმ სოციალური ფონის პოლიტიკურ გარემოებათა გამოყენებისა და რომლებიც ხელს უწყობენ ასეთი პერსონაჟების ნარმოშობას.

ლიტერატურის კოლე

մառյլ բանյո

თუკი ლავონურობა მახვილებრივი სულია, ჩინელი ნოველისტი ლაო მა თანამედროვე ვოლტერი ან ოსკარ უაილდი ყოფილა. მისი წიგნი მოიცავს 178 გვერდში მოქცეულ 55 სატირულ ამბავს, თითოეული მათგანი კი ჩინელი აკადემიკონ სებისა და ბოურგორატების მექრთამეობასა და ამპიციურობასა ასახავს გასაგებად, სარკასატულად და არა ბოროტად.

ლამ მა, ფსევდონიმით მაი იუნჯი, არ არის გამდეგარი საზოგადოებრივი ცხოვრებისგან. მას პროფესორის პოსტი უკავია რენმინის სახალხო უნივერსიტეტში, პეკინში. იგი დამოუკიდებლად მოაზროვნე პიროვნებაა, რომელიც არ უშინდება კულტურული პიუროვრატის ზენოლას.

„ერს, ომელასაც არ შეუძლია, დასცინოს საკუთარ თავს, ყოველთვის ექნება მედიდური ხასიათი. თანამედროვე ჩინეთი ჩვენი პოლიტიკური სისტემით, ეკონომიკითა და ყოველდღიური ცხოვრებით სწორებდ ამას ადასტურებს“ – ამბობს იგი „Time Out Shanghai“-სთან ინტერვიუში.

„თემები ჩემი ნოველებისა უმეტესწილად მიმდინარე მოვალენებს, ჩინეთის თანამედროვე მდგომარეობის გამოკვეთილ პრობლემებსა და ყურადღების ობიექტებს ასახავს.“ – ამ ბობს იგი. „მე მხოლოდ დამკვირვებელი კი არ ვარ, არამედ ვმონაზილეობ ჩემს მონათხრობში. მე ვყვები ისტორიებს ინ ცხოვრების შესახებ, რომელშიც თავად ვცხოვრობ და რომ ლის მომსწრეც ვარ. ადამიანთა თითოეულ მარცხს, რომელთაც ირონიულად დავცინი, ვპოვლობ არა მხოლოდ სხვებში, არამედ საკუთარ თავშიც.“

ლაო მა არც თანამედროვე მწერლებთან დაპირისპირებას ერიდება, ამ შემთხვევაში ნობელის პრემიის ლურჯეატ მოიქნთან, რომლის სიტყვებსაც იგი შესავალში ახსნებს: „ტექსტი უნდა იყოს ვრცელი, რათა ხელიკინების ნიმუშად იწოდებოდეს.“ მოს მიხედვით, „ნებისმიერი ტექსტი, რომელშიც 200 000 სიტყვაზე ნაკლებია, ღირსებას მოკლებულია. ლეიპარდშეიძლება იყოს სასტიკი და მამაცი, მაგრამ მეტისმეტად დაბალი სიმაღლისა იმისთვის, რომ ჯუნგლების მეუღლე იწოდებოდეს. საკუთარი სტანდარტებით, მო იერი ვეფხვს შეიძლება შევადაროთ.“ მეორე მხრივ, ლაო მას, ცხადია, არ აქვს ამ-ბიცია, რომ იყოს მწერალი-ვეფხვი, იგი ლიტერატურის კოლა, რომელიც სწორად უმიზნებს და კარგს კორუმპირებულ და ქედმაღალ თანამდებობის პირებს და ზოგჯერ მათთან ერთად გულუბრყვილო და უცოდინარ უსაქმურებსაც.

თავად ნოველები კონსპექტზე უფრო მოკლეც კია, მაგრამ მოიცავს, მაგალითად, ფილოსოფიის პრინციპების და მის სიტყვებს სტუდენტების მიმართ: „მხოლოდ სულელები და იდიოტები სწავლობენ ფილოსოფიას, რადგან ფილოსოფიას ზრდის გონიეროვი შესაძლებლობებს. გონიერი ხალხი თავისთავად უკვე გონიერია, ამიტომ მათ არ სჭირდებათ იგი. სულელებს და იდიოტებს სურთ, რომ იყვნენ გონიერები, ამიტომ

ისინი სწავლობენ ფილოსოფიას.“ მის სტუდენტებს, ფაქტორინვად, არც აქვთ სურვილი ისნავლობ ამგვარი ღრმაბაზროვანი საგნერი და ურჩევნიათ, დაუკავლონ რამებ პრატიციტულა. მაგალითად, მზარულობას ან ბუღალტერიას. ისინი არ აქცევენ ყურადღებას საკუთარ ლექტურს და ზოგიერთი მთგანი ფანჯრიდანაც კი ხტება, რათა გაიქცეს. როდესაც პროფესორი გადადგება, იგი შეიძნეს უზარმაზარ, მახინჯ ძალას, რომელიც არ ემორჩილება მის პრძნანებებს. მაგრამ, მიუხედავად გამუდმებული, ფუჭი ძალისხმევისა, პროფესორი ინარჩუნებს იუმორის გრძნობას და ძალას არაძივს, „ოლოოსოფიას“.

ან თუნდაც ამბავი კაცისა, რომელიც
ბრუნდება საზღვარგარეთ ხანძოელე მოგზაუ-
რობიდან და რათა კარანტინში მოათავსონ,
შენიღბული პოლიციელები განიზრახავენ მის
აცრას, რაც შეაშინებს მას. იგი დარწმუნებუ-
ლია, რომ ისინი მის წამებას აპირებენ, იტყვის
ყველაფერს კორუფციასა და მექრთამეობაში
მონაწილეობის შესახებ და საკუთარ თავოთან
ერთად სხვა დანარჩენებსაც დაასმენს. ამბავი
მთავრდება წინადაღებით: „თუ თმეტდღიანი
კარანტინის შემდეგ საავადმყოფოდან იგი
უმაღლეს სასამართლოში გაგზავნეს.“

მისი ნოველები პოლულარულია, ზოგჯერ
კი საშუალებას იძლევა, კაფეკას მსუბუქ, ჩინურ
ვარიანტს შევადაროთ. ისინი, ერთი შევედვით,
უმნიშვნელო და მიკიბულ-მოკიბულია, თუმცა
ნათელს ჰეფენს ჩინეთის საზოგადოების აპურ-
დულობას ამავე საზოგადოების წარმომადგენ-
ლის თვალთახედვით, რომელსაც არ ეშინა
ლაპარაკის.

მცირე არის პარგი

მცირე პროზის ოსტატი, ლამ მა ჩინელ
მკითხველს ახალი უანრისუკენ უკვალავს გზას.
იგი Time Out-თან ინტერვიუში ჰყვება, თუ
რატომ არ არის მისი პოპულარობა დღოე-
ბითი.

არავის შეუძლია ზუსტად იმის თქმა, თუ რატომ გახდა მცირე პროზა ასეთი პოპულარული. ულტრა მოკლე ფორმატი, თხ-ზულებები, რომლებიც მხოლოდ 300 სიტყვას მოიცავს, არც ახალია და არც ჩინეთში იღებს სათავეს. დასავლეთში მისი ფესვები ეზობას იგავებში მოიძებნება (ქრ.შ.-მდე 620-

560 წ.), ხოლო ჩინეთში მისი მამამთავარი პუ სონგლინგია — ავტორი წიგნის „უცნაური ზღაპრები ჩინური ატელიედან“ (1740 წ.) და რიგი ზებუნებრივი ზღაპრებისა, რომლებიც დაიწერა ქინგბის დინასტიის ადრეულ პერიოდში. თუ ასე, რატომ შემოიდის ლაკონურობა კვლავ მოდაში?

ერთ-ერთი თეორიით, მცირე პროზა პოპულარული საკუთარი პირდაპირობის, ენის გარკვეულობისა და პოზიტისა და პროზის შერწყმით გახდა წარმატებული მოკლეტექსტური შეტყობინებებისა და მცირე ბლოგების წარმოების ერაში. უპირველესად, ეს ნორმიდან გადასვევაა; ნორმას კი ჩინეთში გამოხატავს მორმა, დანესხა და ვალდებულება იმის რწმენისა, რომ „მეტი მეტია“.

„მრავალი პროფესიონალი ჩინელი მწერლის პონორარს განსაზღვრავს სიტყვების რაოდენობა, რაც მთავარი ბიძგია ვრცლად წერისაკენ“ — ამბობს ჰარვი თომშინისონი, გამომცემლობა „make do studios“, პონგ-კონგის საგამომცემლო სახლის დმიარსებული და ავანგარდისტი მწერლების წარმოების ინგლისურად გავრცელებაზე პასუხისმგებელი. Make-Do-მ ახლახან გამოაცევნა მცირე პროზის ოსტატის, ლაო მას ნოველებს კრებული. მისი ნოველები ეფექტური და სარდონიულია. 178 გვერდაზე ნიგნი მოიცავს 55 ნოველას, მათგან რამდენიმე კი მხოლოდ ერთ გვერდს იტევს, სადაც ხდება პაროდიება ჩვეულებრივი, ჭკუამოკლე ადამიანებისა.

მონათხოვბი ამბები ფანტასტიკურთან ერთად რეალისტურია, მაგალითად, „ვერცხლის ენაში“ პატივცემული ორატორი დანაღვლიანდება იშვიათი მდგომარეობის გამო, რაც მის დამურჯებას განაპირობებს. მას მხოლოდ ჯანმრთელობისთვის სასარგებლოდ გამოყენებული ნაღდი ანგარიშსწორება კურნავს. „საინტერესოში“ პროფესორი იუნგ ჰოუ მძვინვარებს იმ ეპიდემიის გამო, რომელიც თანამდებობის პირების გარევნას განაპირობებს, მხოლოდ იმისთვის, რომ თავად მიიღოს სამუშაო კვეყნის სამართველოს წარმომადგენლად — და სწორედ ამიტომ მას არ შეუძლია სისტემის შინაგანი გაუმჯობესება.

რამდენად მხატვრულია მისი თხზულებები? „თემები ჩიმი ნოველებისა უმეტესწილად მიმდინარე მოვლენებს, ჩინეთის თანამედროვე

მდგომარეობის გამოკვეთილ პრობლემებსა და ყურადღების ობიექტებს ასახავს.“ ამბობს იგი. „მე მხოლოდ დამკერივებელი კი არა ვარ, არამედ ვმონანანილეობ ჩემს მონათხოვბის ცი, მე ვყვები ისტორიებს იმ ცხოვრების შესახებ, რომელშიც თავად ვცხოვრობ და რომლის მომსწრეც ვარ. ადამიანთა თოთიეულ მარცხს, რომელსაც ირონიულად დავცინი, ვპოულობ არა მხოლოდ სხვებში, არამედ საკუთარ თავშიც.“

არის თუ არა ნოველები ფარული ფრუსტრაციის გამოვლენის საშუალება? „შესაძლოა, ისინი მართლაც ფრუსტრაციის გამოხატვის საშუალებაა, მაგრამ მირჩევინა, ჩიმი აზრები გამოვხატო იუმორის მეშვეობით. იუმორი უფრო მძლავრი საშუალებაა, ვიდრე რაიმეს საზეიმოდ გამოაქარავება. მისი ფიცია ნამდვილად ასახავს ცხოვრების რეალისტურ მოვლენებს, ზოგჯერ კი საოცარი აკურატულობით გამოიჩინევა. ნორმერში, უურნალი „Economist“ ირწმუნებოდა, რომ ერთ-ერთი მომსახურე პერსონალი სტუდენტთა მიღების განყოფილებიდან რწმინის უნივერსიტეტში, დააკავეს მაშინ, როდესაც იგი ქვეყნიდან გაქცევას ცდილობდა მას შემდეგ, რაც ქრთამის აღების სკანდალში გარეული აღმოჩნდა. „მსგავს თემატიკას მივმართავ ჩიმს ნოველებში — ამბავიც კი დავწერე გადაბირებული სტუდენტის შესახებ. კორუფციის ფერმენი ნამდვილად არსებობს ჩინეთის მრავალ კოლეჯში, თუმცა ინციდენტი, რომელიც რწმინის უნივერსიტეტში მოხდა, ცალკეული შემთხვევა და არ გამოხატავს საერთო სიტუაციას.“ ამბობს იგი, ამონმებს რა კავშირს ფაქტსა და ფიციას შორის.

ლაო მა დაბადა დონჯიაგოუში, დალიანთან ახლომდებარე სოფელში. ბავშვობაში მან თავად ისწავლა კითხვა გაზიეთებიდან, რომლებიც მისი სახლის კედლებს ამშვენებდა. სკოლაში ბრწყინვალე მოსწავლე იყო. მამ უმაღლესი ქულები მიიღო გაოკანის კოლეჯის გამოცდებში, რამაც განსაზღვრა რწმინის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების პერსპექტივა. მას არ ჰქონდა საშუალება ლიტერატურის სწავლისა, მიუხედავად იმისა, რომ მას თავად სურდა ეს; სკოლის დრეკტორმა აიძულა იგი, რომ აერჩია ფილოსოფია, ხარისხი, რომელიც მას წარმატებას მოუტანდა თავის მსარები.

მიუხედავად იმისა, რომ მცირე პროზა ჯერ კიდევ არაა დამკეიდრებული, მა ამბობს, რომ იგი არც ისე უჩვეულოა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. „ჩინელ ხალხს გააჩნია კულტურული გენი, რომელიც დიდ საქმეებში ეხმარება მათ, თუმცა ჩვენ გვაქვს ერთი იდიომა — „მცირე არის კარგი“. Xiaoshuo (ნოველა) ნიშნავს „მცირე ამბავს“, ამიტომ მცირე საგნები არ არის უცხო სალიტერატურო წრისთვის.

ამჟამად, ვეფხვები კვლავ ინარჩუნებენ საკუთარ პოზიციას, თუმცა ლეოპარდებიც ებმებიან მარშში. მცირე პროზა, როგორც ჩანს, არც ისე მცირეა, როგორც ამას თავად მისი სახელნოდება გვთავაზობს.



ମୂର୍ଖ ଦୀ

საღგურის პოლიტიკური

დირექტორის ოფისის უფროსს, სხვა არჩევანი არ მაქვს. ყოველთვის მიწევს რამებ მნიშვნელოვანი ან გადაუდებელი საქმის შესახებ მისთვის ანგარიშის ჩაბარება. უკიდურესად როულია მასთან საუბრისას წინადადებების დასრულებაც კი. ისდა დამრჩენია, რომ სათქმელი მაშინ ჩავურთო, როცა იგი საუბრისას ამოისუნთქავს ან რამის დალევას გადაწყვეტს. თუმცა, სიმართლე რომ ვთქვათ, სადგურის კონტროლირო იქვათად ჩერდება პარაზიტის ჩასასუნთქად ან საუბრისას რამის დასალევად. თუმდაც გასულ კვირას, მის ოფისში შევიზინებ და აღელვებულმა შევატყობინებ:

„დირექტორმა...“

როგორც ყოველთვის, მან მოულოდნელად გამარტვეტინა
სიტყვა:

„აპ, დირექტორი ჩემი ძველი მეგობარია. ერთად ვმუშაობ-
დით ქალაქებარეთ და კოლეჯშიც ერთად ვსწავლობდით. მიგ-
ვიანებით მან კორესპონდენტად დაინიშნ მუშაობა, მე კი ტელ-
ენამყვანი გავხდი“...

კონტროლიორმა, როგორც იქ
ჩემი შანსი გამოვიყენე და ვთქვი

„დირექტორმა...“
მან ხელი უკან წაილო

„დირექტორი ძალიან კარგად მექცევა. ერთხელ გას უცხოეთში ვახლდი. მთელი ჩვენი მოგზაურობა ერთ დღიდ კო-მედიას ჰპატედა... ძალიან ბევრი ვიცინეთ“.

„ပျော်မြန်မြတ်...
မိမိ အစိုးအင် အသာ

„მე და ჩემმა ცოლმა ცხოვრების რთული პერიოდი ერთად განვეღლეთ. ერთ დროს მისი სილამაზე საქვეყნოდ იყო ცნობილი. ქეჩაში სიარულისას მას ყოველთვის ადევნებდნენ თვალს.“

სასონარკვეთილების ზღვარზე მდგარი, მძიმედ ვსუნთქავდი და საათს ვუყურებდი. ერთი საათის შემდეგ კონტროლიორი მსუბუქად წამოდგა და მითხვა:

„აჱ, დღო მიპერის, უკვე ძუადღე. კარგი, დღეისოთვის ქმარა. ვიცი, რისი თემაც გსურთ. უბრალოდ, ისე მოიქეცით, როგორც გითხარით!“

გავლიზიანდი და შევაჩერე:

„ეკონტროლიონრო, ნებას დამრთავთ, რომ ვისაუბრო? მხო-
ლოდ ერთი წინადადება. ამის თქმა და ჩემი დაფუძნება ერთი
იწნება.“

იგი გაოცებული მარმაროლა წარმოვთქვი:

„უპირველეს ყოვლისა, დირექტორმა ამ დილას გადაუდებელ შეცვედრაზე დასწრება გთხოვათ. მეორე: თქვენს ცოლს მანქანა დაეჯახა“.

რაღაცის თქმას აპირებდა, მუგრამ ზურგი ვაქციე, მისი ოთახიდან გამოვავარდი და კარი მოვიჯახუნე.

გაფუჭებული ტელეცონი

მიერვდი, რომ დირექტორი მეპირფერებოდა, როდესაც რჩეულის მისახლებად დამირეკა.

ოფისში ჩემი ნახევარსაემსატრიანი მუშაობის შეფასების ჩვენება ახლოვდება.

„ვიმედოვნებ, რომ ყველა მიიღებს მონაწილეობას. თქვენ ვეტერანი კადრი ხართ ბიუროში და ამ საქმეში გამოცდილი. ამიტომ ვისურვებდი, რომ შენი ჩრევა მომესმინა უპირველესად“, – დირექტორი ტელეცონზე თავაზიანად საუბრობდა.

„თქვენ მე მაქებთ! დიდი გულისხმიერებაა თქვენი მხრიდან უშუალოდ ჩემთან დაკავშირება. მას მერე, რაც ოფისის თქვენს ხელშია, ყურადღება მიაციეთ ცვლილებებს და კონკრეტული საქმების რაციონალურად განხორციელებას შეუწყვეთ ხელი. ყველა, ვინც კი ბიუროში მუშაობს, აფასებს თქვენს საქმიანობას. ჩვენ, ყველანი, აღფოთოვანებულები ვართ თქვენი!“

ველარ ვახტებდი მისი ქებისგან თავის არიდებას.

„მხოლოდ დადგებთად ნუ შემაფასები. იქნებ გაქვთ განსხვავებული მოსაზრებაც?“ – დირექტორმა საუბრის ტონი ისე შეცვალა, თითქოს ტრიბუნიდან ლაპარაკს შეუდგა.

„განსხვავებული აზრი? უნდა დავციქრდე...“, – აღლვებულმა თავზე გადავისუი ხელი.

„უნდა თქვათ ის, რასაც ფირობთ, ნუ ყოფილობა“, – დირექტორის სიტყვები მის მოუთმენლობას ააშეარავებდა.

„დიას, დიას, დიას... – მოვემზადა ანგარიშის ჩასაბარებლად, – ზოგიერთი კადრი აბბობს, რომ პროფესიისადმი თქვენი თავდადება ცვალებადია. ლამების ათევთ თქვენი საქმისთვის.“

მისი მძღოლი, იუნგ ზენგი, ყოველთვის მეუბნებოდა, რომ დირექტორს სჩვეოდა ყოველ საღამოს მაჯონგის თამაში. იგი ყოველთვის სათამაში წაყვანას სთხოვდა მას და მხოლოდ გვიან დამით უშვებდა სახლში. ამის გამო, იუნგ ზენგი მთელ დღეებს ძილ-ლეიიძილში ატარებდა.

„როგორც პასუხისმგებლობით სასეს ლიდერს, განა შემიღლია სამუშაო დროის დასრულების მერე წასვლა? თქვენც ხშირად რჩებით გვიანობამდე, ასე არაა?.. სხვას რას იტყვით?“

– დირექტორი ნასიამოვნები და კმაყოფილი ჩანდა.

„სხვები ამბობენ, რომ საკუთარი თავის მიმართ მეაცრი ბრძანდებით. განსაკუთრებულად არ იკვებებით და მარტივი დოეტაც გაქმაყოფილებით“, – გამასხენდა, რაც მისმა მდივანმა, ოლდ ფუშ მითხვა. ყოველი კვირის ბოლოს ფუთან ახლდა დირექტორს ცნობილი ფერმერების რესტორანში, ქალაქებარეთ, და ისინი სიამოვნებით აგემონებდნენ ხოლმე გარეულ მცნობებასა და ხოლმ.

„ეს ნორმალურია. სწორედ ლიდერებმა და თანამშრომლებმა უნდა გამოსცადონ უპირველესად მეაცრი ცხოვრების პირობები მფლანგველიბისა და ფულის ტყვილებრალოდ ხარჯვის წინააღმდეგ საპრძოლველად. კიდევ თუ მეტყოდით რამეს?“ – მთქნარებით იკითხა მან.

„მეტს არაფერს, არაფერს. ყველა ამბობს, რომ თქვენ შესანიშნავი ლიდერი ბრძანდებით, სამართლიანი, და არ ერიდებით ახალი გზების გაკავალებს“. – ხანგრძლივი ლაყბობის შემდეგ ძილი მომერია, ამიტომ ტელეცონის ყურმილიდან დირექტორის მთქნარება გადმომედო.

„ახლა კი მინდა ვიცოდე, რას ფირობთ დასახლების რეფორმის შესახებ?“ – დირექტორი კვლავ გამოცოცხლდა.

„დასახლების რეფორმის შესახებ? ეს უკრგია, თუმცა, თუმცა...“ – როცა ამ რეფორმის საკითხის მივაღებით, მე ისე მოყვირიბე მთელი ენერგია და შემართება. უფრო ზუსტად, ბრაზი მომერია.

„მაგრამ რა? გარკვევით ისაუბრეთ...“ – დირექტორმა საუბრის ტონი განახლა და კვლავ ბიუროს ლიდერად იქცა.

„ყველა უკავშირობილოა, რადგან რამდენიმე დირექტორის თანაშემწენე და თავად თქვენც, უფრო კარგი ბინებით ხართ უზრუნველყოფილი, ვიდრე უნდა იყოთ.“

„რა თქვით?!“ – დირექტორმა ხმას აუწია.

„ყველა თანხმდება, რომ თქვენი სახლი სტანდარტულზე უკავთსა. ეს ცუდია და საფრთხეს უქმნის თქვენს პრესტიუს გარშემომყოფების თვალში.“ – პირდაპირ ვუთხარი ის, რასაც ვფირობდი.

„რა სჭიროს თქვენს ტელეცონს? ალო! ალო! ალო! რატომ წყდება ხმა? ყველაფერი აირია. ალო! ალო!“ – იყვირა დირექტორმა და ყურმილი დაკიდა.

ტელეცონმა გადამარჩინა. შეიძლება, დირექტორმა ვერ გაიგო ჩემი სიტყვები, რომლებიც პრობლემებს შემიტმიდა. თუმცა, როგორლაც, ტელეცონი ზუსტად საჭირო დროს გაუუჭდა.

რო იცნი

ოლდ იუ ადგილობრივი სამმართველოს მიმღებ ოფისში მუშაობდა. ერთხელაც ბევრი დალია და გული გადამიშალა. მიყვებოდა პროვინციის მმართველთან თავის უზრუნველ ურთიობობებზე. ძალიან სასაცილო ამბავი იყო.

აი, რა მიამბო ოლდ იუ:

„ჩვენ, გუბერნატორი და მე, კურსელები და გულითადი მეგობრები ვიყავით. აქმდე არავითს მითქვამს ეს იმის შემით, რომ ვიღაც ჩემგან სარგებლის მიღებას ეცდებოდა. თანაც უხერხულად ვიგრძნობდი თავს, თუკი კვლავ განვახლებდი მეგობრობას მას მერე, რაც მასთან უსიამოვნება შემეტხვევა. ამ შემთხვევამ მუდმივი უხერხულობის განცდა დამიტოვა.“

გუბერნატორი კოლეჯში, ჩვენ კლასის ახალგაზრდული გაერთიანების განცვლილების მდივანი იყო. მაღალი რანგის თანამდებობის პირის შვილი იყო, ქალაქელი, მე კი – სოფლე-

ლი და ლარიბი ოჯახის შვილი. გამოუცდელი და ნორჩი ვიყავი. ერთ შუადღეს, მან, ახლა უკვე გუბერნატორმა, მაშინ კი გაერთიანების მე-თაურმა, მეითხა, ძეგლდღო თუ არა ორი იენის სესხება მისთვის. დამპირდა, რომ საღამოს და-მიპრენებდა. მე დაკარინხმდი და უყოყმანოდ გავუწიოდე ორი იენი.

იმ საღამოს სამეცნიერებლო ოთახში მნახა, მაგრამ ფულის შესახებ არაფერი უთქვამს. გავიდა ერთი დღე, ორი დღე, სამი დღე... ერთი კვირაც გავიდა და ვალი ჯერ კიდევ არ დაე-ბრუნებინა. ცოტა შევფიქრიანდი. ხომ იცი, მაშინ ლარიბი ვიყავი და მცირე სტიპენდიით ოლას გავდიოდი. ხელმომჭირნებ ვცხოვ-რობდი, ოჯახისთვის რომ მცირეოდენი თანხა დამტეოგა. ახლა, როდესაც ამ ყველაფერს კუფიქრდები, ვრწმუნდები, რომ სიღარიბე ამ-ბიცას აქრობს. ამაზე ბევრჯერ მიფიქრია. მეტისმეტად მუხებრესულებოდა მისთვის ფუ-ლის შესახებ შესხენება, მაგრამ არ ვიცოდი, როდის დამპირუნებდა ვალს იმ შემთხვევაში, თუკი უბრალოდ დაველოდებოდი. თვის ბოლოს საჭმლის ტალონები გამომელია და ცარიელი მუცლით ლექციებსაც ვეღარ ვესწრებოდი. ამიტომ ერთხლაც, კბილების განმენდისას, გადაწყვეტილი, მორიდება ქარისთვის გამეტანე-ბინა. მის საერთო საცხოვრებელთან მივედი და, ხანგრძლივი ყოფილის შემდეგ, აჭარსელ-ბული სახით ვთხოვე ფულის დაბრუნება. ისიც განითლდა. გაბედულად შემომხედა და მითხრა:

„შენგან ფული ვისესხე? არ მახსოვს.“

„ალბთ, ისეთი დაკავებული ხარ სტუდენტუ-რი ცხოვრებით, რომ დაგავინყდა“, – უპასუხე მტკიცებდა. შემდეგ დავეხმარე იმის გახსენებაში, თუ როგორ მოხდა ეს იმ შუადღეს.

„კი, კი, კი, შენგან ვისესხე, – მიპასუხა, – ხვალ აუცილებლად დაგბრუნებ“. „

ის მაშინაც ისეთივე დაკავებული იყო, რო-გორც – ახლა. ერთი კვირა გავიდა და ისევ მის მოსახებნად გავემართე. ლექციის დაწყე-ბამდე რამდენიმე ნუთით ადრე მოვნახე. საქ-ლასო ოთახი ჯგუფელებით იყო სავსე. უქმეხად მივმართე:

„მეთაურო, რატომ არ შეასრულე შენი პირობა? კიდევ ერთი თვე გავიდა. აბა, დამი-ბრუნებ თუ არა ჩემს ორ იენს?“

მან კვლავ დაჟინებით დამიწყო ყურება და განითლდა. ბოლოს, როგორც იქნა, თქვა:

„რა? ბოლოს ჩემს ოთახთან რომ მოხვედი, მაშინ დაგიბრუნე, ასე არ იყო?“

ისე გავპრაზდი, ვნატრობდი, სილა გამეჩნა მისთვის, და ვუთხარი:

„არ დაგიბრუნებია, ამაში დარწმუნებული ვარ. დამპირდი, რომ შემდეგ დღეს მომცემდი“. ახლა მისასუხა:

„ოჰ, ეს ჩემი ბრალი იყო. მაგრამ შემდეგ დღეს არ და-გიბრუნე ფული?“. მე ვუპასუხე:

„არა, არ დაგიბრუნებია არც შემდეგ დღეს, არც – იმის შემ-დეგ და არც – ოთხი დღის მერე.“ მან კი ლიმილით მკითხა:

„ბა, რომელ დღეს დაგიბრუნე ფული?“. ვიციერე, განზრას მაგულიანებდა და შევაგინე. პასუხი აღარ დაუბრუნებია, რადგან სწორებ იმ დროს შემოვიდა კლას-ში მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყებად.

უნივერსიტეტში სწავლის დამთავრებას ცოტააღა აკლდა და მას ფული ჯერ კიდევ არ დაებრუნებინა. მიუხედავად იმისა, რომ არც ისე დიდი ფული იყო – ორი იენი –, მთელი სამი წელი განელა დრო. შედეგად მე თავად ვიქეცი სულელად, თითქოს ქუნწი ვყოფილყავა.

უნივერსიტეტის დამთავრების დღეს სამსახური შემომთავაზეს აგროკულტურულ ბიუროში, სადაც დღემდე ვმუშაობ. ჩემი გაერთიანების განყოფილების მდივანმა, ან უკვე გუბერნატორმა, სამსახური ცენტრალურ ორგანიზაციებში მიიღო. ორი წლის შემდეგ მან დაიკავა დროებითი პოსტი სამსარეო სასამართლოს ნარმობადგენლის რანგში, შემდგომ ამ მხარის მოსამართლე გახდა, მოგვიანებით სამსარეო კომიტეტში CRC-ს მდივანი, მაიორის ნარმობადგენელი, დამხმარე მდივანი თვით-მმართელი პარტიის კომიტეტში, შემდგომ – მაიორი, მდივანი თვითმმართველი პარტიის კომიტეტში, მოგვიანებით – ვიცე-გუბერნატორი, პროვინციის პარტიული კომისიის დამხმარე მდივანი, საბოლოოდ კი – გუბერნატორი. მხარე, სადაც იგი დროებით მუშაობდა, ჩემი მხარის გვერდით იყო, და მოგვიანებით იგი ჩემი ქადაქის მაიორიც გახდა. იმ დროს მე არ მსურდა მისგან რაიმე სარგებლის მიღება, არა აფიციალური მდგომარეობის გამო, არამედ – სხვა მიზეზით. როცა მასზე ვიწყებდი ფიქრს, ყოველთვის ორი იენის ამბავი მასხენდებოდა და ვპრაზდებოდი. ერთხელ სამსარეო კომიტეტის საორგანიზაციო დეპარტამენტის მინისტრთან ვასესენ, რომ გუბერნატორი ჩემი კურსელი იყო. გულთბილი მინისტრი ვყყავდა და სურვილი გამოთქვა, მასთან დავეკავშირებინე. გუბერნატორის პოსტი მუნიციპალური საპარტიო კომიტეტის ხელმძღვანელის თანაშემწის პოსტის სიმაღლეზე იდგა ჩემს კალაქში. მოგვიანებით ორგანიზაციის მინისტრმა მითხრა, რომ არც ისე დიდი ხნის ჩინ იგი დამხმარე მდივანს მუნიციპალიტეტის პარტიული კომიტეტის სესიაზე შეხვდა და მასთან ჩემი მასხელიც ახსნა. აღელვებულმა ვკითხა: „ვახსოვდე?“. მინისტრმა კი მიპასუხა: „რატომც არა, თქვენ ხომ ერთ კლასში სწავლობდით. თქვენ ლრმა შთაბეჭდილება დატოვეთ მსაზე. იგი თქვენს შესაბამის მასალაში შემთხვევის დავიწყებაც კი არ შეგეძლოთ.“ ჩემმა გონ-ებამ ზუზუნი დაიწყო.

მეტჯერ მასთან შეხვედრის სურვილი აღარ მქონა, რადგან ასეთი მაღალი თანამდებობის კაცობრობა მაშინებს.

ასეთია ცხოვრება! ახლა თავს კარგად ვგრძნობ, ჩვეულებრივი თანამდებობა მაქვს. მე არასდროს ვასესხებ ვინმეს ფულს, ორ იქნაც კი არა. დას, სილარიბე აქრობს ამბიციას: რომ მცოდნოდა, ის გუბერნატორი გახდებოდა, არასდროს მოვითხოვდი მისგან იმ ორი იქნის დაპრუნებას.“

მისი სიტყვებიდან მივხვდი, რომ ოლდ იუს გამო სინანული უკვე გვიანი იყო.

სიტყვით გამოსვლები

უანგ და, როგორც მინისტრი, ახალ მთვრობაში მნიშვნელოვან პიროვნებად იქცა.

ბევრი მის ზურგს უკან საუბრობდა მასზე და უკამყოფილებასაც გამოთქვამდა. ამბობდნენ, ჯერ ახალგაზრდა და უკვე პროფესიონალია სპეცულაციებსა და მლიქნელობაში; გულმოდგინედ იცავს საკუთარ რეპუტაციას და მნიშვნელოვან ურთიერთობებს. არადა, მე ასეთ შენიშვნებს სრულ სისულელედ აღვიქვამ.

ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და არასდროს მქონია მაღალი თანამდებობის პირებთან ურთიერთობა. მაგრამ უანგ დაზე მეთქმის რამე, რადგან მას კარგად ვიცნობ. უანგი და მე ბავშვობიდან ერთად მოვდივართ დაწყებით და საშუალო სკოლაში, უნივერსიტეტშიც ერთად ვსწავლობდით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თანამშრომლები ვიყავით, ტექნიკოსები ერთსა და იმავე ქარხანაში. ახლა კი ზუსტად ვიცი, უანგ და როგორი ადამიანიც არის.

უანგ დას დაბადება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, ასე ვფიქრობ. ან შესაძლოა, ითქვა კიდეც, რომ იგი თანამდებობის პირად დაბადა. რა თქმა უნდა, მაღალი თანამდებობის პირად. თავის პროფესიაში მას ვერავინ გაუტოლდება.

უანგი ბავშვობიდანვე გულუხვობით გამოირჩეოდა ყველაფერში, რასაც ამბობდა და აკეთებდა. უფრო ზუსტად, ყოველთვის უყვარდა ბევრი ლაპარაკი. ერთხელ დაწყებითი სკოლის მოსწავლები, გარეთ, სასურსათო მაღაზიაში, წავედით და ქალბატონებს, რომელთაც დაგვა ევალებოდათ, იქაურობის დასუფთავებაში დაგვხმარეთ. როცა ჩვენი საქმე დაგასრულეთ, დეიდებმა თითო-თითო ვამლით დაგვაჯილდოვეს. ყველანი სიამოვნებით მივირთმევდით საკუთარ ულფას მაშინ, როდესაც უანგ დამ თავისი კუთვნილი ვაშლი ჩვენს მასწავლებელს გადასცა და თქვა: „ჩვენ, ნორჩი პიონერები, ნაკლებად უნდა ვფიქრობდეთ საკუთარ თავზე.“

სამუალო სკოლის დასასწაულში, ერთხელ, ჩვენმა მართლნერის მასწავლებელმა დაგვავალა, დაგვეწერა თხზულება, სათაურით „დედაჩემი“. უანგ დას კლასის წინაშე საკუთარი თხზულების ხმამაღლა წაკითხვა მოუწია, რომლის სათაურიც ასეთი იყო: „დედაჩემი – ჩემი დედა-სამშობლო.“ არავინ ელოდა, რომ იგი ჩვენს „დედა-სამშობლოზ“ დაწერდა.

უნივერსიტეტის დაწყებისას, უანგ დას საუბრის ნატიფი, ამაღლებული მანერა ჰქონდა მაშინ, როცა ჩვენ ბევრად ჩამოვრჩებოდით მას. არ ჰქონდა მნიშვნელობა საუბრის თემის, ჩვეულებრივი ლაპარაკის დროსაც კი, თუ მასზე მიღებოდა

ჯერი, ყოველთვის ამბობდა: „სამ პუნქტს გამოყოფ.“ თითქოს უკვე ლიდერი ყოფილიყო.

მისი მეტყველების დასახასათებლად ესცე კმარა. ბავშვობიდან მოყოლებული, უანგ და სხვებთან საუბარზე უფრო ხშირად, თავადგინდარებისა და სიტყვას.

ერთხელ, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ყოფილმა თანაკურსელებმა წვეულება მოვაწყეთ, რომელსაც უანგ დაც შემოუერთდა. ის იშვიათად ერთვებოდა ისეთ საზოგადოებრივ შეკრებებსა და აქტივობებში, რომელებშიც ცეცხლთან თამაში მოუწვდა. იმ დღეს ბევრი კურსელი დათვრა და ენას ლაგამი გამოაცალა. უფრო და უფრო მღლებრედ საუბრობდნენ ისეთ საკამათო და ფაქტზე საკითხებზე, როგორიცა კორუფცია და თანამდებობის პირები. უანგ და მშვიდად იჯდა და არაფერს ამბობდა. ერთადერთი იყო, ვინც არასდროს თვრებოდნა და იშვიათად გამოხატავდა საკუთარ აზრს. შეჩვეულები ვიყავით ამას. იმ დროს კი ვთხოვთ, რამე ეთქვა. ამიტომ მას სხვა გზა აღარ დარჩენილია, გარდა ერთი შენიშვნის წარმოთქმისა: „უნდა დაგვეკირდეთ პრიბლების მთავარ მახასიათებლებს“. კარგად შეაჯამა ყველაფერი.

ყოველივე ეს დამეხმარა გააზრებაში, რომ დიდებულ პიროვნებებს დიდებულება დაბადებიდან თან სდევთ. იმისთვის, რომ მაღალი თანამდებობის პირი გახდე, ნათელი გონიერა საჭირო. მაგალითად, საუბარი უნდა იყოს ვრცელი და, ამავდროულად, გულწრფელიც. გრძელი სიტყვა არ გულისხმობს თავის ქებას. „ვიღაცისთვის“ მნიშვნელოვანი საკითხია ის, რაშიც დიდი აზრი დევს მაშინ, როცა არავინ ზრუნავს ყოველდღიურ წერილობან რუტინზე. დას, მე მეორე ტიპის ადამიანი ვარ.

მოულოდნები შეხვედრა

ამხანაგი ჩანგქინგი შესამჩნევად არ შეცვლილა, ამიტომ მაშინვე ვიცანი.

„გამარჯობა, უფროსო ვუ, მოხარული ვარ, რომ აქ შეგხვდით“, – თბილად მივესამზე.

„სალამი, სალამი!“ – ჩანგქინგმა ხელი ჩამომართვა. მისი ფაფუკი ხელის ჩამორთმევა აღარ იყო ისეთი მტკიცე, როგორიც უნინ.

ეს მაღალი თანამდებობის ადამიანების მიერ გამომუშვებული უნარიც იყო, ხელის მსუბუქად ჩამორთმევა. ამ დღოს, ნათლად გხედავდა, რომ იგი კვლავ ფორმაში იყო. ამ ყველაფრის გათვალისწინებით კი, იგი, შესაძლოა, ამჟამად

უფრო მაღალი საფეხურის კადრიც კი ყოფილ-იყო.

„თქვენც პარტიულ სკოლაში ჩამოხვედით ცოდნის გასაღრმავებლად, ასე არაა? რომელ ქალაქში ხართ?“ – ვკითხე თბილი და საქმიანი მანერით.

„დიახ, სამი თვე ვიქწები იქ“ – ჩანგქინგი ჩემს სახელს ვერ იხსენებდა, მისი გამომეტყველებით თუ ვიმსჯელებდით, ცდილობდა ჩემი სახე მესაიერებაში აღედგინა.

„ჩვენ თექვსმეტი-ჩვიდეტი წელია, რაც ერთმანეთი არ გვინახავს და კვლავ ახალგაზრდულად გამოიყურებით, როგორც ყოველთვის“, – ტაქტიანად ვებმარკბოლი წარსულის გახსენებაში.

„არა, არა, გავმელოტდი, დავბერდი“, – ამხანაგმა ჩანგქინგმა გალიმა და თავზე გადაისვა ხელი. თითქოს იმის ჩვენება სურდა, რომ არ მატყუებდა. მივგვი მის განზრახვას.


„ერთი თმის ლერიც არ ჩამოგვარდნიათ მეთეი, ამას ვგულისხმოს, როცა ვამბობ, რომ ახალგაზრდულად გამოიყურებთ. ისევ ისეთი ხართ, როგორიც – პირველი შეხვედრისას. რაღაც ეშმაკობა! მაშინ ოცდათხუთმეტის იყავით. მე თუ მკითხავთ, მაშინაც არ გქონდათ ბევრი თმა. ალბათ, დათვლასაც კი შევძლებდი. უკანასკნელი თმის ლერიც, რომელიც გადარჩენისთვის იძრძვის, ასე მჭიდროდ ყოფილა დამაგრებული თქვენს თავზე, ჰა! ჰა! მაშინ უფრო სანიშვესულს ჰყავდით, ახლა კი უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებით; ერთი და იგივე თმა სხვადასხვაგვარად ალიქმება ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში...“ – ნებისმიერი საკითხისადმი თავხედური დამოკიდებულების ძველი ჩვევა განვახალე.

„საერთოდ არ შეცვლილხართ, ისევ ისეთი შავი თმის ზეინი გადგათ თავზე“, – ამხანაგი ჩანგქინგი ბედნიერი ჩანდა და ჩემი უხეში ხუმრობა სულაც არ ანალვებდა.

„ეს ტყუილია, სრული სიცრუე. მე პარიეს ვატარებ. მერნმუნეთ, ჩემი კბილებიც კი ყალბია“, – გავულიმე ისე, რომ კბილები გამომეჩინა.

„მართლა? რამდენი წლის ხართ? ჩემზე უმცროსი ბრძანებით, ასე არაა?“ – ამხანაგ ჩანგქინგს ეტყობოდა, რომ ჯერ კიდევ ვერ განეახლებინა ჩემი სახე საკუთარ მესაიერებაში.

„რა თქმა უნდა, მე უმცროსი ვარ. თქვენ ჩემი უფროსი იყავით. ოცდაათზე ნაკლების ვიყავი მაშინ, როცა ერთად შევაჯერეთ მერვე სუთნლიანი გეგმა.“ – უფრო ნათლად უნდა გადმომეცა, სხვა შემთხვევაში ის ისევ თავისი მესაიერების ღრუბლების გადასინვევას გააგრძელებდა.



„აა... კი, კი, კი. რა ცუდი მახსოვრობა მაქვს! თქვენ კურდლის წელიწადში დაიბადეთ, მე კი – ძალლის. თქვენ ჩემზე გაცილებით ახალგაზრდა ხართ. როული სამუშაო თვე გვერნდა, ჩვენს გუნდს მძიმე დრო დაუდა, ღმევებს ვათენებდით. სასვენ ნიშნებსაც კი შეეძლოთ ჩვენთვის ძილი და ჭამა დაევრიყებათ. ისე, იშვიათად ვწირავთ საკუთარ თავს ჩვენი საქმისთვის ისე, როგორც ახლა. ამჟამად რას საქმიანობთ?“ – მიცნო თუ არა ამხანაგმა ჩანგქინგმა, მაშინვე აღლუბულმა მეითხა.

„ვასწავლა, მასწავლებული ვარ“, – ვუპასუხე თან საფული-დან სავიზიტო ბარათი ამოვილე და თავაზიანად გადავეცი.

„აჲ, რა მშვენიერია, პროფესორი გამხდარხართ! – თავზე ცოტა თმა ჰქონდა შერჩენილი, მაგრამ მეტად ოფიციალური მანერით ლაპარაკობდა, – კარგი აზრია მასწავლებლობა. თქვენსავით ახალგაზრდებმა მძიმედ უნდა იმუშაონ, უსმინონ პარტიას და მუდმივად მისდიონ მას.“

ვიფიქრე, მხარზე ხელს დამკრავდა, მაგრამ თავი შეიკავა.

„ესე იგი, როგორ მიგდით საქმეები? კიდევ ხომ არ დაწინაურებულხართ? – ვცდილობდი, მისი გული მომევო.

„აჲ, დღეს ძნელია ნამდვილმა ნიჭმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიოს. მოდით, შევემზათ ამ თემაზე ამაო საუბარს. ახლა კომფორტულად ვცხოვრობ. უკვე მივაღწიე იმ საფეხურს, რომელზეც ზომიერება არ დამეტმარება ნინსვლაში და პატივ-მოყვარეობა ვერ შემაფერხებს. მეტი აღარ უნდა ვიფიქრო ასეთ მოსამართებას საკითხებზე. ამის ნაცვლად, ახლა ჯანმრთელობას ვაკცევ უცრადლებას უფრო მარტივი და მშვენიერი მეთოდებით. მე ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის ჭეშმარიტი მიმდევარი ვარ: ერთი ცენტრალური ამოცანა და ორი ძირითადი თვალსაზრისი, ასე არაა? თქვენ, ახალგაზრდა ყმანვილები, დაპირებებით ხართ აღსაესწი და მე ვერ აგინიყობთ ფეხს“, – მის სახეს ნაცრისფერმა გადაჰკრა.

„თქვენ ხომ მხოლოდ ოცდათი წლის იყავით, როცა განცოცილების უფროსად აგირჩიეს. ეს ძალიან იშვიათი შემთხვევა

იყო მთავრობის განცყოფილებებსა და ინსტიტუტებში", – მონი ეს არ უნდა დამეტატებდნა.

"ჯანდაბა! აზრი არ აქვს მძიმე შრომას, როცა განსაკუთრებული კაშშირების დამყარება შეგიძლია. სხვა დანარჩენი ტყუილია! კარგი, მოღი აქ გავჩერდეთ!" – ამხანაგმა ჩანგქინგმა დამცირავი ჟესტით მომძროთა.

"რა მიზეზით გადაწყვიტეს თქვენი პარტიულ სკოლაში გაგზავნა უფრო ღრმა განათლების მისაღებად?" – მოუქნელად ვალიზიანებდი.

"მზრეზი? ჯანდაბა! მათ ჩემი ჩანცვლება სურდათ. ახლა ინსპექტორი ვარ, რაც დეპუტატების ბიუროს დირექტორობას უტოლდება. ეს კი რეალურ ძალას არ წარმოადგენს. უშმაკმა დალახვროს!" – მას სახე დაეღრიჯა.

მისი გაღიზინება აღნარ მსურდა და უცდილობდი, შეძლების დაგვარად სწრაფად შემცეცალა საუბრის თემა და ის უფრო მარტივი და უწყინარი გამეხადა. დამშვიდობებისას კვლავ ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს. და ამ მომენტში მან მთელი თავისი ძალა გამოიყენა. აქედან დავსკვენი, რომ ის კვლავ საკმაოდ ჯანმრთელი იყო.

ერთი კარგი მოხელე

მდივანი ზოუ ნამდვილად კომპეტენტური ადამიანია და მისით გულწრფელად ვარ აღტაცებული. ის ილბლიანი, ნიჭიერი და გათვითცნობიერებულია.

ჩვენ ერთად გავიზუდდეთ და ერთად ვსწავლობდით დაწყებითსა და საშუალო სკოლაში. ერთმანეთს კარგად ვიცნობდით. მდივანი ზოუს მეტსახელი „ერგოუზი“ იყო, რასაც დღეს მას ვერ უწერდეთ. მის სახელს წებისმიერ შემთხვევაში ყველა პატივისცემით მოიხსენიებდა, როგორც მდივანი ზოუ. ბევრი ცდილობს მასთან დაახლოებას, რადგან იგი მიიღორის მდივანა. მისი დახმარების გარეშე ვერავინ აღწევს მაიორამდე. მდივანს ევალება თითქმის ყველაფრის გამზადება მაიორისთვის, მაგალთად ისეთი საქმების, როგორც მდივანი ზოუ, ბევრი ქმარი შეხვედრის მასთან დაახლოებას, რადგან იგი მიიღორის მდივანა. ასე რომ, ქვეყნის პოლიციაც კი, რაიონის ხელმძღვანელებიც და უფროსებიც, ქედე იხრიან მის წინაშე მაშინ, როცა მათ საზოგადოების წინაშე სხვადასხვა როლის შესრულება უწევთ.

მდივან ზოუს წელინადში ერთხელ ან ორჯერ ვხვდები. საქმიანი კაცია, ვიცი. მას დახმარების სათხოვნელად არ ვნახულობ, რადგან არ მსურს, მაღალი თანამდებობის დაკავება ან – მეტი ფულის შოვნა. სინამდვილეში არც თუ ისე კომპეტენტური ვარ. მე, უბრალოდ, მდივანი ზოუს მოსმენა მსურს. ის მრავლისმცოდნეა და მეც ბევრ რამეს ვსწავლობ მისგან, რაზეც არ უნდა საუბრობდეს. მოკლედ, ყოველ შემთხვევაში, კარგი მოსწავლე მანც ვარ.

თავდაპირველად მდივანი ზოუ სოფლის კლერკი იყო. დაახ-

ლოებით სოფლის ნახევარი მას მდივან ზოუდ გაგაცობდათ მაშინ, როცა მეორე ნახევარი კალავ ზედმეტსახელს, „ერგოუზის“, „უნდღებდა“. როცა სოფლის გამგებელი რაიონის კამბებულად იქცა, მდივანი ზოუ სოფლის გამგებელს გაცყვა რაიონის თვითმმართველობის ხელმძღვანელი ქალაქის სამმართველოს სანარმოს ხელმძღვანელის თანაშემწედ იქცა, მხარის მოსამართლის ნარმობადგენლად, შემდგა – სამხარეო პარტიული კომიტეტის მინისტრის თანაშემწედ, მინისტრად, მაიორის თანაშემწედ და, საბოლოოდ, მაიორად მდივანმა ზოუმ ეს გზა მასთან ერთად გაიარა. დღეს ისევ მდივანი ზოუს სახელით მოიხსენიებდნენ მას ისე, როგორც თუ წინათ. თუმცა, არც თუ ისე სასამოვნო იყო ის ფაქტი, რომ თითქმის ყოველ წელს უწევდა მაიორს საკუთარი წინდების შეცვლა. ერთხელ მდივანმა ზოუმ აღნიშნა, რომ მას მუდმივად თავის გართმევა უწევდა ცვალებადი შემოხვევებისთვის, ძირითადი პრინციპების დაცვის გზით.

რთულია მეთაურის თანაშემწედ ყოფნა. ეს მდგრმარეობა, მიუხედავად იმისა, რომ არ გულისხმობს მაღალ პოზიციას, მაინც მეტად მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს. მდივანი ზოუ ნამდვილად გამონაკლისია. ის ჭკვიანი და მშრომელია, თანაც ბავშვობიდან აღტაცებულები ვიყავით მისთ.

ერთმანეთს იშვიათად ვხვდებით, ვსვამთ, ჭჭამთ და ვსაუბრობთ ხოლმე, ჩვენ არასდროს ვმსჯელობთ არსებით საკითხებზე. მიუხედავად ამისა, მდივანი ზოუ ყოველთვის გვიზიარებს სიახლეებს. თუმცა იგი ძალიან სიტყვაძუნნია და იშვიათად საუბრობს ხელმძღვანელებთან ურთიერთობის შესახებ. ჩვენ მისი გვესმის და ვაფასებთ მის პროფესიულ ეთიკას.

ერთხელ, მიუხედავად პრინციპულობისა, მაინც მოგვიყვა ძალიან სასაცილო ამბავს ხელმძღვანელებზე. ორი კვირა ამ ამბავზე ჩაფიქრებულმა გავატარე. საინტერესო იყო.

როგორც მან გვიამბო, ხელმძღვანელი მასისგან განსხვავდება იმით, რომ მისი ხელი სხვაგვარად შეიგრძნობა და მისი ჟესტებიც ბევრად უფრო უწევულოა.

ნამდვილად გასაგებია, რომ ხელმძღვანელის ხელები ჩვეულებრივი ადამიანის ხელებისგან განსხვავდება. ფერმერს თოხი უჭირავს, მუშა მთელი დღე მანქანებს ასუფთავებს, ამიტომ მათი ხელები უხეში და მოუქნელია მაშინ, როდესაც თანამდებობის პირებს პატარა ბავშ-

კის საჯდომივით რბილი და ნაზი ხელები აქვთ.

უსტყებინ – ხელის ჩამორთმება – ასევე მნიშვნელოვნად განასხვავებს ხელმძღვანელსა და მასას, რაც აქადე არ შემიჩნევა. ავილოთ რუნაც მაიორი: როცა ის სოფლის გამგეტბილი და ქალაქის მმართველი იყო, ხელები ზურგზე პქნონა შემოწყობილი. როცა მინდორში თანასოფლელებს ესალმებოდა, იშვიათად ართმევდა მათ ხელს, მისი ხელები, როგორც ყოველთვის, ზურგსუან იყო შეკრული. როცა ქალაქში შეუდგა მუშაობას, ხელებმა წინ გამოინაცვლა, ასე, რომ ხშირად მასის წინაშე წარდგენისას ჭიბულის ქვემოთ გადაჯვარედინებინა. სადაც არ უნდა მისულოყო, იგი ერთ-ერთ ხელს უწყვდიდა ჩამოსართმევად შემხვედრს, მუშას, დადრს თუ რეზიდენტს. ფაქტობრივად, იგი მუდამ მზად იყო ხელის ჩამორთმევისთვის, ყოველგვარი ძალადატანების გარეშე. როცა ჩვენი ქალაქის მეთაურად დაანინაურეს, მას კვლავ სჩვეოდა მუცელთან ხელების გადაჯვარედინება, განსაკუთრებით – ინტერგიუებისა და შემონმების დროს ან ტელევიზორში გამოჩენისას. უმნიშვნელო განსხვავება კი ის გახლდათ, რომ ხელს უფრო იშვიათად ართმევდა და მხოლოდ ხელის დაქნევით შემოიფარგლებოდა. მაიორი იშვიათად თუ ართმევდა ხელს ყველას, თუმცა, მიუხედვადა ამისა, ის მხოლოდ მასას უწევდა ხელს.

საერთო ჯამში, მდივანი ზოუს მონათხრობი ძალის სასაცილო იყო.

რამდენიმე თვის წინ, როცა შევიტყვე, რომ მაიორი ავარიაში მოყვა და მეტავი დაკარგა, ვწუხდი იმის გამო, რომ იგი თავის ჩვეულესებს ვეღარ მიმართავდა.

ბატონი მაიორი გუშინაც ვნახე ტელევიზორში, იგი უკვე მუნიციპალური „CPC“-ის კომიტეტის მდივანი გამხდარიყო. სატელევიზიო გადაცემაში კი მან ხელის დაქნევა მაინც მოახერხა, თუმცა, ხელების გადაჯვარედინება ვეღარ შეძლო.

უკვე ვეცდები, რომ ახლა იგი ნამდვილად ერთი კარგი „მოხელეა“.

ატიპური პევონია

მექრდა უჩვეულო წინათგრძნობა უწინენიდა. თვითმფრინავი დაშვებას იწყებდა და იგი გაურკვევლობას მოეცვა. თვალები დახუჭა და მშეიძლით დასაფრენად ღოცვას წამინიჭო.

თვითმფრინავი ხმაურით დაეშვა. მისი ბორბლები ასაფრენ ბილიკს შეეხო და ბოლოს, მოულოდნელი რყევის შემდეგ, მსუბუქად გას-

რიალდა მიწაზე, ვიდრე გაჩერდებოდა. კაცმა მძიმელ გადაყლაპანი და შევითი ამოისუნთქა.

მეუღლე არ აპირებდა აეროპორტში მის დახვედროს. კაცმა სამი დღის წინ დარეკა სახლში და არავინ უპასუა. ავი წინათგრძნობა აწუხებდა. ჩვეულებრივ, მისი ცოლი გარეთ არ გადიოდა. იგი ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა და არც საზოგადოებრივი დახვენილობით გამოირჩეოდა. არასდროს გამოეყენებინა მობილური ტელეფონი. მაგრამ ორი დღის განმავლობაში არც სახლის ტელეფონზე უპასუა ვინმეს. დარწმუნებული იყო, რაღაც მოხდა. გული სწრაფად უცემდა. ავად გახდა? გაზით გაიგუდა? სახლში ვინმე შეიქრა? ან... ყველა შესაძლებობა ამონურა.

ასე რომ, მან ქვეყანაში ისე დაბრუნება გადაწყვიტა, როგორც გეგმვდა.

როცა თვითმფრინავი დატოვა, შეამჩნია, რომ მგზავრების ტერიტორიაზე არც თუ ისე დიდი რიგი იყო. ჰოლში უჩვეულო ატმოსფერო დახვდა და უფრო მეტად დაიძია. აეროპორტის ცველია თანამშრომელი დამცავ სათვალეებს და უზარმაზარ ნიღებს ატარებდა. იმ მომენტში კი, როცა კაცმა საკუთარი პასპორტი წარადგინა, მას თეთრ დამცავ სამოსში გამოწყობილი რამდენიმე კაცი შემოერტყა გარს და სხვა მსარეს გადაიყვანა. მან წააგო. მისი გონიერა სრულიად დაცარიელდა.

იგი სწრაფად შეაგდეს ფურგონში, სადაც მან სირუნების საეჭვო ხმაურში ცნობიერება დაკარგა.

ცოტა ხანში იგი სრულიად მოეგო გონის.

კაცს საუბარი სურდა, მაგრამ გრძნობდა, რომ სული ეხეთებოდა. იგი ვერ ხედავდა ფურგონში სხვების სახეებს და თეთრ მოწვევებებად წარმოედგინა ისინი.

ფურგონიდან გადმოსვლისას ვიღაცამ განუცხადა:
„ახლა შენ წინასწარი დაკავების საკაში მოგათავსებუნ.“

კაცი გრძნობდა, რომ გული მისდიოდა.

„შეიძლება, ჩემი ცოლი ვნახო?“ – ვედრებამდე ცოტალა აკლდა, ხმა აუთორთოლდა.

„არა, ისიც დაკავებულია.“

საგარეულში ჩაესვენა, მისი თვალები შიშმა და სასონარკვეთამ მოიცვა.

„ბოლოს ვისთან გქონდა კონტაქტი? ამოლერლე!“ – საქმიანი, ხრინინაზი და ჩახლერილი ხმა გაისმა სქელი აირნინალიდან.

„არა, არა, არავისთან...“ – ბუტბუტებდა კაცი და ორივე ფეხი უნდღლით უკანასკლებდა.

„შენთვის უკეთესია, დაფიქრდე. იფიქრე საკუთარ თავზე და სხვებზე!“ – მიუგო უცხო კაცმა, აიღო უბის წიგნაკი და ჩასანერად მოემზადა.

შეუბლიდან აფლი წასკდა და მკვდრისფერი დაედო სახეზე.

„კერ ხომ არ აგვეცრა?“ – შესთავაზა ვიღაცა „თეთრსახიანმა“ პოლიციელმა.

„არა, არა, აცრა საჭირო არ არის. ანგარიში გავასწოროთ!“ – კაცის გონება თითქოს შემაძრუნებელი ეპიზოდებით იგსებოდა ფილმებიდან, რომლებიც მოიცავდა აღიარებებს, წამების ელემენტებთ.

შემდეგ მან ენის ბორდიკით მოუყვა „მის წინაშე აღმართულ, ნიღბებით დაფარულ ორ ფიგურას, რომ მექრთამეობასა და კო-

რუფციაში იყო ჩართული. ჩამოთვალა იმ ადამიანების სახელებიც, რომლებიც ამ საქმეში იყვნენ გარეული.

თხუთმეტდღიანი კარანტინის შემდეგ, იგი საავადმყოფოდან უმაღლეს სასამართლოში წაიყვანეს.

ერთი კონკრეტული ადამიანი

მხოლოდ ერთ თვეში ოლდ გუანი ორჯერ დაისაჯა.

ერთი თვეს წინ ბიურომ შეხვედრა ჩატარა პარტიის წევრებისა და იმ კადრებისთვის, რომელთაც უნდა მიეღოთ ინსტრუქციები მაღალი ავტორიტეტებისგან ატასიური პენეტრაციის პრევენციის, კონტროლისა და ეპიდემიის გავრცელებასთან ბრძოლის შესახებ. ამ საკითხოს წარდგენის შემდეგ პასუხისმგებელი განყოფილებების, პარტიის წევრებისა და სხვადასხვა დანესტულების კადრებისა და ორგანიზაციების წინაშე მათ მოუხდათ მკაფიოდ პოზიციის დაფიქსირება, გავრცელებული მითქმა-მოთქმის გასაუარტიდ. ბიუროს ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ატიპიური პენეტრაციის ვირუსმა მხოლოდ რამდენიმე ადამიანი დაინფიცირდა და, რეალურად, სიტუაცია კონტროლდებოდა. არც ერთ პაციენტს არ აღმოჩნდა ვირუსი. სმები, რომ ეპიდემიური სიტუაცია უარესდებოდა, ჭორი იყო. განცალკევებით მყოფი რამდენიმე ადამიანს ხალხში აურჩაური შეპქნინა საკუთარი ფარული მოტივით, ბოროტი მიზნებისთვის. პარტიის წევრებმა და კადრებმა მთავარი როლის შესრულება მითხოვებს მითქმა-მოთქმის აღმოსაფეხრელად და ერთიანობისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ხელმძღვანელის სიტყვამ მშეურვალე რვაციები დაიმსახურა.

ოლდ გუანს, როდესაც ეს მოისმინა, სახე ალმურმა აუნვა. ის სხვებისგან თავისი გამომწვევად დიდი ნიღბით გამოირჩეოდა. ოლდ გუანის ცოლი ექიმად მუშაობდა საავადმყოფოში, ინფექციურ დაავადებებს მეურნალობდა და ათი დღის წინ სწორედ მან აიძულა ოლდ გუანი, რომ ნიღაბი ეტარებინა. მისი თქმით, საავადმყოფოში ვირუსით ინფიცირებული ბევრი პაციენტი იმყოფებოდა. ოლდ გუანი პირველი იყო ბიუროში, ვინც ნიღაბი მოირგო და – ერთადერთი, ვისაც ამ შეხვედრაზე სახე დაფარული ჰქონდა.

ბიურო უკანასკნელი იყო მისით, რადგან თავისი ნიღბით იგი პანიკას იწვევდა. ამიტომაც გადაწყვიტეს, რომ ადმინისტრაციული სანქცია დაწესებინათ მეურნი გაფრთხოებისა და ერთი წლით დამატებითი გადასახადისგან გათავისუფლების გაუქმების სახით. ოლდ გუანი კი უკანასკნელი იყო არა უშუალოდ უფროსების, არამედ – ცოლის გამო. მას მიაჩნდა, რომ იგი დეპარტამენტის უფროსისთვის შეუფერებლად და, იმავდროულად, არამატაკურად იქცეოდა.

ერთი კვირის თავზე უჩვეულოდ გაიზარდა ვირუსისადმი ინტერესს და აქტუალობა. მედიის საშუალებით მდალმა ავტორიტეტებმა ბრძანების გაცემა გადაწყვიტეს, რომ ბიუროკრატები მეურნად დასჯილიყვნენ ეპიდემიური მდგომარეობის შესახებ ნამდვილი ანგარიშების დაფარვისა და მათი გავრცელების შეფერხების გამო, ან – იმის გამო, რომ მათ ყალბი ანგარიშები გადასცეს არსებულ მდგომარეობასთან

დაკავშირებით და ყველა პარტიის წევრსა და კადრს მოუწოდეს ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში მასების წინამდღლობისკენ. ხალხში დაუცველობის განცდა, მოვლა ეს მასშტაბით, აქციებში გადაიზარდა. თათქმის ყველა მოქალაქემ დიდი, სხვადასხვა ფორმის, წილის ტარება დაიწყო.

სამი დღის შემდეგ, ბიურომ ახალი შეხვედრა მთაცყო კადრებისა და პარტიის წევრებისთვის. ხელმძღვანელი ტრიბუნასთან იდგა, სახენილებანი. მან დემონსტრაციულად წარუდგინა დამსტრექებს ზემდეგომი ავტორიტეტებისგან მიღებული უკანასკნელი ინსტრუქციები და ანგარიშები ეპიდემიური სიტუაციის შესახებ. მან, აგრეთვე, თოთოეული კადრისგან მოიხსოვა, რომ ზომები მიეღოთ და, სხვების სრულფასოვანი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, გაფრთხოებული მითქმა-მოთქმის გასაუარტიდ. ბიუროს ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ატიპიური პენეტრაციის ვირუსმა მხოლოდ რამდენიმე ადამიანი დაინფიცირდა, რეალურად, სიტუაცია კონტროლდებოდა. არც ერთ პაციენტს არ აღმოჩნდა ვირუსი. სმები, რომ ეპიდემიური სიტუაცია უარესდებოდა, ჭორი იყო. განცალკევებით მყოფი რამდენიმე ადამიანს ხალხში აურჩაური შეპქნინა საკუთარი ფარული მოტივით, ბოროტი მიზნებისთვის. პარტიის წევრებმა და კადრებმა მთავარი როლის შესრულება მითხოვებს მითქმა-მოთქმის აღმოსაფეხრელად და ერთიანობისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ხელმძღვანელის სიტყვამ მშეურვალე რვაციები დაიმსახურა.

ოლდ გუანს, როდესაც ეს მოისმინა, სახე ალმურმა აუნვა. ის სხვებისგან თავისი გამომწვევად დიდი ნიღბით გამოირჩეოდა. მან სმას აუზია და მეურნად გაეკიცა ილდ გუანი მთელი დღის განმავლობაში. ხელმძღვანელმა უზრადლებით შეათვალიერა პოლი და მოულოდნელად მის თვალინი ილდ გუანის შიშველი სახე ამოიზარდა. მან სმას აუზია და მეურნად გაეკიცა ილდ გუანი მთელი დღის განმავლობაში. რამდენიმე შეინიშვნა ნაკლებად ზრდილობინაც კი იყო. ილდ გუანს კვლავ აელენა სახე, რადგან მიხვდა, რომ ისევ სხვებისგან განსხვავებულად იქცეოდა.

ოლდ გუანი კვლავ დასაჯეს, ამჯერად უფრო მეურნად: მას განყოფილების ხელმძღვანელის პოსტის დატოვება მოუწინა.

ოლდ გუანი ხედებოდა, რომ უსამართლო მოექცენ; უკვირდა, ნიღბები რა შეაში იყო. მათ გამო ორჯერ დატოვა პოსტი და დაისაჯა. ყოველივე ეს კი უაზრობად ეჩვენებიდა. რამდენიმე კოლეგამ მისი გამხნევება სცადა:

„ოლდ გუან, უცნაური დრო დადგა. შენი ბრალია, რომ ნიღაბს ატარებდი მაშინ, როცა ის საჭირო არ იყო და აღარ ატარებდი მაშინ, როცა ის აუცილებელი შეიქნა.“

ბოლოს და ბოლოს, ოლდ გუანი მიხვდა, როგორც უნდა ემოქმედა. ახლა იგი ორ ნიღაბს ატარებდა: ერთს – შუბლზე, მეორეს კი – ნიკა-პზე, ისე, რომ მის ტუჩებსა და ნიკაპს არაფერი ფარავდა. მისი თქმით, ასე თავისუფლად შეეძლებოდა ნიღბების გადაადგილება სხვადასხვა მიმართულებით.

უშიშინწინ, იფისში შეხვედრისას, დირქეტორი საუბრობდა განსაკუთრებულ ფენომენზე. მან განცხადა, რომ ერთი კონკრეტული კადრი რამდენიმე ნიღაბს ატარებდა, როცა ეს საჭირო

არ იყო. მისი თქმით, ამგვარი არასერიოზულობის მიმართ ფხნულად უნდა ყოფილყოვნენ და საჭიროების შემთხვევაში, დაესავათ იგი.

იქნებ, ეს „ერთი კონკრეტული კადრი“ ოლდ გუანს გულისხმობდა? ღმერთმა უწყის.

მდივანი

ერთხელ, კვირის ბოლოს, იანგ ზუმ ვახ-შეზე დამპატიუს. მითხრა, რომ რამდენიმე ნაცნობიც შემოგვიერთდებოდა. ზოგი ისეთი სახელიც ახსენა ტელეფონის ყურმილში, მე რომ ვიცნობდა. ისინი უფროსების მდივნები იყვნენ სხვადსხვა სამინისტროსა და კომისაშაში. როტული იყო ყოველთვის დაკავებული მდივნების შეკრება.

ბევრ მდივანს შევხვედროვარ, ბუსავით ჰევინები რომ აღმოჩენილან. ნიჭიერები არიან და დიდ ძალასაც ფლობენ, მიუხედავად დაბალი სტატუსისა. მდივნები ერთმანეთთან ახლო ურთიერთობას ინარჩუნებენ და ერთმანეთის-გან სწავლობენ შეხედულებების გაზიარებისას. მათვის ურთიერთობა უფრო მარტივია, ვიდრე – მათივე ლიდერებისთვის.

შეიძის ნახევარი იქნებოდა, პრესტიულ რესტორანში როცა მივედი. ყველა იქ დამხვდა, გარდა ჩაო ვუსი, რომელიც, მისივე თქმით, გზაში იყო. მდივნები იცინდნენ და სუმრობდნენ, ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ აღნიშნავდნენ, თუ რა ცვლილებებს ამჩნევდნენ ერთმანეთის გარეგნობაში. ზოგჯერ უჟმეხადაც მიმართავდნენ ერთმანეთს, თუმცა – ზომიერების ფარგლებში. თავისუფლად საუბრობდნენ.

ჩაო ვუ ქრიშინით შემოვარდა და ბოლიშის მოხდა დაინყო. როგორც კი პალტო გაიხადა, განიარტებას შეუდგა, ჩემს უფროსს უნდა ვენახე გადაუდებელი საქმის გამო და რამდენიმე წუთით ამიტომ დამაგვიანდა.

არ არის მარტივი საქმე უფროსის მდივნობა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ არასდროს გამომიცდია ამგვარი რამ. ეს მდივნები სხვადასხვა გარეგნობისა და ხასიათის თვისების მატარებლები არიან, თუმცა არის ერთი რამ, რაც თითოეულ მათგანს აერთიანებს: ისინი ისეთი გაურკეველი უარგონით ლაპარაკობენ, გარეშე პირი ყოველთვის გარიყულად იგრძნობს თავს, მაგალითად, ისინი თავავანთ უფროსს შეირად „ბოსს“, „მოხუცს“, „ბებრუხანას“ უწოდებდნენ. მე ნამვილად არ მესმის ამის. ზენგ ლიუშ ერთხელ აღნიშნა, რომ მისი ბებრუხანა ბოლო დროს

ჯანმრთელობას უჩიოდა. ავლელდი და ვკითხე, მამისის ხორავა არ სჭირდა რამე. ამ მოულოდნელმა კითხვამ კი იგი გაამხიარულა.

აი, კიდევ ერთი მაგალითი: თუკი ისინი დაშმარიტებისთვის მოგმართავენ, ვერასდროს ჩამოაყალიბებენ ნათლად, თუ რა სჭირდებათ. უფრო ხშირად ამგვარი გაურკეველობის შედეგად, ამ საქმეს ვერც თავს უგებ და ვერც ბოლოს. ერთხელ, ფან სანმა მომიბიმი და მნიშვნელოვანი მონაცემების შესახებ მიითხა, თანაც შემახსენა, რომ ხმამაღლა არ უნდა მეთქვარისმი მათზე. დამაგვიწყდა, სად ვყავი, და ხმამაღლა ვიყითხე, თუ ვის სჭირდებოდა მისი მონაცემები. მან კი შეუწყსარებლად და უემაყოფილოდ მიასუსხა, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო. ამას დაურთო, რომ იყო ერთი ავტორიტეტული ფიგურა, რომელსაც ეს სჭირდებოდა. ვიზე საუბრობდა იგი? ღმერთმა უწყის და, მასთან ერთად, რა თემა უნდა, ფან სანმაც.

ამას იმისთვის ვყვები, რომ მათი უცანური ხასიათი და ორაზროვანი ბუნება აღვწერო. მონაცემებთან ერთად ავტორიტეტული ფიგურები ზოგჯერ დამატებით ინფორმაციასაც ითხოვენ, მაგალითად: მომღერალი მეგობარი ქალის ტელეფონის ნომერს. ვა, ენას ვერ ვაჩერებ; სწორედ ამიტომ არ ვარ მდივნობისთვის შესაფერსი.

ყველა მაგიდას შემოსხდომიდა და, ჩვეულებისამებრ, უკვე სმაც დაეწყოთ. პირველი ჭიქის შემდეგ ჩაო ვუმ ნამიძახა:

„ოჳ, დამავიწდა, ზპანგ მიშუ ქვემოთ არის. დავუძახებ, რომ შემოგვიერთდეს.“

მდივანი ზპანგი ძალიან ახალგაზრდა აღმოჩნდა. პირველად შევხვდით ერთმანეთს და, ერთი შეხედვით, ძალიან მორცხვი ჩინდა. გალიმებულმა თავი დაგვიერინა და მაგიდას მიუჯდა.

„ერთი ჭიქა ხილის წვენი მისთვის. ის არ სვამს!“ – მიმართა ჩაო ვუმ მიმტანს.

ჩაო ვუ, ამ რამდენიმე მდივანს შორის, ყველაზე ტრაპაზაა. ნებისმიერი წვეულების დროს ის საუკეთესო მრჩევლის როლში გვევლინება. სხვა მდივნები მასთან შედარებით მორიცებულები და დინჯები არიან. ალბათ გასაგებია, რომ მისი უფროსი ყველაზე მაღალ თანამდებობას იკავებს. მდივნების როლი მათი უფროსების თანამდებობის ხარისხზე დამოკიდებული, ამიტომ გამიკვირდა, როდესაც ჩაო ვუმ პირადად შეუკვეთა მდივანი ზპანგისთვის წვენი და სხვებსაც მოუწოდა, რომ მისთვის ალკოლი არ შეეთავაზებინათ.

ისინი მაღალფარდოვან და სიტყვაუხვ საუბარში იყვნენ გართულები და მე მდივან ზპანგს ვაკეირდებოდი. მთელი საღამო არაფერი უთქვამს, ლრმა პიროვნება ჩინდა. მისი კეთილგონიერება ჩემს დასკენას ადასტურებდა: როგორც ჩანს, მისი უფროსი ყველაზე მაღალი თანამდებობის პირი იყო.

როდესაც საქმარისად დავლიერ, მდივანმა ზპანგმა ჩაო ვუს ჩუმად მიმართა, რომ პირველები უნდა ნასულიყვნენ. ჩაო ვუმ უპასუხა, რომ ისიც მაღა აპირებდა ნასკლას. მდივანი ზპანგი ლიმილით დაგვემშვიდობა. ჩემი ვარაუდით, ჩაო ვუ უფრო მაღალი თანამდებობის პირთან დაახლოებას ცდილობდა.

წვეულების დასასრულს არ შემძლო, ჩაო ვუსთვის არ მეკითხა, თუ ვისი მდივანი იყო ზპანგი.

„მდივანი ზპანგი? ის არ არის მდივანი“, – მიმასუხა მან.

„მაშინ რატომ უწოდებთ მდივანს?“ – გამიკვირდა, რატომ უნდა ეცრულა მას.

„ოჳ, მისი სახელია ზპანგ მიშუ, ის ჩემი ახალი მძღოლია“, – დამცინავი ჟესტით მიპასუხა მან.

ჯანდაბას ეს სახელები! მთელი საღამო ტყუილად ვიჭყლიტე ტვინი და კინალამ სხვებისთვის დასაცინი გავხდი. სიბრაზისგან კბილები მიკანკანებდა.

ნაგვის შეგროვება

ჩემი ბედი მან შეცვალა, პირდაპირი გაგებით. სინამდვილეში, მას ჩემთან ცოტა რამ აკაშირებდა. არც მეგობრები ვაყავით, არც – ნათესავები. არც ახლო ურთეორთობა ვექტონა ერთმანეთთან. მხოლოდ ისეთი ნაცნობები ვიყვაით, რომლებიც თავის დაქნევით ესალმებან ხოლმე ერთმანეთს. თუმცა, მან მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა.

მე ახაგაზრდობაში ჩემი გარშემოყოფები, მშობლებისა და და-ქმების ჩათვლით, უნაშესოდ და ნაგვად მიმიჩნევდნენ. მხოლოდ პრობლემების შექმნა შემეძლო სხვებისთვის და – ტკივილსა და შიშის მოგვრა მათთვის, ვინც მიყვარდა. სახელდიბრ, როგორც სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სანარმოს სოციალისტ მშენებელს, ველაფერო, რაც შემეძლო, განუწყვეტლივ პრობლემების შექმნა იყო. ჩემი სიმაჯლით პატარა თითები დანითაც გამტრია. ქარხნის ხელმძღვანელივით ფეხებადი და ფიცხი გავხდა, ადმინისტრი, რომელსაც სხვა ვერავინ გაუტოლდებოდა. მე ახირებული და დესპოტური ვიყავი, როგორც მამაცი კლოუნი. ყოველივე ეს კი – იმისთვის, რომ ჩემი სიმიტე და სიმდაბლე დამტკარა. კარგად მესმოდა, რომ ნამდვილი გარენარი და საშინელი ეშმაკი ვიყავი, რომელიც სხვას არად აგდებდა.

ამასობაში უნივერსიტეტის დამთავრების დროც მოვიდა. დიდ სათვალეებს ატარებდა ახლომხედველობის გამო, ბრძენის, მიზიდველისა და ჭკვიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მან მექანიკოსად დაინტყო მუშაობა და მოგვიანებით იმ სახელოსნოს მენეჯერი გახდა, სადაც მე ვმუშაობდი. არ უცდია ჩემი თავიდან მოშორება, არც საშიშად მთვლიდა, სხვებისგან განსხვავებით. მაგრამ მისმა მზერამ ჩემში, ჩემს გულში, განსაკუთრებული გრძნობა ნარმოშვა. არ ვიცოდი, ეს მზერა რას ნიშნავდა, მაგრამ შემეძლო მასში გულწრფელობა, გამხნევება და ყურადღება ამომეტითა. აქამდე მხოლოდ მშობლების საყვედურები მესმოდა, ჩემი მასნავლებლების ქადაგებები და კეთილი, თუმცა ყალბი დემაგოგია უფროსებისა და თანამშრომლების მხრიდან, მაგრამ არაფერს უმოქმედია ისე, როგორც მისმა შემთხვევითმა და გადამწყვეტმა მზერამ იმოქმედა. სუმრობა უყვარდა და არასდროს გამომყოფდა სხვებისგან. მისთვის ყველა კეთილი იყო და მის ახლომხედველ თვალებში მხოლოდ სხვათა ღირსებები აღიბეჭდებოდა. ნამდვილად არ მაღმერთებდა, თუმცა მქონდა იმის ჭეშმარიტი და ძლიერი განცდა, რომ იგი მამჩნევდა. გამუდმებით ვცდილობდი, ველაფერი ისე გამეკეთებინა, როგორც მას სურდა (მის სურვილებს საკუთარი გამოთვლებით ვიგებდი). ჩემი საქმე იყო, გავმედარიყავი უფრო და უფრო უკეთესი და ენერგიული.

ორ ნელინადზე ნაკლები იყო გასული, როცა მან ქარსანა დატოვა. რამდენიმე დორთ ადრე მას დაევალა, რამდენიმე სიტყვა უტევა იმ მუშებისთვის, რომელთაც დამის ცულაში მუშაობა ის-ის იყო დაესრულებინათ ჩვენს სახელოსნოში. იგი ჰყვებოდა, რომ მისთვის საუკეთესო თავშესაქცევი ნაგვის შეგროვება იყო. დაწყებით სკოლიდან მოყოლებული, საშუალო სკოლამდე, ის მუდამ კრეფი და ნიდას, ნახერხს, ჯართს, შუშის ნამსხვერევებს, ბინძურ ქალადებს, ტანასაცმლის ნაკურებს, კბილის პასტის ტუბებს, ნარჩენებს, დარში თუ ავდარში, ნაგვის გროვაში საცხოვრებელ სახლებთან, საავადმყოფებთან, საწყობებთან. იგი ღარიბი ოჯახიდან გამოსულიყო. ბოლოსის ფესვებზე, ბოსტეულის უგემურ ფოლებზე და კარტოფილის ქერქზე გაზრდილი. ნიდასა და ნახეხს იგი სითბოს წყაროდ იყენებდა, ჯართსა და შუშის ნამსხვერებს მცირე ფულის სანაცვლოდ აგზავნიდა გადამამუშავებელ პუნქტებში, ფულს კი სკოლის გადასახადს ახმარდა. უმეტესობისთვის ეს ცუდი გამოცდილება იქნებოდა, ისეთი რამ, რაც სხვებისთვის თავშესაქცევად არასდროს გადაიქცეოდა. იგი მანც აღელვებული საუბრობდა ამ თემაზე. მას ბევრი გასართობის აღმოჩენია ნაგავსაყრელებში: ფერდი კანუტის ქალადები, სიგარეტის კოლოფები, ქოთნები, რომლებიც მისი ბავშვობის ყველაზე დიდი განძი იყო. ამბობდა, რომ გადადგომის შემდეგ კვლავ ამ საქმეს მოჰქმდებდა ხელს.

მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ და მან მუშაობის გამოცდილება მიიღო. სხვადასხვა ქრსანაში, მხარებში, ქალაქებში და, საბოლოოდ, პროვინციაში. იგი ახლა მასალი თანამდებობის პირი იყო და პრესტიტული ცხოვრება ჰქონდა. ჩვენ არასდროს გვექინია ურთიერთობა, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ცხოვრების სტილს გამო. ერთ დღეს მის ფოტოს მოვკარა თვალი უურნალში. მის უკან ნაგვის უზარმაზარი მთა აღმართულიყო. სურათმა ის ამბავი გამახსენა, ჩვენ რომ გაგვიზიარა იმავე წელს.

არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ სხვა ქვეყანაში გავემზავნები მივლინებით. მატარებლის სადგურთან მოხუცი კაცი დაელანდე, ჭუჭყან ქალადებებს კრეფდა, წყლის ბოთლებს და ხარასურებს იღებდა გზისპირებიდან. როცა ვაკევირდებოდა მოხუცის მძიმე ყოფას, გონებაში კვლავ ყოფილი თანამშრომელი ამომიტივტივა, თითქმის კვლავ მას ვხედავდი. კარგა ხანი ვიცინდობი ჩემი უცნაური იღუზის გამო, მიუხედავად იმისა, რომ მოხუცი ნამდვილად ჰგავდა

მას. გადავწყვიტე არ შემეწუხებინა იგი, ერთი მხრივ, იმის გამო, რომ შესაძლოა, მეშვებოდა, მეორე მხრივ, კი შესაძლოა, მოხუცი ნამდვილდ ის ყოფილიყო.

სასლში დაბრუნების შემდგომ გამიზნულად მოვიკითხე იგი. შინაურებისგან შევტყვე, რომ გადადგომის შემდეგ სწორედ იმ მხარეში გადასვლა დაუშინოს, სადაც ახლახანს ვიყავი. მერჩინა, დამეჯერებინა, რომ ის მოხუცი სწორედ იგი იყო. ბოლოს და ბოლოს, ის, ვისაც ეხერტებოდა ნაგავსაყრელში რამებ გამოსადეგის პოვნა, ვისაც სჯეროდა, რომ ყველაფერს აქვს თვისი ფასი. პატარა სახელოსნოში თუ დიდ დაწესებულებაში, მან იძოვებ და აღზარდა ნიჭირი ადამიანები, მათ შორის ისეთი „უნა-მუსოებიც“, როგორიც მე ვიყავი, მანამდე „საზოგადოებრივ ნაგვად“ მიჩნეული.

კოლა

პროვინციის მმართველი ქალაქს ესტუმრა, რათა კვლევა-ძიება წარემართა და ადგილობრივი სამმართველოების ახალგაზრდა კადრებისთვის სიმპოზიუმი ჩატეარებინა. აჲ მინგი, კოლეჯის სტუდენტი, რომელსაც სწავლა ახლახანს დაემთავრებინა, იღბლიანი აღმოჩნდა, რადგან სწორედ ის შეარჩიეს და ამჟამად დიდ, ოვალურ მაგიდასთან იჯდა აღლვებული. თითოეული დამსწრებისთვის მიკროფონი იყო მაგიდაზე მოთავსებული, ასევე – ადგილის ბარათი და კოლას ბოთაზი. სიმპოზიუმის თითოეული დამსწრე ერთმანეთს მეტოქეობას უწევდა, ერთმნეთს ასწრებდა ხელის აწევას და სუუპარში ისეთი მანერით ჩართვას, რომ უფროსების მოწონება დაემსახურებინა. აჲ მანგს, დროის შეზღუდულობის გამო, შასი არ მიეცა. მიუხედავად იმისა, რომ ამაռდ ცდილობდა რამის თქმას, სიმპოზიუმის დასასრულს წყურვილი იგრძნო და ამიტომ, გაუცნობიერება და კოლას ბოთაზი აიღო მაგიდიდან და ჯაბეში ჩიცურ, რადგან მასინძელმა დამსწრე სიმპოზიუმის დასრულება ამცნ.

აჲის ამ ქმედებამ მაორის ყურადღება მიყყრო. იგი მმართველს ახლდა კვლევა-ძიების საქმესათვის დაკავშირებით. მაიორი მოიღუშა და მდივანს ახალგაზრდის შესახებ ჰკითხა. მდივანმა მიუგო, რომ იგი კოლეჯის სტუდენტი იყო, რომელიც ახლახანს შეარჩიეს საგარეო ვაჭრობისა და ეკონომიკური კომისიის.

კვლევა-ძიების შემდეგ, მაიორმა ექსკლუზიური შეხვედრა მოაწყო სხვადასხვა კომისიის-

ისთვის, ასევე – ოფიციებისა და ბიუროთა ლიდერებისთვის. მან ისაუბრა მმართველის მნიშვნელოვან ინსტრუქციებზე და მოკლედ შეაჯამა შეხვედრა. მაიორმა საუბრისას აღნიშნა რამდენიმე უარყოფითი დეტალი და ცალკე გამოყო კოლეჯის სტუდენტი, საგარეო ვაჭრობისა და ეკონომიკური კომისიაზე კომისიის მიერ ახლად არჩეული, და იგი კრიტიკის იბეჭდვად აქცია. ახალგაზრდა თავად ვერ ხვდებოდა, რა დააშავა. საგარეო ვაჭრობისა და ეკონომიკური კომისიაზე კომისიის ხელმძღვანელს შერცხვა. მან აჲ მინგს მოსთხოვა, რომ იგი ენახა და ზრდილობიანად შეასხენა, ყურადღება მიეკუთა საკუთარი საქმის დეტალებისთვის და მის მიერ კოლას ბოთლის მითვისების გამო მაიორის კრიტიკა გაეძათილებინა. აჲ მინგმა თავი დამნაშავედ იგრძნო და სურდა აეხსნა საკუთარი საქციელი. დირექტორმა მას უბრალოდ ხელი დაუწინა და უთხრა:

„ოჲ, ქმარა, უბრალოდ ამიერიდან კარგად მოიქეცით.“

აჲ მინგი იფისში დაბრუნდა. რაც უფრო მეტს ფიქრობდა მომხდარზე, მით უფრო ბრაზდებოდა. სწორედ კოლას ბოთლიმა ნარმოაზინა შეხვედრაზე იგი. არაფერი მოხდებოდა, თუკი მას იქ დალევდა, ჩვეულებრივი ამბავია შეხვედრაზე დალევა და არა – სასმელის ნამოღება. მოექებნება ამას დადებითი მხარე? ცუდად მოვიქეცი? სადაც ური წესა? აჲ მინგი კოლეჯში ვირივით ჯიუტი იყო და ახლა იგი ძველ ჩვევებს დაუბრუნდა. მან ნერილი დაწერა მაიორის სახელზე და ეცადა, რაციონალურად განემარტა თავისი საქციელი სხვადასხვა კუთხით. მაიორმა მანამდე აჲ მინგის სახელიც არ იცოდა. მისი ნერილის ნაკითხვის შემდეგ კი იგი უფრო მეტად განრისხდა. რამდენიმე კომენტარი დაურთო, ხაზი გაუსვა საკანძი გამოთქმებსა და წინადაღებებს, და უმაღლასგარეო ვაჭრობისა და ეკონომიკის კომისიაზე კომისიის დეპარტამენტში გაგზავნა. ამის გამო უფროსებიმ თავი უხერსულად იგრძნეს და გადაწყვიტეს, აჲ მინგს შეხვედროდნენ.

აჲ მინგს უფრო მეტად აეწნა თავგზა, თუმცა მიხვდა, რომ ახლა უფრო სერიოზული რამ მოხდა. მან განაგრძნო წერა, თვითკრიტიკა, განაგრძო განმარტება და იყიდა კოლას ყუთები საკუთარი ხარჯებით ყველასტვისა და რამდენჯერმე მოხალისებდაც კი ჩაეწერა სისხლის გაცემის პროგრამაში. ეს ყველაფერი კი – იმის დასამტკიცებლად, რომ უმისიშვნელო სარგებლის მიღებაც არ სურდა და სულაც არ იყო ეგონისტი.

მისი თითოეული მცდელობა უშედეგო ალმოჩნდა, ამიტომ მასში სასონარკვეთილებამ იმდლავრა. ყოველ შეხვედრაზე დაწესებულებებსა და დეპარტამენტებში „კოლას“ საკითხი ცუდ მაგალითად განხილებოდა, როგორც – გაკვეთილი თითოეული კადრისტვის, განსაკუთრებით კი – ახალგაზრდებისთვის, რომელთაც ხსლის მართვისა და საკუთარი მოვალეობის პირნათლად შესრულების იდეა უნდა განევითარებინათ.

აჲ მინგამ გადაწყვიტა, თხოვნით მიემართა, მაგრამ ვერ შეძლო საკუთარი თავისითვის რამებ დამამცირებელი საბუთის გამოძებნა. არავის უთქამის მისთვის ხელფასზე უარი, არავის წაურთმევა მისთვის სამუშაო, თუმცა, იგი თავს ყოველთვის არაკომიტულად გრძნობდა. რამდენიმე წელი დეპრესიასა და სტრესში გაატარა.

მმართველი ორგანოების რეფორმაციის დროს იგი მოხალი-სედ ჩაეწერა. არასამთავრობო გაერთიანების ხელმძღვანელმა

კი მისი თხოვნა მიიღო. აპ მინგი ხალისით გაემართა უბრალო სოფელში და დროებით სოფლის დამხმარე ხელმძღვანელის პოსტი დაიკავა. პირველივე დღეს მან მიიღო ოჯისი, მოიტანა კოლათი სავსე ფურგონები სოფლის მცხოვრებთავის, ქალებისთვის და კაცებისთვის, მოხუცებისთვის და ახალგაზრდებისთვის, რათა გაეხარებინა ისინი.

ერთი თვის შემდეგ აპ მინგი გააკრიტიკეს მისი გემოთ მოყვარეობის გამო. აპ მინგი კარგად ხვდებოდა, რომ იგი არ იყო გემოთმოყვარე, რადგან მას არაფერი უჭამია, თუმცა კი მართლაც ბევრი დალია.

სიზმარი

„გამარჯობა, მასწავლებელო! მე ტან ქსიაოლი ვარ, თქვენი ყოფილი სტუდენტი. გახსოვართ?“

„ოჟ, დიახ, დიახ, გამარჯობა! შენ შესახებ ბოლო წლებში ახალი არაფერი მსმენია. ახლა რა ქარმა გადმოგაგდო?“

„სიზმარში გნახეთ გუშმინ და უცნაური განცდა მქონდა დილით, გაღვეტებისას. დამნაშავედ ვგრძნობ თავს, რა თქმა უნდა, რადგან დიდი ხანია, არც დამირეკავს და არც მინახისართ. ამიტომ გადავწყვიტე ახლა დარეკავ.“

„მართლა? სიზმარში მნახე? კარგი სიზმარი იყო თუ – კოშ-მარი? იქაც გლანძლავდა?“

„პარგი სიზმარი იყო, კარგი, რა თქმა უნდა. კლასში სცენაზე იდექით, ან იქნება – აუდიტორიის ტრიბუნასთან. ლექციის კითხ-ულობდით თუ სიტყვას წარმოთქვამდით, არ მახსოვს. თავიდან უყვლაფერი ნათლად ჩანდა, შემდგომ კი ბუნდობანი გახდა.“

„მართლა? სცენა, ტრიბუნა, საკლასო ოთახი, აუდიტორია? დიდი განსხვავებაა ლექციის ჩატარებასა და სიტყვის წარმოქმას შორის?“

„დიახ, მასწავლებელო! ყოველ შემთხვევაში, ჩემს სიზმარში ასე იყო. სხვადასხვა რამ არის სცენიდან ლექციის ჩატარება საკლასო ოთახში და სიტყვით გამოსვლა უდიტორიის წინაშე ტრიბუნიდან. პირველ შემთხვევაში მთავარ როლს მასწავლებელი ასრულებს, მეორეში კი – ლიდერი. ჩემი სიზმარი, შესაძლოა, თქვენთვის კარგის მომასნავებელი იყოს. შესაძლოა, დაგანინურონ.“

„ეს ძალიან სანონტერესოა. ჩანს, სიზმრებში ექსპერტი ხარ.“

„მასწავლებელო, კვლავ მაკრიტიკებთ. არ ხართ წინასწარმეტყველი. ვიცა, ეს უბრალოდ სიზმარია. როგორ ბრძანდებით? ახლა ასწავლით სადმე?“

„გმადლობ ყურადღებისთვის. არა მიშავს. ისევ ლექციებს ვატარებ, უკვე – არც თუ ისე ხშირად.“

„რატომ? უფრო მეტი ლექცია უნდა ჩაატაროთ, თუკი ჯანმრთელობაც გინყობათ ხელს. ახლა ხომ ისეთი პოპულარული ბრძანდებით და, ამავდროულად, შესანიშნავი მოაზროვნე, არ გეპირფერებით. თქვენ ნამდვილად საუკეთესო ხართ და უკეთესი იქნებოდა, მეტი ლექცია ჩაგრეტარებინათ. მე კვლავ მოვუსმენდი მათ დიდი სიამოვნებით, თუკი მომეცემოდა ამის საშუალება.“

„ამას ძალიან ვაფასებ, მაგრამ მე ჩემი ლეპრივ მასწავლებელი ვარ. ეს თქვენ, ახალ გაზრდობას, გმართებთ წვლილის შეტანა.“

„აჟ, არა, არა, მასწავლებელო, ძალიან თავმდალი ბრძანდებით და მე აღტაცებული ვარ თქვენით. სრული სერიოზულობით ვამბობ. რა ლექციებს ატარებთ? სიამოვნებით მოვიდოდი და მოვისმენდი.“

„არა, არ მოხვიდე. ახლახანს შევიცვალე სამსახური.“

„უნივერსიტეტში აღარ ხართ? ახლა სად მუშაობთ? დაგანინაურებს, ხომ?“

თუ ამას დაწინაურება შეიძლება ეწოდოს... ქალაქებს ეკონომიკურ სამუშაოებზე პასუხისმგებელი მაიორის თანაშემწე სჭირდებოდა და მე ამირჩიებს.“

„ჰა, ჰა! როგორც ვხედავ, ჩემი სიზმარი ახდა. გილოცავთ, მასწავლებელი! უფრო ადრეც უნდა დაგანინაურებინეთ!“

„ეს სამსახური საესებით არ მეხება მე. ამის გამო ვლელავდი, არ ვიცოდი შევძლებდი, თუ არა.“

„ძალიან თავმდაბალი ბრძანდებით, მასწავლებელო! თქვენ ბრძენი, უნარიანი და ლირ-სეული ადამიანი ხართ. თქვენ მაიორის დამხმარებელაც და ვიცე პრემიერობისთვისაც კი შესაფერისი იქნებოდით! წინა ღამეს მესიზმრა, რომ ჩევენ, სტუდენტები, მოგვიხმეთ და დაგვარიგეთ, თუ როგორ შეგვეძლო დაგეხმარებოდით. მე განსაკუთრებული ყურადღება მერგო და თქვით, რომ მე გავხდებოდი ადგილობრივი საგადასახადო ბიუროს ხელმძღვანელი ჩემი ჭაუისა და მოხერხების დამსახურებით. მე იმდენად ბედნიერი ვიყავი, რომ დაგპირდით: მეწმუნეთ, ძვირფასო მასწავლებელო! ყველაფერს გავაკეთებ თქვენ მოლოდინის გასამართლებლად-მეთქი. სასაცილოა, არა?“

„ეს, ძალიან. ახლა სად მუშაობ?“

„ოჟ, მასწავლებელო, ისეთი ბეჭინიერი ვარ თვეებთან საუბრით, რომ საკუთარ თავზე ვერ-აფერი გითხარით. ქალაქებს ადგილობრივ საგადასახადო ბიუროში გადამიყვანეს სამუშაოდ.“

„ოჟ, მართლა? მაშინ შეწყვიტეთ სიზმრეზე ფიქრი და თქვენი სამუშაო ზედმინებით შესარულეთ. ბოლიში, ახლა შესვედრაზე უნდა ნებიდე.“

„ალო, ალო, მასწავლებელო, მასწავლებელო...“

თარგმნა ხატია გაგნიძე

2 პოეზია

კოკა არჩევაძე

მესამე სამყაროს პლუზი

1

მზის გულზე ვდგავარ ყოველდღე და
 მანქანებს ვყიდი, მეორადი ჩემი მხეცები,
 სამყაროს ყველა კუთხიდან, აქ იყრინ თავს –
 რუს-თავი, რუ კი არსად ჩანს.
 წყალს დამწვარ კისერზე ვისხამ და ვისმენ
 ჩემნაირ უბედოთა ჩხუბს თუ შაირებს,
 ერთი მეორეში ხშირად გადადის.
 მზეს სახეს ვუშვერ და ბაზრობის კაკანი
 ზღვის ხმაურად მინდა ვაქციო,
 ზღვის, რომლიდანაც მომაშორეს,
 იმ დროს, რომელშიც ვერ დავბრუნდები,
 ბედით, რომელსაც ძალლმა დაჰყეფა
 სანამ მასაც, ჩემი ბავშვობასავით,
 ტყვია არ დაახალეს და აქ აღმოვჩნდი.
 ჩემი ამბავი მეორადია – გერქვას ლტოლვილი
 ბოლო-ბოლო ნიშნავს აღმოჩნდე
 რიცხვით ნაწილში ანგარიშის, რომლის უკანაც
 მზის გულზე ვდგავარ დამწვარი კისრით
 და ზღვის ხმაურს ვუსმენ.
 სათუთად ნარჩევ მეორად ტანსაცმელში
 ვიოფლები, ისე არა, როგორც, დავუშვათ,
 დავასველებდი ახალ ზმანებს, ნორმალური
 მაღაზიების ლიმილი რომ ატყვიათ
 და რამდენიც არ უნდა ვაქოთ მათი მდგრადობა,
 ეს მანქანებიც პირველად პატრონს ტყუილად
 არ მოუგდია ჩვენთვის, თუმცა მართობენ,
 ხან რას იპოვი საბარგულში ანდაც სალონში:
 ფერად გაზეთებს, სხვა ცხოვრების ფერად ამბებით,
 უცხოურ ხურდას, სიგარეტებს, ზოგჯერ ტკბილეულს –
 გერქვას ნაგავი, ბოლო-ბოლო ნიშნავს რომ აღარ
 ჭირდებ პირველად პატრონს, ანდა პატრონებს.
 მეორადია ჩემი ამბავი, მაგრამ სამყარო
 ჯიუტად ახდენს გასაჭიროს ტირაჟირებას.
 ტუტუცი ბავშვის სიჯიუტეა, გირტყას, როდესაც
 კაი ხანია მიხვდი საფუძლებს არსებობის
 იქ, სადაც დგახარ, დიდი ხნის წინ

გაითავისე ნარატივის მთავარი მოქმედი პირი
 შენ რომ არა ხარ და არც სხვა არის –
 არ იზღუდება ეს ამბავი კაცის ცხოვრებით,
 უფრო ვრცელია და მოქმედ პირებს
 უფრო გამძლეს და მოხდენილს ითხოვს.
 საფუძველშივე ნათელია, ამ მექანიზმის
 ხერხიც და მიზანიც არის ერთი – განმეორება.
 განმეორება ძალადობის დროის და სივრცის,
 იქ და მაშინ ძალადობის განმეორება,
 აქ და ახლა ძალადობის, სადმე და როდესმე ძალადობის
 განმეორება. მეორადობის ძალადობა, ყოველ ნაბიჯზე,
 ძალადობა. ნარსულის ძალადობა ყოველ ამოსუნთქვაში.
 ძალადობა. შიშის და სხვა ტყეულის ძალადობა ნაბახუსევზე.
 ძალადობა. ნარმოშობის და წარმავლობის ძალადობა,
 თანდაყოლილ და გაუგებარი. ძალადობა.
 დაუსაბუთებელი რწმენის და მისი ტუფით ნაგები
 სახლების ყოვლისმომცველი ძალადობა. ძალადობა.
 ყოვლისმთხოვნელი რწმენის ძალადობა. ძალადობა.
 უპირობო და საკმეველით გარშემონარტყამი ძალადობა.
 ძალადობა. თეთრ წვერებში და შავ მანქანებში დაბუდებული
 ძალადობა. ძალადობა. მჩაგრელების და ჩაგრულების
 ძალადობა. ძალადობა. და ფულის, ფულის ძალადობა,
 დილას რომ გაღვიძებს. ფულის ძალადობა გზაში და
 ადგილზე მისვლისას. ფულის ძალადობა
 უზარმაზარ მაღაზიებში, ფულის ძალადობის უზარმაზარ
 მაღაზიებში ძალადობის. ფულის ძალადობა, ლამე რომ
 არ გაძინებს ძალადობა. მზის ძალადობა, იქ სადაც
 ჩრდილი არ ჩანს და დამნვარ კისერს ვერ გაყდი –
 მეორადია. ძალადობა. გავარვარებულ მანქანებს შორის
 ეს ჩემი თავის ასე მსგავსი ადამიანები დადიან,
 მათი ხმაური ოდნავაც არ ჰგავს ზღვის ხმაურს და მაინც
 ვცდილობ თვალი დავხუჭო და აქ არ ვიყო. ჯიუტად
 არ ვიყო აქ. განმეორება ძალადობის განმეორების.
 ძალადობის განმეორება ძალადობის განმეორების. ძალადობის
 განმეორება ძალადობის ცოდნის დედაა, შენი დედაც.
 ჯიუტად არ ვიყო აქ. გავარვარებული სამხეცეთის
 რიგითი მხეცი. არ ვიყო აქ. დრო გავიდეს და არ ვიყო აქ.
 და დრო გადის და მე ვკარგავ დროს. დრო გადის და მე ვკარგავ.
 ვკარგავ დაევებს და უფრო დიდ მონაკვეთებს დროის და
 დიდ შესაძლებლობებს და მათი არსებობისადმი ირონიას
 ვკარგავ. სახეს თუ რსაც ქვა – მე და მხოლოდა ტკიფილი
 ამტკიცებს არსებობას, რისაც ვკარგავ. რის არსებობასაც
 მხოლოდ ფოტოები ადასტურებენ და მათზე ალბეჭდილი
 სულ უფრო მნიშვნელი მიანიშნებს, მის არსებობას ვკარგავ.
 ნასწავლ სიყვარულს აბსტრაქტული მოვლენების და
 ნამდვილად არსებული ადამიანების მონატრებას ვკარგავ.
 სახლი და ეზო და ქუჩა და ქალაქი და ნაცნობი გოგოს
 ფანჯრის რაფაზე იები და სამშობლო რომ დამირქვეს – ვკარგავ.
 და ვკარგავ ენას, ის ამბობდა რომ მე ვარ აქ და მეჭია ეს
 და ეს არის ჩემი ენა და ეს არის ჩემს ენაზე სამღერი
 სიმღერები ჩემს ენაზე და ამოვიდგი და ვიმღერე – ვკარგავ.

Now listen – Mary has lost her kite.
 I lose. You lose. They lose. Lose. Lost. Lost.
 Mary has lost her kite. Now repeat after me – A KITE.
 And I do repeat. I repeat and rehearse to repeat.

My fingers hurt rolling these dice,
 Walk through the streets, nothing I recognize,
 Get home under sheets and squeal like mice.
 No job for Job, I walk morose,
 Flued and fevered, got no one here real close,
 No roses for my grave when I say – Adios!
 And it's cool, not that I litigate,
 Landlord not mad even if I'm late.
 One smile is enough for me to abate.

Till its Friday and I'm on the loose,
 Only money to noose my noose.
 And I'm grinding what comes around,
 Forming powders into mounds.
 Douse it all down and booze it all up,
 Wall-eyed I get cup after cup.
 Treat low spirits with spirits, fear it,
 When I'm out and drunk.
 Keep my head up from clunk to clunk.

One smile is enough for me to abate.
 One smile is enough for me to abate.

2

Yes, Massa, me knows my place.
 Yes, Massa, me knows where my place is.
 And yes me be quiet, Massa,
 Yes, me pay my rent.
 Yes. Yes. Yes.



ამბროსი მელქაძე

ლოცვასავით გიცხა

როცა 11 აგვისტოს

რუსეთის არმიის მიერ შეშინებული

22-ე ბატალიონის ჯარისკაცები

სამხრეთ ოსეთიდან თავქუდმოგლეჯილი გამორბოდნენ,
ამერიკის მთავრობისგან საქართველოსთვის ნაჩუქარი

ვიეტნამის ომის დროინდელი დოკით,

რომელზეც წყლის ავზი იდგა,

კაპრალი, თუნდაც ამ ლექსში მანუჩარი ერქვას,

ზემო ხვითიდან მოჯაყუჯაყებდა.

მონინაალმდეგე რომ გიტევს,

წესით ამხელა სამიზნედან უნდა გადმოხტე და დაიმალო.

ამის გააზრების თავი ჰქონდა კაპრალ მანუჩარს?

საჭეს რა მოტივით ებლაუჭებოდა?

— არ ვიცი.

სოფლის ვიწრო გზაზე ტანკების კოლონა შეეჩება.

მერე იხსენებდა — ტანკები

განმასხვავებელი ნიშნების გარეშე იყო,

ამიტომ ჩვენების მეგონაო... და

მიუსიგნალა ერთხელ, ორჯერ,

გზა დამითმეთო.

ერთი ტანკის კოშკის ლუკი აიხადა,

იქიდან თავი ქერა რუსმა ამოყო

და შემოაგინა: იდი ხა ხუ...

შეშინდა მანუჩარი, ოჱ, როგორ შეშინდა.

ჩაიფასა ან კინალამ ჩაიფასა,

თვალთ დაუბნელდა ტყვიის დახლის მოლოდინში,

მაგრამ არ მოკლეს, არ დატყვევეს,

მხოლოდ გინებას დაჯერდნენ —

გონი ითხოვდა ბლაძ...

და მოეჩენენა, რომ ამაზე სასიამოვნო

არასოდეს არაფერი გაუგონია.

თქვენ როგორ ფიქრობთ, დედის ლოცვა უფრო ტკილია,

თუ

პატრიარქის ლოცვა უფრო მადლიანია,

თუ

ავად მომზირალ ტანკის ლულაზე შემომჯდარი

რუსი ჯარისკაცის გინება?

იმ წუთს იგი ხელმეორედ დაიბადა,

იმ წუთს სამყაროც ხელმეორედ დაიბადა,

თითქოს ღმერთმა თქვა

იყავნ ნათელი და

იდი ნა ხუი მანუჩარ,

იდი ნა ხუი მანუჩარ,

იდი ნა ხუი მანუჩარ.

ამპროსი იყოს პატრიარქი!

როს მცხეთის საკათალიკოსო ტახტის
დღვანდელმცყრობელის სიცოცხლე წახდეს;
როს ტახტისთვის ერთურთს დაერიონ
და აირიოს საივერიო;
ეპისკოპოსებიც წალოდინებ
საერო მთავრობას წაეპოტინონ,
მაშინ ხმამაღლა, მავანი ბალი
იტყოდეს: ამბროსი – პატრიარქი!
პირი მოქასნას ყველა სარქველს:
ამბროსი იყოს პატრიარქი!
არა წამონაზვნარი ბერკაცი,
არამედ ამბროსი მელქაძე!
ხალხს ჩაი, თაფლი, პური, კარაქი,
ამბროსის მიტრა პატრიარქის!
იერარქიის მტერი, კარლია
შეუპოვარი ჰეტერორქია.
სწამს – სხვამ მის გზაზე არ უნდა იაროს
და ქმნის კილოს ამბროსიანულს.
რაა, მითხარით, ამაზე კარგი –
ამბროსი იყოს პატრიარქი?

სიზმარში

ცოლი, რომელიც მოსაფსმელად სხვასთან წავიდა.
შეილი, რომელიც ხელიდან გამივარდა.
ლოგინი ოთახში, რომელშიც ცხადში ლოგინი არაა
და შემომცინარე გულმიუსვლელი შავგრემანი ქალი ლოგინში.
Youtube პოეტი ზურა სალუქვაძე, რომლის სტუმრობა არ მესიამოვნა.
მამაჩემი, რომელიც მარიგებდა, ანტენა როგორ დამემაგრებინა.
კიბე, რომელიც გამიტყდა.
და რომელმაც აიგანზე განყობილი სუფრა
ისე აალაგა, არ მიისხდომივართ.
დისფე საყველური პოეტისადმი უყურადღებობის გამო.
დედაჩემის ხმა, რომელმაც გამაღვიძა.

აი

ქალაქში, მტვერში წავიქეცი...
როგორც თავისი, როგორც მოძმე,
წმმომაყენა მხოლოდ პენი-
ანმა უღმერთო ანგელოზმა.
ხელჩაიდებულები მივალთ.
მემედება მისი ბოროტ-
აღმკვეთი ხელი უკანონოდ
შეძენილი პისტოლეტივით.

საყურა

ნიკოლოზ ბარათაშვილს

საყურე მარცხენა ყურზე ბუზივით მაზის,
ამ ქალაქში სულ სხვა იერს მაძლევს.
ზურგზე შავნახატიანი წითელი მწერი
იკბინება საავდროდ, მწარედ.
ავი თვალით შემხედავებით ამოიყორა
მუცელი და პირიდან მათი ძვლები ამოყარა.

3 პროგრამა

არავინ დაიჯერებს, რომ რომანი „ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე“ წელიწადნახვერის წინ დაიწერა. არც მე დავიჯერებდი, ავტორს თვითონ რომ არ წაეყითხა ჩემთვის და სხვებისთვისაც პასაჟები ნაწარმოებიდან: აյ ხომ მოქმედება 2011 წელს, ვერეს ხეობაში ვითარდება, სადაც (წინა) ხელისუფლებამ ჩამოანგრია მთა და ბეტონის სარკოფაგში მოაქცია მდინარე... ადამიანზე და ბუნებაზე ერთდროულად განხორციელებული ძალადობა ამსხვრევს მოქალაქეთა (აქ: ხევის ქუჩის ბინადართა) სულებს, იწვევს მათში მომავალ კატასტროფათა წინათვრითობას, ამავე დროს უკადურისა, თან დროში გაჭიმული ტრავება მიშის გრძნობისაგან ათავისუფლებს მათ და სასტიკი რეჟიმის წინააღმდეგ დაწყებული ფარული მოძრაობის მონაწილეებად აქცევს... ნამდვილი ტრავები ერწყმის პროფანული სინამდვილის კომიზმს, მძიმე ეპიკური ნაკადი კი პოეზიას, რომელიც, მიუხედავად ყველაფრისა, ადამიანთა გულებში მაინც ცოცხლობს... ლაიტმოოტივებისა და რეგისტრების ბადე ქცეული რომანი მუსიკალური წარმოების შთაბეჭდილებას იწვევს...

გიორგი ლობჟანიძე

ნაირა გელაშვილი

„ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე...“

(ფრაგმენტი რომანიდან)

გუძლვი „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსული ხელისუფლების ყველა მსხვერპლს, მათ შორის მდინარე ვერესა და მის მთას

პირველი ნაწილი

ყელი გრძელი, ყელში მარცვალი...
ვერ გადაყლაპა...
წითელ მწვანეს, მწვანე ყვითელს,
ყვითელი ლამეს ერევა
გიხაროდეს შენი ბუმბულები, ფერადი...
ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე...
ფეხები გა-ჩა- ჩხუ-ლი ჰაერში,
ხმა ი - ხე - ვა... ვა...
სისხლიან თვალებში - მწვანე ფოთლები ლაპარაკობენ...
სისხლიან თვალებში - გმირთა გმირი მზე...
აღარ არის შენი მთა,
აღარ არის შენი მდინარე...
აქ არის შენი თოკი, აქ არის შენი ხე,

აქ არიან კაცები და ქალები...
რა ლაბაზი ხარ, რა მახინჯი ხარ,
ხავილში კვდები...
ჯობია იცოცხლო, ჯობია მოკვდე,
დღეს ყველა დაგმარხავს,
ხეალე გაფრინდება შენი ხე,
შენი ბუმბულები ბეტონის თავზე...
მე მეცოდები
და აღარ მინდა აქ ყოფნა...

ეგნატეს სიმღერა

მას შემდეგ, რაც ლმერთი თავის მიერვე შექმნილ დედამიწაზე ჩამოვიდა, რადგან „თავისიანები“ მოენატრა და მათი შველის წყვეტილს წინ ვერ აღუდგა, მას შემდეგ, რაც იგი „თავისიანებმა“ დაამცირეს, გაამათრახეს და მოკლეს, თანაც წამებით, მას შემდეგ, რაც მოკლული ჯერ მიწაზე და მერე ფაში დაბრუნდა, – გასული იყო დახახლოებით ორი იათას თერთ მეტი წელი.

(თუმცა, ამ დროისათვის კაცობრიობის უმცირესობას ახსოებდა და კიდევ უფრო უმცირესობას სკეროლა, რომ ნამდვილად დმერთის ზემორე წახსენებმა ტრაგიკულმა თავგადასავალმა დაუდო სათავე ახალ საუკუნეთა რიგს, რომელსაც ქართველი პოეტი ნიკო სამადშვილი, მაგალითად, ადარებდა ნახირს, თუმცა, არაპირდაპირ და არაბიროტად:

„საუკუნეებს მაცხოვარი გაჰყვება მეხრედ,
საუკუნეებს, დასაბამი რომ მოძრვა...“)

ილია ჭავჭავაძის მოკლიდან გასულიყო 104 წელი „მთანი მაღალინი“-ს დაწერიდან – 117 წელი „უირაფის“ დახატებიდან – ალბათ, ასე, – 90 წელი უკანასკნელი იმპერიის დაშლიდან – 21 საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის (მეორედ) გამოცხადებიდან – 21 ვერის ხეობაში მოსი ჩამოხერხიდან – 4 თვე, ხოლო მდინარე ვერეს დაბეტონებიდან – 3 თვე.

და მიუხედავად ამ ყოველივესი, ხევის ქუჩაზე უმნიშვნელოვანეს მოვლენა ისევ მზის ამოსვლა რჩებოდა.

თუმცა, არა მხოლოდ აქ, არამედ მთელ დედაქალაქში და დიდი ალბათიბით – მთელ ბლანეტზეც.

ყოველ შემთხვევაში ასე, და, ვინ იცის, მერამდენედ, ფიქრობდა 2011 წლის აპრილის ერთ მზიან დღილთ ხევის ქუჩის მკვიდრი, ყოფილი ესეისტი და ასტროფიზიკოსი, კერძოდ, „შავი ხვრელების“ მევლევარი, ახლა კი ლეთის მსახური, – ივლანენ გიგანი, რომელსაც უკანასკნელ ხანებში ჩვევად ჰქეცეოდა ერის „ისტორიულ-სულიერი კალენდრის“ შედგენა-დაზუსტებანი. იგი ამ „კალენდარს“, როგორც დავინახეთ, გლობალურ მოვლენათა კონტექსტში ადგენდა და მის ქვეყანაში მომხდარ ყოველ დიდმიწვნელოვან ამბავს წინ წაუმძღვარებდა ხილმე. მაგრამ რაერთ მისი ქვეყნის ლამის ყველა მნიშვნელოვანი ამბავი უარყოფითი გამზღვდარიყო, ყოველ შემთხვევაში, ის, რაც ჩანდა, „კალენდარიც“ სულ უფრო ეხვეოდა რაღაც შავბენე სილრმისეულ, თითქმის მისტიკურ კავშირებში, რომელთა დანახვა „მიდარაჯე კაცის“ თვალსაც კი გაუქირდებოდა.

მაგალითად, განა ადვილი სათემელი იყო, თუ რატომ უნდა გამოქმონ ხელისუფლების მიერ მდინარე ვერეს და-



ბეტონებას ფიროსმანის „უირაფის“ დახატების თარიღი? მაგრამ ასტრონომ-მდვდლის სული არა მხოლოდ ზოგადად ცასა და მინას, არამედ ტექსტებსა და ფაქტებს შორისაც მიმოძრაობდა, დარიალებდა უცნაური ირაებითა და „საგანთა უარით ნახატი ოცნების“ ენერგიითა თუ სინერგიით, რაც ბუნებრივად უნდა მიჩნეულიყო ბუნებას, ხელოვნებასა და მეცნიერებას უშუალოდ ზიარებული, ახლად ნაკურთხი სასულიერო პირის მხრიდან...“

და აქ ამ „პირის“ გონიერამ თავისდაუნებურად რაღაცის გახსენება დაიწყო... რაღაცა მსგავსის... დაიძაბა, მზერა უაზროდ გაუშტრა ასტრონომიულ რუკას, კერძოდ, პლანეტა სატურნს, და ამოტივტივდენენ სტრიქონები:

„დიდი ხნის დაწერილი იყო „მერანი“, „აჩრდილი“ და „ელგუჯა“. რა, რა ინკუბიდა ასე? ვისი და რა ნაწარმოები? „დიდი ხნის დაწერილი იყო „მერანი“...“ ააა!

„დიდი ხნის დაწერილი იყო „მერანი“, „აჩრდილი“ და „ელგუჯა“. ...ხელი-ხელ აგოგმანებდა შოთას და მით თვეუბოდა ერი... დაიბადა ელი. სხვა არაფერი შემატებია იმ წელს ქართლის მშენებირებას... ისევ ძველებურად სევდიანი სილამზით წარმტაცი იყო თბილისი. თეთრი საბურავით თავნაკრული ისევ ახალგაზირდა დარაჯად იდგა მყინვარი; ფაფარაყირდლი შავი ზღვას შევეს მარგალიტა და ყირიდ ციხისმირი; ვარდმაისი არ შორდებოდა ქუთასის და ზურმუხტ ცას ფინდაზად ქვემლებოდა ალაზნის ველი...“ ნიკო ლორთქიფანიძე! დიხ, ის! რატომ ინტეპს ასე თავისი მოთხოვბას გზაგასლარეულ მშევრი ქალზე, „ელიზე“, რომელიც მარგოსა და თამროსავით, ქრისტინესა და დესატინესავით უპატრონიბამ და უსამშობლობამ გაანდგურა? რატომ ისხენებს, „მერანისა“ და „აჩრდილს“ – ქართული სულის ბედისწერის მაღალ რეგისტრებს, – მეოცე საუკუნის ოცნის წლებში, – როცა

დიდი იმპერიის დამსხვერევის შემდეგ მისი ერთი ნატეხი – საქართველო – ისევ დაემსგავსა ფსკერ-და ფერდებდან-აპრალებულ ხომალდს, საიდანაც, როგორც ყოველთვის, ყველაზე მგრძნობიარები ცვილინენ აქაფებულ ზღვაში?

მაგრამ ახლა, ოცდამეტრთე საუკუნის დამდეგს, უკანასკნელი იმპერიის შეორედ დაქცევის შემდეგ რომ დაეწია ეს მოთხოვობა – „შელოცვა რადიოთ“? ხომ ველარ იტყონდა, რომ „თბილის ქველებურად სევდიანად ნარმტაცი იყო“ – რადგან ახლა თბილის უბრალოდ ალარ არსებობდა: ყველანაირი მყუდროება, ჩაღრმავებულობა და ძველი სევდა, ამავე დროს, აუხსნელად ლალი და მინდობილი ატმოსფერო, თვით კომუნისტური რეჟიმის ეპოქისთვისაც რომ გაეძლო, უკანასკნელი ოცდახუთი წლის მნიშვნელზე მთლიანად შემოძარცვოდა მთებში ამჟითაურივით ჩამჯდარ, ოდესაც ასე ახლობელ და გამოუცნობ ქალაქს: მჭახე ბილბორდებს, ჭრელა-ჭრულა რეკლამებსა და ფუჭ განათებებს, უამრავ შუშას, პლასტიკასა და ახლად ნაფართიფურთალი შენობების ტყეს ისედაც მთა-ქედებით გარემოცული სიერცის ყოველი კუნძული დაეხშო. მილიონამდე მანქანის ბული და ოხშივარი უკვე პაერის ყველა ნაწილაქს გასჯომოდა, აქაურთა ხმამაღალი სიცილით ნავარჯიშებ ფილტვებსაც კი ეროვნა, ქუჩის ხე-ბურქნარიეთ აქვნიბდა და თბილისელებს უწყვეტად ერევანიდან ახალ-ცირი სავადმყოფებებისა და საექვანა აფილატებისაკენ, რომლებიც სამორინეთა მსგავსად უფრო სწრაფად მრავლდებინენ ყიდრე სოკოებს ბორჯიმის ნაწვილარ ტყეებში... ამიტომ დღეს აღარც ერთ პოტეს აღარ მოუკიდოდა თავში, ქართული ცა „ფირუზს“ შეედარებინა და ხმელეთი „ზურმუხს“, მოძველებული რომც არ ყოფილიყო მსგავსი შედარები. დამშრალიყო ტროპებისა თუ მეტაფორების ციცასალი წყარო! აღარც მყინვარწვერი იდგა „ახალგაზრდა დარაჯად“. დნობა დაწყო მარადიულ, მბრძინიან ყინულს მის წვერზე, იმ მოვლენის შედეგად, გლობალურ დაბორბას რომ უნიფერდნენ... მწვერვალი თვალსა და ხელს შეუიღეოდა... ქვათაცენასაც ბოლო აღარ უჩანდა ყაზბეგში დაშვებულ მის კლდოვან კალთებზე. აღარც იმას იტყოდა ვინმე, „შავი ზღვა შეეფს მარგალიტად აყრის ციხისძირს“, რადგან: დაბინძურებულიყო ზღვა ნავთობით და თან განრისხებით კიდევ მის გამო, რომ მდინარეები, რომლებსაც სამყაროს შექმნის შემდეგ პირველად უცხადებდნენ მშე: სრბოლასა და დრნას უკრძალავდნენ და ვიგანტურ ვუპებად აქცევდნენ მთასა თუ ბარში, აი, ეს მდინარეები კუთვნილ საკედეს ალარ ანგდილნენ მის აღმატებულება ზღვას, აღარ ჩაბრნიდა წყლის უფსკრულებში მთებიდან მოგლეჯილი ქვები და ღორღი და ამიტომ ახლა ძალით მიპქონდა „შავად“ წილებულს სანაპიროები აქტასა თუ აფხაზებში... უზარმაზრ ლუკმებს ატებდა მინას და ამ თავისი მარადიული სიყვარულისა თუ სიძულვილის საგანს საპოლოო ნალევით ემუქრებოდა...

აღარც „შოთათი თვრებოდა ერთ“, გადშენებულიყო ათასექვასამდე სტროფაინი პოემის ზეპრად მცოდნება მოდგმა, დღეს წესიერად ნაკითხული თითო-ორილადა ექნებოდა, თუმცა გამოდიოდა ნაირნაირი, უძვირესი

„ვეფხისტყაოსნები“, მათ შორის უმძიმეს მოვერცხლილ და მოჭედილ ყდებშიც...

და საერთოდ, კარგა ხანია „თორობის“ დასალევ, შესასწორებ და გასაკერძებულ უამრავ საშუალებას ციხესაუღრიც დამატობდა, ანუ ყველაფერთან ერთად ტელე-რიც დამატობდა, რადგან აუგვისტოს გასანგულიყო არსებითად საქართველოს მოწვეტილი ერის ნაჩენი.

რაც შეეხება ნიკო ლორთქიფანიძის „მშევნიერ ელის“, რომელსაც საშმობლო, ქმრები და კაცები არ გამოადგა და ოცანი ნლების ევროპაში ეზოტიკურად დალია ბოლომდე განბილებული სული, – ის შავორმანტიკულ ნიბრავად ექცა საშოვარზე გასულ ქართველ ქალთა ლეგიონებს, სახლიდან შორს რომ მოსდებოლნენ მაშრიყს და მალრიძს... თავიანთი ბავშვები მიუტოვებინათ და უცხო მოხუცებსა და მძიმე აგადმყოფებზე გადახრილიყვნენ, მათა სიძერისა და სიკვდილის სუნთქვას ისუნთქვადნენ, და მერე ან მიაცილებდნენ, ან თვითონ უსწრებდნენ ნინ იმქვეყნისაკე უცხოეთით დაწლუნებულები და ოჯახის მონატრებით დაშრეტილები... თუმცა, ისეთი შემთხვევებიც იყო ცნობილი, როცა იმდენად ბოროტებულნენ, რომ თანამემამულე აუზაცა კაცების მსგავსად, სასტიკი დანძშალულით ანციფრებდნენ უცხოეთს და თავს ლაფს ასსამდენ ისედაც დამცრობილ საშმობლოს... მოკლედ, ქვეყანა უწყვეტად კარგად გაზრდილი ბავშვების ჯარი საშინად შეუცნობელ სანგრებს ითხრიდა გაუგებად ომბრი. ვისაც გაქცევა ვერ მოეხერხებინა, გაცევაზე უცხოებდა, სურდათ ის, რასაც ერთ დროს მათი მშობლიური ქვეყანა ერქვა, სხვებისთვის მიეღიდოთ, როგორც ახესალომს მეცნიარებული ეთერი, და უკან აღარ გამოიხედათ, თითქოს სოდომიდან გარბიდნენ ლოტიერით... თუმცა, მაინც რჩებოდნენ ისნი, თავიანთი „თვითმდგომარე ხსიათისი“ (როგორც ძველი მწერალი იტყონდა) გამოისობით არსად ნასვლას რომ არ აპირებდნენ და იქ იდგნენ, სადაც იყვნენ: ხელს არ უშვებდნენ აგონიაში მყოფი, მოხუცი ქვეყნის მაჯას, სასიკვდილოდ ვერ იმტებდნენ, და ამ აგონის გასანელებლად დიდხანს აპირებდნენ ბრძოლას ათასგარი საშუალებით, რითაც თავისეკ მიმართავდნენ ახალ იარაღს: დაცინების ლაზღანდარა სულის, დემოკრატიულ-კაპიტალისტური სიკრცის თითქმის ყველა უჯრედი რომ გაეჯერებინა: დაწყებულ ხელისუფლების ქანდარებიდნ, საქმოსანთა სიმაგრებისა და ვირტუულური ქსელების ჩათვლით... აი, ასეთი ამშები ხდებოდა ოთხოცი წლის თავშე ამ მოთხოვნის დაწერიდან კეცეუნაში, საქართველო რომ ერქვა. აქაც (ისევე როგორც ალბათ ყველაგა) – ყველაფერი მთავარი უკვე დიდი ხნის აღმოჩენილი, დაწერილი, ნათევამი და დაბატული იყო, მაგრამ ისინი აღარ ჩანდნენ, ვინც ეს იცოდა...

მართალია, ღვთისმსახური ივლიანე გიგანი კანონზომიერებად მიჩნევდა „ბოლო უამის“, ანუ უდმერთობის ზენიტში აზვირებულ, როგორც ცეცხლობანი მოციქული იტყონდა: „გატაცალების სიბილნეს“, დედამიწის ცხოვრებას ადლებულ ჭაობს ადარებდა, და ამ დაღილის მხოლოდ ზრდას ელოდა, მაგრამ ისინი აღარ ჩანდნენ, რომ

ნათელი არასოდეს შეწყვეტდა ბნელის შიგნით ყოფნას...
და ამის გამო ხშირად ივიწყებდა კიდეც გაპარტახების
შეუცევად სურათებს და სრულიად შეუცნობელი ხალ-
ისთავკი იცისძოდა.

თუმცა, ახლა, 2011 წლის აპრილის მზიანი დოკუმენტი, მესათე სართულის აიგნიდან რომ გადაჰყურებდა არე-მარეს: კორპუსებს შორის მიმოფარგლულ, ახლად აყვავე-ბულ ხელის, უმაღლესი ხელისუფლების მიერ აფეთქე-ბულ — ახლად მკერდჩამოხერხილ მთას, მის ჩამოხერხილ მკერდზე ახლად გაყვანილ გზატკეცილს, რომლის ქვე-შაც წყალი დაემზადიათ, ისევ თითქმის აპოკალიფური კატეგორიულობით ფიქრობდა მდინარე ვერეს დამარცვის სიმბოლურ მნიშვნელობაზე, რის თაობაზეც დღიურში ჩაინიშნა: „მდინარის ცოცხლად დაბეჭონება არათუ ერთი პატარა ქვეყნის, არამედ მთელი ცივილიზაციის აღსასრუ-ლის სიმბოლოდ გამოდგება“.

ამასთან, იგი ექცებდა ერთ არაცენტრულ გაზიერში 1989 წელს გამოკვეყნებულ მხატვრულ პარაბოლას, რომელსაც ეწოდებოდა „მდინარე და ურჩეული“. კარგად ახსოვდა, რომ ეს იყო თანამედროვე ინტერპრეტაცია მსოფლიოს დამისი ყველა ხალხში გავრცელებული მითისა იმ უმოწყალო ურჩეულის შესახებ, რომელმაც მდინარე დაისაკუთრა და ხალხი უწყვლოდ დააგდო, ხარკვდ ულამაზეც ასულებს ითხოვდა და იღებდა კიდეც... ვიდრო მავანძა რაინდმა არ მისაიდელი და არ გაათავსულია მდინარეც და ასე ქალაქიც. მაგრამ პოსტმოდერნისტული იგავი იუწყებოდა, რომ მოკლული ურჩეულის სისხლი გაპყვა მდინარის ტალღებს, გაიარა საუკუნეები და შეუცნობელ ტირანგბად, მიერო და მაკრო დიქტატორება აღმოცენდა და გამრავლდა მერე და მერე... ჰოდა, რაღა მიხვედრა სჭირდებოდა, რომ მღვდელი ივლიანე გიგანტი იმ მდინარეში ახლა მდინარე ვერს ხედავდა, ხოლო ურჩეულში – ქვეყნის პირველ პირს, მის აღმატებულება პრეზიდენტს, რომელმაც იმ პრეზისტორიული ფენომენისაგან განსხვავებით, კი არ დაისაკუთრა პატარა მდინარე, არამედ, აიღო და უქრალოდ დამარხა, ანუ დააბეტონა... და უეცრად ივლიანე გიგანტის გამოცხადება ეწვია: მან დაინახა დედაქალაქი გაფანტული გამოსახულებები ურჩეულისა! მიეროდიქტატორის სურვილითა და ფანტაზიით შექმნილი გამოხატულებანი მისივე ნევროზული სულისა! ეს გიგანტური ქა-რკინის რეაცეზა „გმირთა მოედნის“ თავზე, რომელიც თითქოს პირადმა გადასწორობა მისაითოვე ქალაქს ტანკები გაფანტული მოედნებს ხელტოტან გზაჯვარი გვირჩებიზე და ქვა-შუშის ფალოსი ზე-ცისკევ აღემართა! და ეს „შინაგან საქმეთა სამინისტროს“ შუშის შენობა, გველეშამი გივით მიმოკლაკნილი სხეულით! ურჩეულის მედარი ქერქფი – რკინით მოვარაყებული შუშის ბრძველიალა კვადრატებისგან! დამაბრმავებლად აბრა-წყინებდა მზე! მის სტრომაში კი ირითადად ჯოჯოხეთის მუშავები მუშაობდნენ: ადამიათისა ცდუნებისა და გაპარტაბების ნაირსახეობებს გეგმავდნენ და ახორციელებდნენ! და ასეთივე ხიდი ძველ თბილისში: შუშის გველეშაპის დარხეულია, აზნევილ-ჩაზნევილი სხეული მდინარის თავზე! გველეშაპი მდინარის თავზე!

და იქვე, იმავე მდინარეში ჩაშვებული მშენინაგი რეკინის ქრეჭით დაფარული მისი განიტალიერი: ორი გიგანტური, თავკომბალა, პირლია მიღი! ციც სპერმას არის ართსევედა მდინარის პირას ურჩეულ-გნომების გასამრავლობლად!

განა ეს ნიშნები არ აჩვენებდნენ, რომ ქვეყანას, დედაკალაქი და მდინარეები სწორებდაც რომ ურჩეულის ხელში იყო! განა ამაზე არ ნერდნენ მითოსის ღიღი სპეციალსტები, რომ მითობის პერსონაჟები მხოლოდ ტანსაც-ტელს იცვლიდნენ ეპონათა შესაბამისად, რომ სიუკეტე-ტელს მუდამ ძალაში რჩებოდა და შეიძლება მათი ყველაზე პირქში არარაციების რომელ დამატებით სწორებ ახლა და არც თუ მთლიან ბოლოს საქართველოში! „მითობის გველავ ცოცხლობენ და ინილბებიან“, – გაახსენდა ცონტილი მეცნიერის მირჩა ელიადეს ნაშრომი, რომელიც ახლა გაზრდობაში მაინცადამაინც ვერ აღიქა. და რაინდა აადლა იყო? ურჩეულის გამგმორავი ჭაბუკი ხომ უნდა კავშირთალიყო სადაც ამდენ სიბოლოებში? აյ არ არის სისიც?! ათეიისტური იმპერიის რცევებს შემდეგ წმიდა რაინდი გორგო თავის ურჩეულიანდ უკვე ფერიკატი-ული დედაქალაქის ცენტრში, ყოფილ „ლენინის“, ახლა კი „თავისუფლების მოედანზე“ აღმართულიყო, და პროლე-ტარიატის ბელადის მონემუნგტური ქანდაკება შეცვალა, მაგრამ ეს აღარ გახლდათ რონ, მარადიულად ერთმანეთს დაირისპირებული არსების გამოსახულება, არა! რადგან: როივას ურთი ფერი ჰქონდა, თ ე რ ი ს ფ რ ა დ შეცვე-ბათ რაზინდ და გველებათ, და ახლა, განსაკუთრებით მზის სსივებში, როივე ერთ სსევლად და ერთ არს-ცად იკითხებოდა, რასაც გაუგებარ, ნაპირებშეტეხილ, უკითხელ ოვალად, რომელიც შორიდან, მეტადრე მზის ასივებში, რატომდაც ვერა, დაზიანებულ, ანტიკარულ აათას აგონებდა ღვთის მსახურს, შები კი – დიდ ისარს, აათისას, ცხადა... და რას ნიშნავს ეს? ნუთუ ურჩეულს რაინდი კი აღარ, არამედ ისევ ურჩეულა ამარცებს? (თუმცა, განა ასე არ დაამარცხა ნინა საუკუნებში წითელმა ცველებამა ხავისფერი, რომელიც მთელ მსოფლიოს გა-დაყლადვით ემუქრებოდა?).

და ვერანინი იქედს ველარ აღძრავდა მაღალ სვეტშე მოლაპლაპე ამ კერპის მიღმა შორს, ბოტანიკური ბალის მთაზე აღმართული საჭიროა მონუმენტური ქანდაკების გამძლე ნიმუში „ქართლის დედა“: იგი ორაზომვნად უწყებოდა, რომ ამ კევეყაში კაცები ერთობად აგანუეტილიყვნენ, რაც იღვინობით საკეთ ფილით) სტუმრებსაც ჰალა ეგბებოდა და (უშველებელი ხმლით) – მტრებასაც აღარ აღმოჩენილი მოქანდაკე ინტუიტურად მანიშნებდა ერთობლიობაზე კაცებისა, ტოტალიტარიზმის ნაცალობით ააზოგადოებრივ-პოლიტიკური ფუნქცია რომ დაკარგათ და ამის გამო უსაშველოდ ზრდიდნენ და ზრდიდნენ ქალის როლს (პოლიტიკურასთან თუ ბედიდნერასთან ბრძოლაში.

ახლა კი „ქართლის დედას“ კაპიტალი შესცილებოდა ცოცხალ კვარცხლებებში – ხასნაძენარანან-ლრმალარებიან კულოფვნ მთა-ქედში, ასწლეულების მანძილზე ზემორან რომ გადმოსცეროდა საკვირველ ქალაქს, ამ ქალაქთან ერთ სხეულად, ერთ გაზუმეორებულ ლანდშაფტად შერწყ-მული: ან ჯინივით ბოთლიდან ამოსულ კერძო კაპიტალს

(სადაც ის მთელი 70 წელი იყო ჩამნივდეული, ახლა კი მარქსის ჩატენივდა შიგ, არავინ იცოდა, მაინც რამდენი ხნით, მისი ციტადელი – „მარქსიზმ-ლენინზმის ცენტრი“ გაუქმდებინა, არქივები მოესროლა და მისი მონუმენტური შენობაც რუსთაველის პროსპექტზე თვითონ დაეთრა (საკუთრებად), – მოკლედ, აი, ამ კაიტალს სურდა ზემოდან გადმოეხდა დედაქალაქისა და მასი ბინადრებისთვის: ამიტომ წრიული შეზის ციხე-კოშკი აღემართა „აიმ მთაზედა“, მზეზე მოლაპლაპე მრვაგალი სასახლე, რომელიც, ატომური სადგურისა თუ რაღაც გამოუცნობი ქარხნის მსგავსად – რაც მიწის ზემოთ იყო, ორი იმდენი მიწის ქვეშ ჩაზრდილიყო, თავისი უხილავი სივრცეებითა და ხილული წალკოტით უზარმაზარ წინა სივრცეში, სულ ცოტა ხნის წინ ჯერ ისევ ქალაქსა და ქვეყანას რომ ეკუთვნოდა (რაც იმას სულაც არ წიშნავდა, რომ მაშინ უკეთესად მიყვლილი იყო). ხოლო მისი ვეგება წრიული ბანიდან შევეულმფრენსაც შეეძლო აფრენა და ალბათ ხალიჩასაც, იმ მფრინავ ხალიჩას, რომლის ეპოქამაც არა უწყოდა რა პეიზაჟის ველურად გადაეკეთხბას, ანუ დასახირების სევდისა, ახლა დაუძლეულებული თბილისელების გულებს ლოდად რომ დასწოლოდა, და თუ მიფრინავდა, – სულ ხელუხლებელი ბუნების თავზე.

ხოლო მისირდაპირე კლდოვნი კედელზე, მდინარე მტკვრის სახელგანთქმულ ნაპირს რომ წარმოადგენდა, ამ კლდიდან თითქოსდა კლდისავე სურვილით ამიზრდილი ქელი, აიგრძებიანი სახლების გაყოლებაზე საქართველოს მესამე პრეზიდენტის კოლონებან-შუშისგუმბათოვანი და მიწისქვეშეგვირაპებიანი ქვის სასახლე ზემობდა თავის მტრულ ამოვარდნილობას მიდამოდან, ასევე: პატრონ-ამგების გაუცნილიერებულ წყურვილს: ფერხთა ქვეშ ეხილა ქვეყანა და დედაქალაქი, ზემოდან გადმოეხდა ყველასა და ყველაფრისათვის. უცხოდ წაგრძელებულ შუშის გუმბათზე აფრიალებული ოთხნითელჯვრიანი სახელმწიფო დროშა უფრო „წითელ ჯვარს“ ასესწებდა იმ ქვეყნის მოქალაქებს, ყველანაირ დამარტების სახოვნელად მსოფლიოს თონი მშარეს რომ იწვდიდა ხელს, ვიდრე გოლგოთის მისტერიას.

გიგანტურობისაკენ სწრაფვით არც (ფაქტობრივად სახელმწიფო) რელიეფია უდებდა ტოლს ბიზნესსა და პოლიტიკას, ისიც მათისგოთ ესწრაფოდ სამოცდაათნილიანი ათესიტური სოციალიზმით დათრგუნული უფლებების კომპენსაციას (კერძო კაპიტალიგით უხარიდა იმთავითვე ლენინისა და სტალინის ფატალურ საზოგადოებაში მოხვდილი მარქსის ბოთლიში ჩატენა, ოლონდ, უმტესად თანამემამულე სტალინის გარეშე), და მესამე, შედარებით პატარა მთა ამ მთაზე ლამის სამჯერ დიდ ქვის ტაძარს დაეპყრო, ასევე ზემოდან რომ გადმოსცეკროდა ქალაქსა და მოქალაქებს, ანუ, ციო მონაბერი სულის „ცოცხალ ტაძრებს“, როგორც იგივე მოციქული იტყოდა. და აქტიურ სეისმურ ზონაში მცხოვრები თბილისელების მგრძნობიარე წარინას აპეკვატებოდა შიშქეული შეგრძება, ვაითუ რეინაბეტონის გოლგოთამა სალოცავმა ეს პატარა მთა ჩაანგრიოს და მიწაში ჩაიტანოს, მით უფრო თუ მიწა შეირყევაო, – შეგრძება, რომელიც არასდროს უჩნდებო-

დათ მთა-გორაკების წვერზე აგებული, მათთან სოულად მისადაგებული, ძევლი ეკლესიების ხილვისას, როთაც მათი სამშობლო იყო მოფენილი.

ეს სამი ამაღლება ცხადად აჩვენებდა, ვის ეცვლა აქური ცხოვრების სადავებები... სამი ბასტიონით წარმოდგენილ ამ ბატონ-პატრონებს ისტორიულად აპრობირებული ურთიერთსარგებლინობის დაუნერელი პატი აკავშირებდა ერთმანეთთან. კერძო კაპიტალი ხელისუფლებისა და ლვთის სახლისაკენ მიედინებოდა იქედან მომდინარე მხარდაჭერის სანაცვლოდ; ხელისუფლება ხალხის სახსრებიდან ორ ათეულ მილიონზე მეტს გადადენიდა იმავე ლვთის იმავე სახლში, ლორალობის საზღაურად, და იყო იძულებითი მშენილობა ტრადიციულად ერთმანეთის დაქვემდებარების მსურველ სამპიროვან კავშირში, ქვეყანის მაში კი – ყველანაირი „პილოთა ლრჯუში“ და მიმ... და რა უნდა ექნა ამ გარემოცვაში ფაქტობრივად უსუსურ „ქართლისას“ თუ „ადგილის დედას“, რომელსაც პაცების უზული და ძალაუფლება უკრაფერს შველოდა კი არა, არამედ სულაც პირიქით, მის საწინააღმდეგოდ ატრიალებდა ბედისნერის პორპალს? რაღას აქნევდა იმ მისჯილ ხმას, ცრემლ- და რძეგამშრალი ალუმინის ლვთაება, როცა დემორატიული ხანის მის ძევლ ქვეყანის საზღვრები შემორღვევოდა და სწორედ ქართლის, ანუ საქართველოს გულის – ვეგება ნანილი ერთმორჩმუნებული ჩრდილოეთიდან შემოჭრილ ჯარს დაეცყრო? უპედურებად ხომ ისაც ეყოფილი, რომ ფეტვის მარცვლებივით ჰკარგავდა შვილებს? ეპ, ქვეყანა, მის იალაღებს, ტყეებსა და მდინარეებს კი არა, დედაქალაქის ერთ კუნძულს, მის უძველეს ნანილსაც ველარ იფარავდა მისი რეკინის კალთა, – ველარ იფარავდა პირდაპირ მის ფერხთაქვეშ, კლდოვან ფერდზე მერცხლის ბუდეებივით შეფენილ ძევლ სახლებს, რიკულებიანი აიგნები მაქმანებივით რომ შემოვლებოდათ. ახალი, მირითადად უკანონოდ შობილი, კაპიტალი აქაც ფეტვებში იგდებდა კეთილ ფეტვებს და წარუსულის სუნთქვას, ამღრებულჩუქრთმებიან, ხვეულვარდებიან ჭიშკრებს, აივნებსა, სხვებზე დარებს, და საბოლოოდ, ალათ ყველა ქალაქის, სხვებზე დარებ კა, როგორც ჩანდა, თბილისას, გაპარტახებას უზრუნველყოფვადა – საბოლოო ქალაქების – „ახალი იერუსალიმისაკენ“ მიმაცალ გზაზე ხომ უზარმაზარი კორსუსი ჩაუდგეს წინ ამ უბანთან შეზრდილ „მაცხოვერის შობის“ იგივე, ბეთლემის ძევლ ეკლესიას, და ყრუ სივრცეში ჩაკეტეს! და რაღას მიედით შეიძლებოდა ეკონომიკა, „ქართლის დედას?“ – კომუნიზმიერთ ბუნებრგვანმნებვან ბოთლში ჩამნივდეული ფაფუკოტმა-წვერიანი მარქსისა თუ ბეთლემში დაბადებულის რევაზშია?

და მინიშნებათა ამ კორიანტელში რაღა მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფეტვს, იგი „დედა“ – როგორც ხელოვნების ნიმუში, არც თუ ილბლიუან წარმოაქმნს რომ წარმოადგენდა!

თუ ქალაქების ძეგლურ ენას გაედენებოდა, როგორ შეიძლებოდა გვერდი აევლო ქალის პირქში კუბისტური ქანდაკებისთვის ვერაზე, ძევლი „ქართული აგურით“ ნაშენი, კეთილაღნაგი ლვინის ქარწინის საპირისპირო მხარეს, ზედ პროსპექტის პირას: ეს ხომ უკე დამსხვერეული

„მარად-ქალური“ თუ „ადგილის დედა“ გახლდათ: თითქოს ბრძოლის ველზე აეჩესათ, თითქოს სხეულის ნანილები სათითოდ მოეგროვებინათ და გახევებულები უნესრიგოდ მიედგათ ერთმანეთისთვის: ორი მტენებ-ჩაქინდრული მოკლე ხელი პირდაპირ გულს უერთდებოდა, თავი თავის კირიანდ ამ ყველაფერს ლამის ჰორიზონტალურად ედო ზემოდან, ხოლო ქვედა ნაწილი საერთოდ აღარ ჩანდა... ღვთისმსახურმა უნდაურად სახეზე აიფარა ხელები...

მაგრამ ნიშანდობლივი გახლდათ აი, რა: ყოფილ ასტრონომს სადღაც ღრმად აწვალებდა გრძნობა თუ ფიქრი, - ველარც ეს გაერჩია მაინც რომელი, - რომ თუმცა ფაქტების შესაბამისად, ანუ მნარედ ფიქრიბდა, - ეს ფიქრი მაინც არასწორი გამოდიოდა... და როგორი ფიქრი შეიძლებოდა სწორი ყოფილიყო? მას, რასაც ექტედა, აზრის სახე უნდა ჰქონდა თითქოს, მაგრამ ეს აზრი თვეშივით, თუ სველი საპონივით უსხლტებოდა...

საიდნ იპატება ურჩხულა? - უცბად იკითხა ხმამაღლა და აზრიც გაჩერდა, აა, ამ ადგილს უნდა ჩაღრმავებულყო იგი... შემეცნება მუდა დღალება და მოწოდება იყო. თვით ბოლო უამის შეკუშეულ და ამკარად აჩქარებულ დროშიც. და აქ უფრო მეტად.

მაგრამ, ოპტ! განა სწორედ ამას არ უკადაგადა ტექსტი, რომელსაც ბოლოს მთელი თავისი ცხოვრება დააფუძნა? - აზროვნებას „ფაქტების“ შესაბამისად! განა ტექსტი, ცაში რომ ჰქონდა ფესვი გადგმული, არ მოითხოვდა, რომ „სოფელი“ კი არ მიგრინა სინამდივლედ, არამედ - „ჭეშმარიტება“, რომელსაც ფაქტები კი არა, - მარადისობა განსაზღვრავდა? და ადგილი სულაც არ იყო ეს ყოფილი მეცნიერ-ესისტისა და ახალი მღვდლისთვის! ხომ არ იჩქარა ეკლესის თავმა მისი მღვდლად კურთხევა? მაგრამ უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა! წინ უნდა ნასულიყო! ეგებ თავისი სახარებისული იპტიმიზმი ცხოვრების სივალალესთან უფრო სიღრმისეულად შეერიგებინა... ეგებ უცცე ჩასწვდომიდა, როგორ ანათებდა ნათელი სიბრძლის შიგნით, სიბრძლისა, რომელიც სულ უფრო და უფრო მატულობდა! და სინათლეც ხომ უნდა გადიდებულიყო სიბრძლესთან ერთად, თუ მის შეგნით ენთო? და სად, სად დადადებოდა ეს სინათლე?.. რაღაც წვდომა სულ ახლოს მოვდა...

მაგრამ ამ დილით ივლიანე გიგანს ძალიან ეჩქარებოდა...

გაბრაზებული კაცი, ჯერ უცნობი

და როცა ასტრონომ-ღვთისმსახური დაბაბული ეშვებოდა უძველესი მითის ბენელ სილრმეებში და მის უახლეს განმტერებებს გასდევდა, და როცა ის-ის იყო იწყებოდა ამ „უმნიშვნელოვანესი“ აქტის განხორციელება ცის ტატ-ნობზე, ანუ მზის ამოსკვლა, - ხსენებული ქუჩის ერთ-ერთი კორპუსის ზემოთა სართულის ფანჯრიდან მოელი ძალით გამორტყმული იქნა საბჭოთა კაშირის რკინის ხანაში გავრცელებული საგანი: „ბაბინა“, ანუ უფერო წრიული

პლასტრმასი ზედ დახვეული, უფრო ზესტად: გადაბურდული ლენტით, ბლუკა-ბლუკა რომ გაიშალა მზით აელვარებულ ჰაერში. ხოლოს ამ საგანს მალევე მოჰყვება დაბურული ცივილიზაციის მომდევნონ საფეხურზე წარმოქმნილი პატარა მართკუთხს „კასტეტა“, თანაც ორი ზედიზედ, მთლიანად დაწყებილი ლენტების ფრიალ-ბზრიალით, როს შემდეგაც მთმა მტყორცენლმა ხმაურით მიისურა, ანთუ მითხლამუნა ფანჯრის ისედაც დაბზარული ორივე ფრთა და ასე დაემშვიდობა თავის მუსიკალურ ნარსულს, კერძოდ, იმ სიმღერებს, რომლებიც მას იდესალაც საყვარელ არსებასთან ერთად უყვარდა...

დ ე დ ე ბ ი

ზოგი ვარაუდობდა, რომ ამომავალ ცეცხლოვან დისკოს, ლამის უკვე სამი თვე იყო, ეზინოდა ხევის ქუჩაზე თავისი პირველი სივების გადმოტყორცა.

რადგან: ეს სხვივი, უნინარეს ყოვლისა, უფრქვეოდაც ცხრამეტი წლის გედეონ სიმურიძის უზარმაზარ და უშავეს თვალებს. ხოლო აურაცხელი თვალების მნახველ მზეს თავის, დაუზუსტებელი ხანგრძლივობის, ცხოვრებაში არ ენახა ამტელა თვალები: არც ადამიანის, არც ცხოველის, არც ფრინველის და ვერც ნახავდა. უზარმაზარი თვალები როგორ არ ჰქონდა ნანახი, მაგრამ ისინი იყვნენ ქვის, მაგალითად, თვალები სუინჯსისა, მაგალითად, თვალები ბუდების (რომელითაგან უდიდეს ბუდას ავლანელმა თალიბებმა ჩაუმსხვრიეს ლია, ან დაბურული თვალები 2001 წელს), და მრავალი სხვა ქვერი თვალები ჰქონდა ნანახი: ღმერთების, კერძების და მეოცე საუკუნის დიქტატორებისა...

მზეს ჯერ არც ის დავიწყებოდა - ამ ქვეწის ძველი დედაქალაქის - მცხეთის თავზე მრავალი ასწლეულის წინათ აღმართული უზარმაზარი ქვის კაცი, სახელად არმაზი, რომელსაც თვალებად ბურთებივით ზურმუხტებების უკავებებიდან და არ უყვარდა გედეონ სიმურიძის თვალებთან შეხვედრა... ხოლო ეს რა თვალები იყო, და რისი იყო, მზე მაინცადამინც ვერ იგებდა: ისინი სულ სხვადასხვაგავრი ბზინებას ინყბდნენ ხოლმე მის შეებლისას და თან იყნენ ბევრნი... გარდა ამისა, ისინი თანდათან დიდ-დებოდნენ და ამდენად, სულ უფრო ჯექურ და გამომწვევად უყრდნენ თვალებს თვალებში მზეს, რომელსაც მოგეხსებებათ, სულ (ცხრა თვალი ჰქონდა...) მაგრამ განა მხოლოდ ეს იყო მთავარი?

არა.

კივილიც მთავარი იყო.

და კიოდა დედა. გოდებდა, მოთქვამდა, იწყევლებოდა გედეონ სიმურიძის დედა, რადგან გედეონ სიმურიძე მზისქვეშესთ ალარ ჰყავდა, დედა კი ჰყავდა. მაგრამ ის შეილთან ერთად გონებასაც მიეტოვებინა... და... ძლევა-მოსილ მნათობთან ექცება სამართალს, რისოვისაც ათსართულიანი სახლის სახურავზე დაბინავებულიყო თავისი ვაჟის გამოსახულებებთან ერთად...

და აეფინებოდა დილის კრუდები ღრუბლებისაკენ, და მათენ ხელებადპყრობილი, ყოფილი ბაბლიოთეკარი კატო დორუულ-სიმურიძე დარწმუნებული გახლდათ, რომ ღრუბლები, რომლებმაც „გადაიარეს ცა პირამიდების, ხეთა და მიდია, ზღაპრული ურარტუ, ქართული მინდვრები“ ...ისრუტავდნენ ამ კრულვა-ქორალს, იტენებოდნენ და იმუხტებოდნენ წყველა-გოდებით და მიჟინდათ დედმინის ეკვენების თავზე... პირველ რიგში ქართლის მინდვრების თავზე, რომლებიც ალა ეკუთხონდნენ ქართლს, რადგან რუსებს და ოხებს მიეტაციბინათ ქართლელთა ბალ-ხანებიანად, წყალ-ჭალებიანად და იალაღებიანად, ცხოველებიანად, ჩიტებიანად და საფლავებიანად... და იქ დარჩენილიყო სამგზის დევნილ დორუულ-სიმურიძეთა სამი სახლ-კარი... ამიტომ ლექსის ავტორისაგან განხსხავებით, აღარ კითხულობდა „კვლავ საით მიდიან ღრუბლებიო?“ - ო, იცოდა, რომ ი ქ მიდიოდნენ: გადაუვლინენ სამ დაკარგულ სოფელს და სამ დაკარგულ სახლკარს, რომლებსაც უკვე სხევებ დაპატრონებოდნენ, და ჩანვიმებოდნენ ბალებს, სადაც ოდესადაც პატარა გედეონი დაპიროალებდა და ხევბზე დატვრებოდა, ქათმებს ანიოკებდა, ლეკვს რწყილებს აცლიდა და მინიდან ჭიაყელებს თხრიდა ანგესისათვის... დაანვიმებოდნენ სამ სახლს, რომელთა ოთახებში ოდესადაც პატარა გედეონს ეძინა, პირლიას, ბავშვურად მხვრინავს, რადგან ადენოიდები ჰქონდა ამოსაქრელი, ელვიძა, წიგნებს ფურცლავდა, კლაიშებზე აბრახუნებდა, პატარაბრძობი მულტფოლმებს, მორზრდიბაში ფეხბურთს უყურებდა, მამას ჭრაკს ეთამაშებოდა და ეჭდავებოდა... ჩანვიმებოდნენ სამი სოფლის სამ ბალოოთეკას, სადაც, ქველი წიგნების სუში (ახლები აღარ შემოდიოდა) სანახევროდ იზრდებოდა გედეონი, რადგან კატო დორუულ-სიმურიძე მუდამ და ყველგან ბიბლიოთეკაში მსახურობდა... ბრაგუნს აუტეხდნენ სახურავებს მძიმე წვეთებითა და კენჭებივით სეტყვით, ჩაჰეკივლებდნენ, ჩაჰეკუხებდნენ ითახებს და პაპა ბებიათა საფლავებს, რომ გედეონი აღარ იყო, რომ ოცი წილის ციხეში მოეკლათ, დაელენათ, ცალი თვალი ამოეთხარათ, ცალი ხელი იდაყვში გადაეტეხსთ და შავი ყუთით გამოეშვათ იქიდან თანაც მცდარ მისამართზე, მაშინ როცა სამი დღე კიოდა მძიმე წინათვრნობით შეპრობილი დედა ციხის წინ: ჩემი შვილი მანახეთო.

ზენდა საპატარიშვილი, „ინდივიდუალური მენარმე“ და სხვები

„სალაბანა! გარენარ შენ!!! ვიგინდრების მოდგმისაც! არ გელირსოს წესი და რიგი! არ მოსწრებოდე ჩევნი მასხარა გველ-ვეშაპის დამზადას! დაგეყარითა თრიეგს მინა და დაგესხათ ბეტონი, როგორც ჩევნი ვერე დამარხა ბეტონქვეშ მაგ აძალებულმა მძორ-ვირაღამ!“ - აი, ასეთი სიტყვაკაზმული (ეგზოტიკური ნეოლოგიზმის შემცველიც კი) ქოქოლა აიტყორცნ დაბლიდან მაღლა, ანუ: პირველიდან მეცხრე სართულისაკენ და გამოსცემდა მას მინისსართულელი ქალბატონი, ზენდა, რომელიც

გავეშებულიყო უზემოთესი მეზობლის მორიგი თავხედობით, შეიძლებოდა გვეთქვა: არამოქალაქებირიბითა და არასახელმწიფოებრიბით, რაც საზოგადოდ აუ და სხვაგანაც მდგომარეობდა სართულებიდან წაგვის გადამოტყორცნებში, გინდაც ეს ნაგავი ყოფილიყო პრინციპში სუფთა, მაგრამ გაურკვეველი რამ საგანი, რაღაც ვოროლენტები რომ დასარტვედა ფრიალ-ტრიალისათვის გინდაც ამ საგანს მინაზე არც ჩამორინა, არამედ სადღაც, მაღლი ხო ეკენეროში გახლართულიყო, როგორც მოხდა ამ შემთხვევაში. ხუთი სარეცხი მანქნა და სამი მეზოთოვე ქალი თავისუფლად აუდიოდა ხერის ქუჩის უსარეცხმან ქანო თუ უქალო, თუ უბრალოდ, გამდიდრებული ოჯახების თეთრულის რეცხვას და ქალბატონ ზენდას სიმაცავის გამოკვებასაც. თანდათან მისი სახელ თამარაშვილის ქუჩასაც მისწყდა, გადაიარა ფართო პროსპექტი, შუაში ბედეგული გაზონი რომ გასდევდა, და გ. სვანიძის ქუჩის დაღმართ ზეც დაეშვა. ბოლოს ერთ პატარა, მრავალეროვან ეზოში შეუხვია და კაკაურიძების ყვავილებიან შუაშანდში ოჯახური დეპრესია ძირის დასცა: მრავალი წლის მანძილზე ხერხმლის თაქართან პერიოდული წარმატებებით მებრძოლი, ახალი ქვრივი, კაკაურიძე სპირიდონი, ხალიჩაგადაფარებული ტატტიდან მკვეთრი მოძრაობით წამოიმართა, ლამის ნამოიჭრა, რამაც მისი მშვივანი დედის ოდესადაც თავფლისცევით თვალების ლიბრში გაკვირვების სხივი აათავშა, „ხევის ქუჩაზე? მეოთხე კორისაში? პირველ სართულზე?“ - დააზუსტა ახალმა ქვრივმა მეზობლის მიერ ყვავილებიან ფანჯრიდოლი ინფორმაციაში მოიკითხებოდა დაეგდერა ზენდაში გამოკრული სარეცხის უზარმაზარ ფუთას, რომელიც მისი ცოლის სიკვდილის შემდეგ ასე ნელ-ნელა და სასონარმევთად იზრდებოდა, მით უფრო, რომ ბოლო ხანებში სვანიძის ქუჩაზე წყალი სულ უფრო იშვიათ წყალობად იქცა. მეზობლის ბებერი თპელი, რომლის საბარგულმა ორი დიდი ფუთა ვერ დაიტა, რის გამოც ერთ უკანა სკამზე დაბრძანეს, უხვორმოებიან ხევის ქუჩაზე მიიკვლევდა გზას და ბოლოს წარმატებული სამრეცხაოს წინ აქმიშნდა.

აბას ქიაროსთამის კი წლების მანძილზე, როგორც კინორეჟისორი, იცნობდა ჩვენი საზოგადოება. პირადად ჩემთვის მოულოდნებლი იყო, როცა წლების წინ, როცა გიორგი ლობუანიძეს უკრნალ „ოქსიმორონისთვის“ ახალი თარგმანი ვთხოვე, და მან ქიაროსთამის მინიმლისტური ლექსები გამომიგზავნა. რამდენადაც ნიუანსობრივი ხედვის მატარებელია მისი ფილმები, ამდენადვე ნატიფია აღმოსავლური ესთეტიკისა და ფორმის მქონეა მისი ლექსები. წიმუშად ეს ერთიც კმარა:

„ერთი დღის ნანილებმა
გაზაფხულის პირველი
წვერია გამოსცადეს“.

ან ეს:

„მარტო საუზმობს
მოხუცი მონაზონი.
ხმა მდუღარე ჩაიდნისა“.

როცა ზემოთ იმ ფასულობაზე ვსაუბრობდა, რომელიც თანამედროვე სპარსულმა პოეზიამ ძელისგან დაიტოვა და წყალს არ გაატანა, სწორედ ამგვარ ფილიგრანულ ნიუანსებს ვგულისხმობდა, სადაც მცითხველს სენიტიურობის სხვა შრე უნდა ჰქონდეს გახსნილი, რათა ამგვარ „ზანზალაკებს“ ყურადღება მიაქციოს. ჩვენს მცითხველს კი, სმენის ეს უნარი დღეს აქვარად აქვს, რადგან ისიც, ირანელთა მსგავსად, ტყბილმოვანი ლექსის ტრადიციაზე გაზრდილი და დღეს, მე ვიტყოდი, რომ მანც მძიმედ იღებს ვერლიბრსა და ვერბლანს, მიუხედავად იმისა, რომ არც ეს სალექსო ფორმაა ჩვენთვის ახალი და უცხო. როგორც მთარგმნელი აღნიშნავს, ქაროსთამის ლექსები კინოპოზიაა. ის პოეზიაში ამკვიდრებს კინოს და არა – პოეზიას კინოში.

რა თქმა უნდა, ეს კრებული სრულად ვერ ნარმობადგენს იმ სპექტრს, რასაც თუნდაც ყველაზე სინტერესო ირანელი ავტორები შეადგენდნენ, მაგრამ რამდენადმე მანც იძლევა საშუალებას, მეითხველმა ნარმობადგენა შეიქმნას თუნდაც იმ ფუნდამენტურ პროცესზე, რასაც სპარსული ლექსის გრადაცია ჰქივა, მე ვიტყოდი, რომ საუკეთესო გაგებით.

თარგმანის ხარისხზე მსჯელობა ჩემი მხრიდან მკრებელობა იქნებოდა, რადგან ვინც გიორგი ლობუანიძის მუშაობის ხარისხსა და რიტმის იცნობს, ისიც იცის, რომ მის ნარსადგენად ეპითეტების ფრქვევა მხოლოდ პათეტიკური პანეგირიკი იქნება, იმდენად აპოსტერიორულია ჭეშმარიტება, რომელიც მისი თარგმანი ხარისხის გარანტიას გვაძლევს. ერთი რამ კი აუცილებლად უნდა აღნიშნოს, რომ გიორგის ენა და ლექსიკაც ისევე გადათამაზდება საუკუნესა და საუკუნეს შორის, როგორც დროში დაშორებული მის მიერ ნათარგმნი ავტორები. ისევე რადიკალურად განსხვავებულია მისი გამომსახველობითი ხერხები, როგორც სხვადასხვა ეპოქებში დაწერილი ლექსების არქიტექტონიკა. ასე რომ, მითი მთარგმნელური სტილის შესახებ, მასთან უდავოა, რომ დანგრეულია. მიუხედავად იმისა, რომ კრებული „თანამედროვე სპარსული პოეზია“ მხოლოდ მეოცე და ოცდამეტრთე საუკუნის პოეტებს აერთიანებს, თუნდაც მათი ნაირსახეობის მაგალითზე მცითხველი კარგად შეამჩნევს იმ განსხვავებულობასა და დამოუკიდებელ სხეულად ყოფნას, რომელიც ამ ავტორებისთვის არის დამახასიათებელი და გიორგის მეშვეობით სწორედ ამ ნიშნეულობით მოწვდენა გახდა შესაძლებელი.

5 ახალი თარგმანები

მითოლოგიაზი


როლან ბარტი

კრიტიკა არც-არც

ყოველდღიური „ლ'ექსპრესის“ ერთ-ერთ პირველ ნომერში დაიბეჭდა კრედო (ანონიმური), რომელიც გამოხასწორებული რიტორიკის შესანიშნავი ნიმუშია. იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ კრიტიკა არ უნდა ჰგავდეს „არც სალონურ თამაშს და არც ნაგვის გატანას“; იგულისხმება, რომ ის არ უნდა იყოს არც რეაქციონერული, არც კომუნისტური, არც უსაფუძვლო, არც პოლიტიკური.

აյ საქმე ორმაგი გამორიცხვის მექანიკას ეხება, რაც მეტნაილად უკავშირდება არითმეტიკით იმ გატაცებას, რომელსაც უკვე რამდენჯერმე შევხვდით და რომელიც მგონია, რომ შევძელი გამემსაზღვრა როგორც წერილურუსუაზული ცნობიერების გამოვლინება. არსებული სხვადასხვა მეთოდი იწონება, იდება სასწორის პინებზე, ხოლო თავად მწონაფი გვევლინება უწონო, იდეალური სულიერებით დაჯილდოებული და, შესაბამისად, სასწორის მხრეულივით სამართლიანი ადამიანის როლში.

ამ საბუღალტრო ოპერაციისთვის საჭირო გირები შექმნილია გამოყენებული ტერმინების მორალური არსით. კარგად ნაცნობი ტერიორისტული პრინციპის მიხედვით (ტერიორიზმის ყველა ვერ აღწევს თავს, სურვილის მიუხედვადა), საგნის დასახელება უკვე შეიცავს შეფასებას, ასე რომ დამაშავეობით ნინასწარ დატვირთული სიტყვა, თავისით იდება სასწორის ერთ-ერთ პინაზე. მაგალითად, კულტურა დავუპირისპიროთ იდეოლოგიას. კულტურა კეთილშობილური, უნივერსალური სიკეთეა, ყოველგვარი სოციალური ანგაუირებისგან თავისუფალი: კულტურა არ იწონება. იდეოლოგიები რომელმე მხარის მიერაა შექმნილი: ჰოდა, კიდეც უნდა ავწონოთ. კულტურის მეცაცრი მზერის ქვეშ მათ ერთ რიგში ამნერივებენ (და თავში არავის მოსდის აზრად, რომ საბოლოო ჯამში კულტურაც იდეოლოგია). ყველაფერი ისე ხდება თითქოს ერთ მხარეს მძიმე, ცუდი სიტყვებია (იდეოლოგია, კატეგოზმი, მებრძოლი), რომელთაც ანონების დამამცირებელი პროცედურა უნდა



გაიარონ; და მეორე მხარეს მსუბუქი, სუფთა, არამატერიალური, ღვთის წებით გაკეთილშობილებული, სიტყვები, იმდენად გაიდეალიზული, რომ არ ემორჩილებიან რცხვების სულმდაბლურ კანონს (თავგადასაფლა, გატაცება, სიდიადე, სიქველე, ლირსება) და მოსაწყენი ბუღალტერიის ცრუ გამოგონებებზე მაღლა დგანან; მეორე რიგის სიტყვებს უფლება აქვთ, მორალური უკითხონ პირველი რიგის სიტყვებს: ერთ მხრეს დგანან სიტყვები-დამაშავები და მეორე მხრეს სიტყვები-მოსამართლები. რაღა თქმა უნდა, მესამე მხარის ეს ლამაზი მორალი მიდის ახალი დიეტომისკენ, ისეთივე გამარტივებულისკენ, როგორიც ის, რომელიც სირთულის სახელით უნდა დაეგმოთ. მართალია შესაძლებელია, რომ ჩვენს სამყაროში ორივე

მხარის მონაცემების ხდებოდეს, მაგრამ დაწესებული იყავით, ეს განხეთქილება სასამართლომდე არ მივა: მოსამართლებისთვისაც არ არსებობს ხსნა, ისინიც რომელიმე მხარეს წარმოადგენენ.

სხვათა შერის, იმისთვის, რომ გავიგოთ რომელ მხარესაა ეს არც-არც კრიტიკა, საკმარისია დავაკეთდეთ, რომელი მითები უკავშირდება მას. დიდხანს რომ არ შევჩერდეთ ზედროულ მითხე, რომელიც მარადიული „კულტურისადმი“ მიძღვნილ ყველა მიმართვაშია ჩართული („ყველა დროის ხელოვნება“), არც-არც დოქტრინაში ბურუუზზული მითოლოგის კიდევ ორ განსხვავებულ ნიშანს ვხედავ. პირველი მდგომარეობს თავისუფლების თავისებურ იდავაში, რომელიც გაგებულია როგორც „ა პრიორი მსჯელობის უარყოფა“. ამსობაში, ლიტერატურული მსჯელობა ყოველთვის განისაზღვრება იმის ელფერით, რის ნანილოცაა; ასე რომ თვით სისტემის არარსებობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის კრედის რანგშია აყვინილი, კონკრეტულ სისტემას უკავშირდება, ამ შემთხვევაში – ბურუუზიული იდეოლოგის (ან კულტურის, როგორც იტყოდა ჩვენი ანონიმი ავტორი) მეტად ბანალურ ვარიანტს. ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ის იმყოფება ყველაზე დიდ დამოკიდებულებაში, ვინც თავის უზიმო თავისუფლებას ამტკიცებს. თავისუფლებად შეიძლება ნაძლევის დადგება იმაზე, რომ ვერავინ დაწერს სრულიად მიუკერძობელ, ნებისმიერი სისტემისგან დამოკიდებელ კრიტიკას: თავად არც-არც კრიტიკოსებიც არიან ჩართულები კონკრეტულ სისტემაში, თუმცა საქსინთ შესაძლებელია არა იმ სისტემაში, რომელზეც აპელირებენ. შეუძლებელია ლიტერატურაზე მსჯელობა, თუ არ არსებობს რაიმე ნინასნარი აზრი ადამიანსა და ისტორიაზე, სიკეთესა და ბიროტებაზე, საზოგადოებაზე და ა.შ.; ავილოთ უბრალო სიტყვა თავგადასავალი, რომელიც ჩვენმა არც-არც კრიტიკოსებმა მორალურ საქებარ სიტყვად აქციეს და დაუპირისპირეს ყოველგვარ საძაგელ სისტემებს, რომლებიც „ვერაფრით გაგვაკირვებენ“; რა მეტკიდრეობა, რა ფატალურობა, რა რუტინა მასში! ნებისმიერი თავისუფლება ყოველთვის რამე ცნობილი ლოგიკის რეინტეგრაციით მთავრდება, რაც სხვა არაფრია თუ არა გარკეული ა პრიორი მსჯელობა. შესაბამისად, კრიტიკის თავისუფლება ამგვარი რისკის აცილება კი არ არის (მეუძღვებელია!), არამედ მისი ღიად აღიარება ან საერთოდ არაღიარებაა.

ჩვენი ტექსტის მეორე ბურუუზიული ნიშანი მწერლის „სტილის“, როგორც ლიტერატურის მარადიულ ლირებულების ეიფორიული მოშეველიებაა. თუმცა ისტორიას არაფრით გამორჩება ეჭვევეშ დასაყენებლად, შესაბამისად, არც კარგად წერა. სტილი არის ზუსტად დათარილებული ლირებულება და „სტილის“ დასაცავად გამოსვლა იმ ეპოქაში, როცა არადენიმე დიდი მწერალი კლასიკურ მითოლოგიის ამ ბოლო ბასტიონს უტევს, საკუთარა აქეაულობის დადასტურებაა: არა, „სტილთან“ კიდევ ერთხელ მიბრუნება სულაც არ არის თავგადასავალი! საქები უკეთ ჩასედული „ლ'ექსპრესი“ თავის ერთ-ერთ მომდევნო ნომერში აქვეყნებადა. ა. რობ-გრიეს სამართლიან პროტესტს სტენდალის გაუთავებელი მოშეველიების წინააღმდეგ („ეს სტენდალის სტილშია დაწერილი“). სტილისა და ჰუმანურიობის შერწყმა (მზალითად, ანატოლ ფრანსის) აღარ არის საკმარისი ლიტერატურის დასაფუძნებლად. იმის საფრთხეც კი არსებობს, რომ ამდენი ყალბი ჰუმანური ნაწარმოებით კომპრომეტირებული „სტილი“, საბოლოოდ, ა პრიორი საეჭვოდ გადაიქცეს: ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლება განსაკუთრებული შემონმების გარეშე მისი რომელიმე ავტორის აქტივში ჩაწერა. ბუნებრივია, ეს არ ინშანავს, რომ ლიტერატურამ შეიძლება იარსებოს ფრიმალური ისტატორის გარეშე. თუმცა, ჩვენს არც-არც კრიტიკოსებს, რომლებიც ჯერ კიდევ დიქტომიურად თვლიან სამყაროს, რომლის ლვთიურ ტრანსცენდენტურობადაც მიჩნიათ თავი, იმედი უნდა გავუცრუოთ, აუცილებელი არ არის კარგად წერის საპირისპირო ცის ცუდად წერა: დღეს ეს უბრალოდ წერა შეიძლება იყოს. ლიტერატურას ახლა ძალიან უჭირს, ის შევიწროებულია, სიკვდილის საფრთხე ემუსტება. მას მორთვა-მოკაზმვის თავი არ აქვს, საკუთარი ტყავი აქვს გადასარჩენი და დიდი ეჭვი მაქებს, რომ ახლად გამოიჩინილი არც-არც კრიტიკის დრო უკვე ნავიდა.

რასინი რასინია

გემოვნება გემოვნება
(ბუგარი და პეკუშე)

მე უკვე ვისაუბრე წერილი ბურუუზის ტავტოლოგიური მსჯელობებისადმი მიღრეკილებაზე (ერთი სუ ერთი სუა და ა.შ.). აი, კიდევ ერთი შესანიშნავი და გახშირებული მაგალითი სელივნების სფეროდან: კომედი ფრანსეზის მსახიობმა თავისი ახალი სპექტაკლის წარმოდგენამდე შეგვახსენა, რომ „ათალი“ რასინის პიესაა“.

თავდაპრველად, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ერთგვარი გამოწვევაა („ყველა იმ გრამატიკოსის, მოპაექრის, მიმომხილველის, რელიგიის დამცველის, მწერლისა და ხელოვანისა“, ვინც რასინზე კომედიარი გააკეთა). ყველასთვის ნათელია, რომ ტავტოლოგია ყოველთვის აგრძელება: ის ნიშნავს სურიოზულ დაპირისპირებას აზროვნებასა და მის ობიექტს შორის, რეზიმის ქედმალურ მუქარას, რომ შეუძლებელი იქნება

აზროვნება. ჩვენი ტავტოლოგები იმ ძალის პატრონს მოგვა-
გონებენ, რომელიც უხეშად ქაჩავს თასმას: საჭირო არ არის,
ფიქრს ფართო ასპარეზი მიეცეს, სამყარო სავსეა საეჭვო და
უსარგებლო ალიბებით, საღი აზრი მოკლე ჯაჭვით უნდა იყოს
დაბმული და მხოლოდ გათვალად რეალობამდე აღწევდეს. და
თუ რასინიზე ფიქრს დავიწყებთ? ეს დიდი საფრთხეა: ტავ-
ტოლოგი გააფთრებით მოცელავს მის გარშემო ყველაფერს,
რაც ხარობს და რამაც შეიძლება იგი დაჩრდილოს.

ჩვენი მსახიობის განცხადებაში ადვილი ამოსაცნობია კარ-
გად ნაცნობი მტერი, რომელიც აქ ხშირად შეგვევედრია და
რომლის სახელიცაა ანტიონტელექტულიზმი. ეს კარგად ნაც-
ნობი ხერხია: მეტისმეტი ჭკუა დამღუპველია, ფილოსოფია
უსარგებლო უარგონია, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს გრ-
ძნობას, ინტუიციას, უცოდველობას, უბრალოებას, ხელოვნე-
ბა კვდება ზედმეტი ინტელექტისგან, ხელოვანს ინტელექტი
არ სჭირდება, ძლიერი შემოქმედი ემპირიკოსება არიან,
ხელოვნების ნიმუში არ ექვემდებარება სისტემას, მოკლედ,
გონიერება უნაყოფოა. კარგად ვიცით, რომ გონებას საღი აზ-
რის სახელით ებრძვიან და რასინის მიმართაც გამოიყენება ის
„ჰუშადისტური გაგება“, რაზეც უკვე ვილაპარაკეთ. როგორც
საფრანგეთის კონომიკა მხოლოდ ოცნება საფრანგეთის სა-
გადასახადო სისტემის პირისპირ, და ბ-ნ ჰუშადის საღი აზრის
მიხედვით ეს ერთადერთი რეალობაა, ისევე ლიტერატურისა
და ფილოსოფიის ისტორია, და ზოგადად ისტორიაც, მხოლოდ
ინტელექტუალური ფანტაზმია რასინის პირისპირ, რომელიც
ისევე „კონკრეტულია“, როგორც საგადასახადო სისტემა.

ჩვენი ტავტოლოგები ანტიონტელექტუალიზმიდან ასევე
უცოდველობას იშველიერები. მათი მტკაცებით, ნამდვილი რას-
ინის დანახვა დავთაებრივი უბრალოებით. აღჭურვის შემდეგაა
შესაძლებელი: კარგადაა ნაცნობი ეს ძეველი ეზოთერიკული
თემა: ღვთისმშობელი და ყრმა, უბრალო და წმინდა არსე-
ბები უზენაესი ნათელმსილველობის უნარს ფლობენ. რასინის
შემთხვევაში, „უბრალოებისადმი“ ასეთი დამოკიდებულება
ორმაგი ალიბის ძალას ფლობს: ერთი მზრივ, უპირისისირდებიან
ინტელექტუალურ ინტერპრეტაციებს და, მეორე მზრივ, სხვათა
შორის, ამაზე თითქმის არავით დავობს, რასინს მიანერენ ესთე-
ტიკურ სიღარიშეს (რასინის ცნობილი სინმინდე), რომელიც ყვე-
ლასგან, ვინც მას მიმართავს, მოითხოვს დისციპლინას (მარა-
დიული მოტივი: ხელოვნება იბადება იძულებისგან...)

დაბოლოს, ჩვენი მსახიობის ტავტოლოგაში არის ის,
რასაც შეიძლება კრიტიკული აღმოჩენის მითი ვუნდოთ.
ჩვენი კრიტიკოსი ესენციალისტები დაკავებული არაან გვ-
ნიების დანატოვარი „ჭეშმარიტების“ ხელახლა აღმოჩენით;
ლიტერატურა მათთვის დაკარგული ნივთების დიდი მაღაზი-
აა, სადაც ცდილობენ, რამე აღმოაჩინონ. კაცმა არ იცის, იქ
რას პოულობენ და ტავტოლოგიური მეთოდის მთავარი უპი-
რატესობაც სწორედ იმაშია, რომ ვალდებული არავინაა, ეს
ახსნას. ჩვენი ტავტოლოგებისთვის ძნელი იქნებოდა შემდეგი
ნაბიჯის გადადგმა: რადგან რასინი როგორც ასეთი, რასინი
ნულოვან დონეზე უბრალოდ არ არსებობს. რასინი არსებობს
მხოლოდ განსაზღვრებებით: რასინი-ნიმინდა პოეზია, რასინი-
ლანგუაჟი (მონტერლანი), რასინი-ბიბლია (ქ-ნი ვერა კორე-

ნის), რასინი-ვნება, რასინი-ადამიანთა ისე
აღმწერი, როგორებიც არაან და ა.შ. მოკლედ,
რასინი ყოველთვის არის რაღაც სხვა ვიდოვე
რასინი და, აი, რატომ არის მასთან დაგვაცმირე-
ბული ტავტოლოგიები ილუზორული. ყოველ
შემთხვევაში, გასაგებია, თუ რა მოაქვს ამვ-
ვარ ცარიელ განსაზღვრებას მათოვს, ვინც
ამაყად აფრიალებს მას: ერთგარი ეთიკური
პატივის მიგება, კმაყოფილება იმის გამო, რომ
იბრძოლეს მისი რეალური სახის დასაცავად
ყოველგვარი რისკის გარეშე, რომელიც ყო-
ველთვის თან სდევს ჭეშმარიტების ძიებას.
ტავტოლოგია ათავისუფლებს რამე აზრების
ქონის აუცილებლობსგან, თუმცა ამავე დროს
მყაცრი მორალური კანონის რანგში აპყავს
ამგარა თავისუფლება; აქედან ილებს სათ-
ვეს მისი წარმატება: სიზარმაცე გაძელულების
რანგში აყვანილი. რასინი რასინი: რა მოხ-
ერხებულია ამგვარ სიცარიელეში უსაფრთხოდ
ყოფნა.

რომაელობი პიროვი

მანკიერის ფილმში „იულიუს კეისარი“
ყველა პერსონაჟს შუბლზე შეჭრილი თმა აქვს.
ზოგს ხვეული, ზოგს სწორი, ზოგს ხშირი,
თუმცა ყველას საგულდაგულოდ დავარცხნი-
ლი. ფილმში საერთოდ არ ჩნდება მელოტი
ადამიანი, თუმცა რომის იმპერიაში ასეთი ბევ-
რი იყო. შეთხელებულთმიანი ადამიანის პრობ-
ლემაც იოლადა გადაჭრილი, პარიკმახერი
– ფილმის მთავარი ოსტატი – მანც ახერ-
ებს ბოლო შერჩენილი კულურის შებლამდე
გადმოქაწვას – ცნობილ რომაულ შუბლამდე,
რომლის სივიწროვეც ყოველთვის იყო სამართ-
ლის, ზნებობრიობის და დამპყრობლური სულის
სპეციფიკური ნარევის გამოხატულება.

რა უკავშირდება ასე ხაზგასმით წარმოჩე-
ნილი შუბლზე შეჭრილი თმა? ის უბრალოდ
„რომაულობას“ აღნიშვნას. აქ ძალიან აშკარად
მუშაობს ფილმის მთავარი მექანიზმი: ნიშანი.
შუბლზე შეჭრილი თმა ძალიან მეტითიდა,
ორაზოვნების გარეშე მიგვითოთებს იმაზე,
რომ ძველ რომში ვართ. ეს გარკეულობა
მთელი ფილმის მანძილზე გრძელდება: მსახ-
იობები ლაპარაკობენ, მოქმედებენ, კამათობენ
„ზოგადსაკაცობრივი“ თემებზე და შუბლზე
გადაფენილი ამ სასიგნალო აღმის წყალობით
სრულიად არ კარგავენ თავიანთ ისტორიულ
დამაჯერებლობას: ამ განზოგადებულ ტიპა-

ჟებს თავისუფლად შეუძლიათ გადალახონ ოკეანები და ასწლეულები, შეერთიონ პოლიკურის მასობრივი სცენების მონაწილე იანკების სიფათებს. ამით არაფერი შეიცვლება, მაინც ხომ ყველამ იცის, რომ რომაელები ნამდვილი რომაელები არიან თავისი მკვეთრად გამოხატული ნიშნით – შეუბლზე შექრილი თმით.

ფრანგისთვის, ვის თვალშიც ამერიკული სახე გარკვეულ ეგზოტიკურობას ინარჩუნებს, კომიკურია განგსატერებისა და შერიფებისთვის დამახასიათებელ სახეებზე რომაული შუბლზე შექრილი თმის დასხვა; მისთვის ეს მიუზიკოლის ეფექტური ტრიუკია. ჩვენთვის ეს ნიშანი უბრალოდ გადაჭარბებულია და თავისი მიზნის გამომარავებით თეთონვე ახდენს საკუთარ დისკრედიტაციას. თუმცა, იგივე შუბლზე შექრილი თმა მარლიონ ბრანდოს სახეზე, რომელიც ერთადერთია ფილმში, ვისაც ნამდვილი ლათინური წყობის სახე აქვს, სულაც არ არის სასაცილო და არ არის გამორიცხული, რომ ევროპში ამ მსახიობის ნარმატება ერთგვარდ განპირობებულია რომაული ვარცხნილობის სრული შესაბამისობით მის პერსონაჟუან. სამაგიეროდ, იულიუს კეისარი საერთოდ არ არის დამაჯერებელი თავისი მსუქანი ანგლოსაქსი ადგომატის სახით, რომელსაც არაერთგზის შეუსრულება მეორეხარისხოვანი როლი დეტექტივებსა თუ კომედიებში და ვისთვისაც პარიკმახერს რის ვაივაგლახით მოურგია შუბლზე შექრილი თმა.

თმის ნიშანთა სისტემაში ერთი ქვე-ნიშანი გვხვდება: მოულოდნელად, ლამთა გაღვიძებული პორციასა და კალპურნიას ხაზგასმით ანენილი თმები. პორცელის, უფრო ახალგაზრდას თმა თავისუფლადა გაშლილი, ასე ვთქვათ ვარცხნილობის არქონა აქ პირველა-არისხოვანია; მეორის, შედარებით ასაკოვანის სისუსტის გამოსახატვად მეტი შრომაა დახარჯული: ნაწნავი უკან კისერზე აქვს შემოვლებული და მარჯვენა მხარზე გადმოვიდნილი იმგვარად, რომ გამოიკვეთოს უწესრიგობის გამომსატველი ტრადიციული ნიშანი – ასიმეტრიულობა. მაგრამ ეს ნიშნები ერთდროულად გაზიადებულიცა და სასაცილოც: ისინი თითქოს „ბუნებრიობას“ უსვამენ ხაზს, თუმცა გულმოდგინება არ ჰყოფნით მის ბოლომდე შესანარჩუნებლად: ისინი არ არიან „გულწ-ფელი“.

ფილმის „იულიუს კეისარი“ კიდევ ერთი ნიშანი: სახეზე ყველას განუწყვეტლივ თველი სდის. მდაბიოებს, ჯარისკაცებს, შეთქმულებს, ყველას, მკაცრ და დაძაბულ სახეებზე ღვარად

ჩამოსდით ოფლი (ვაზელინის საშუალებით). ფილმში ისე ხმირია მსხვილი პლანი, რომ ეჭვგარეშეა ოფლიანობა გარკვეული განზრავითაა ნაჩვენები. როგორც რომაული შუბლზე შექრილი თმა ან ძილის წინ დაწნული თმა, ოფლიც ნიშანია. მაგრამ რისი? ზნეობის. ყველა ოფლიანობას, რადგან შინგანად ყველა საკუთარ თავს ეკამათება; იგულისხმება, რომ ჩვენ ვესწრებით ზნეობრიობის ტანჯვას, ანუ ტრაგედიას, და ოფლსაც ამის გამოხატვის დატვირთვა აქცი: ჯერ კეისარის სიკედილოთ, შემდეგ მარკეს ანტონიუსის არგუმენტებით შეძრნუნებული ხალხი იფლიანია და ამ ერთადერთი ნიშანით ეკონომიურად გამოხატავს საკუთარი განცდების ინტენსივობას და გაუთლეობას. არინა კლებ იფლიანობები კეთილშობილი ბრუტუსი, კასოუსი, კასკა, რითაც იმ საშინელ ფიზიოლოგიურ დაძაბულობას გვიჩვენებუნ, რის შემდეგაც მათი ზნეობა დანამაულში გადავა. ოფლიანობა ფიქრის ნიშანია (ეს, ცხადია, ეფუძნება საქმოსანთა წრისთვის დამახასიათებელ მტკიცებას, რომ ფიქრი მძაფრი, კატაკლიზმური მოქმედებაა, რომლის მინიმალური გამოხატულებაც არის ოფლი). მთელ ფილმში ერთადერთი ადამიანი არ იფლიანობს. მის სახე ბოლომდე მშრალი, მოღუბებული და შეუვალია: კეისარი, დანაშაულის ობიექტი, არ არის იფლიანი, რადგანაც მან არაფერი იცის, არ ანვალებს ფიქრი და ამიტომაც მის მშრალი სახე ნივთმტკიცების მეაფიო, ხაზგასმულ, განკერძობებულ ნაწილად უნდა დარჩეს.

ნიშანი აქაც ორაზროვანია: ის ზედაპირზე ჩრება და ამასთანავე არც სილმეზე ამბობს უარ: მას უნდა რაღაც გაგვაგებინოს (რაც მისასალმებელია), მაგრამ იმავდროულად, თავს სპონტანურად თვლის (რაც სიყალბენა), ის თავს აცხადებს ნინასნარგანზრახულად და გადაულახვად, ხელოვნურად და ბუნებრივად, შექმნილად და აღმოჩენილად. ამან შეიძლება ნიშნის მორალად მოგვიყვანოს. ნიშანი, ნესით, მხოლოდ ორი უკიდურესი ფორმით უნდა ჩნდებოდეს: ან ღალად ინტელექტუალური ფორმით, რომელიც თავისი განყენებულობით ალგებრამდე დადის, ჩინური თეატრის მსგავსად, სადაც ერთი დროშის გამოჩენა მთელ რაზმს აღნიშნავს; ან საგნებში ღრმად ფესვგადგმული, გარკვეული ილიდ, თავიდან გამოგონებული ფორმით, რომელმაც ყოველ ჯერზე საგნის შინაგანი და საიდუმლო სახე უნდა ნარმოაჩინოს, როგორც კონკრეტული მომენტის სიგნალი და არა (ცნების აღმიშვნელი) (ამ შემთხვევაში, მაგალითად სტანისლავსკის თეატრი გამოდგება). მაგრამ შუალედური ნიშანი (რომაული შუბლზე შექრილი თმა ან ფიქრით გამონეცვული ოფლიანობა) იმ არასრულფასოვან სანახაობას ამხელს, რომელიც ისევე გაურგის გულუბრყვილობით სიმართლეს, როგორც სრულ ხელოვნურობას. რადგან, თუ კარგია, რომ სპექტაკლი სამყაროს გასანათლებლად იქმნება, დაუშვებელი სიცრუე ნიშნისა და აღნიშნულის ერთმანეთში არევა. სწორედ ასეთი სიცრუე ახასიათებს ბურჟუაზიულ სპექტაკლს: ინტელექტუალურ ნიშანსა და შინაგან ნიშანს შორის ამ ხელოვნებას თვებლის მოსატყუებლად აქვს ერთი ჰიბრიდული ნიშანი, ერთდროულად ელიფსური და პერტუზიული, რომელსაც პომპეზურად უწოდებას „ბუნებრივს“.

ფრანგულიდან თარგმნა მარინა ბალავაძემ

გზები

ՀՅՈՒՅՆ ԱՊՇԱՌԱԿՈ

აი, როგორ მოხდა ყველაფერი: ის ერთი თვალის მოკვრით
დაინახა. შემობრუნდა, თითქოს გული გაეყინა. სრულიად წარ-
მოუდგენელი იყო ახლა მისი იქ ყოფნა მაგიდასთან, სწორედ
ამ რესტორანში, მისი ქალაქში ჩამოსვლის ღლეს, თუმცა, გული
ნაადრევად გაპყინვოდა. ისინი ხომ ორივენი ნიუ-იორქში ცხოვ-
რობდნენ, ყოველთვის ბედი უძიმოდათ და ძროლადრო ერთ-
მანეთს ხვდებოდნენ; და ეს კიდევ ერთი შეხვედრა იქნებოდა.
შემობრუნდა თუ არა, უმალევე იცნო და პირველივე სიტყვებიც
შეარჩი; წამოდგებოდა იმ მოკრძალებით, რომელიც ქალს ასე
მოსწონდა, მაგიდასთან მივიდოდა და ეტყოდა, „აჲ, ეს ხომ შენა
ხარ“.

ქალი თითქოს მობოდიშებით გაულიმებდა ოვალებდახრილი და მისთვის ჩვეული მოძრაობით მხრებს იდნავ აიჩეჩავდა, „ეს მე ვარ“.

„მოხარული ვარ. ძალიან ვწეულვარ იმაზე, რაც მოხდა — ყველაფერი გასაგები გახდებოდა და კიდევ ერთხელ პატიება ზედმეტიც იქნებოდა, რაღაც ჯადოსნური ძალით ყველაფერი ნარსულს მიებარებოდა და ეს დაქმგანებოდა ალში მოდებული ქაღალდის წრიდან თავის დაღწევას.

ეს კიდევ სხვა, არცთუ ახალგაზრდა ქალი იყო, რომლის
თმის ფერი იმ ქალისას სრულად არ ჰგავდა, მაგრამ რაღაცით
მისი ვარცხნილობა გაასხენა, თმა სწორდა ჰქონდა გაყოფებული
და უკან, ფრანგულ ყიდაზე კონტად ჰქონდა შეკრული, შუბლს
მოკლედ შეჭრილი მუქი თმის ორ ფრთა უფროავდა, რაც მის
მზერას უფრო მკვეთრს ხდიდა. მან ნეგნძო, რომ მაგიდასთან
მსხდომი კომპანიონები სუზმის დროს კითხვის ნიშნით უყუ-
რებდნენ მას, ყურადღება კვლავ მათვენ მიაპყრო და დაიძაბა
მცდელობისაგან, რათა ეს უცნობი ქალი ნაცნობ ქალად ეცეია.
ერთ-ერთმა თანამეონახემ, თავაზიანმა ჭალარა ბანკირმა, რომ-
ლის მისდამი განწყობილება გულუხვად გაცემულ ჩეკს ჰგავდა,
რაც გულისხმობდა ორმხრივ ნდობას, ცოტაოდენ დაომობს მათ
საერთო ინტერესები, გაულიმა და ამთ ხელი შეუშალა, რომ
მას რაიმე წამოეროშა ან ელიარებინა. მეორე კომპანიონი ხან-
შიშესული ქალბატონი იყო სადაზღვევო კომპანიიდან, ყოფილი
თანამშრომელი, რომლის სტატისტიკური გამჭრიახობა დაუნდო-
ბელი იყო, მანერება კი მოჩვენებითი სიმსუბურით გამოირჩეოდა.
„ჩრდილობს ვხედავ“, განუმარტა ქალს. ქალმა თავი დაუქნია,
რადგან სამივენი ურნმუნთა ცრუმორნმუნებით სწორედ
აჩრდილებზე მსჯელობდნენ. საერთო საუბრის ფარდა დაეშვა,
თუმცა, ხელისგულები ექავებოდა და თითების ორ სარკეს შორის
მომწყველეული, ხედავდა, თუ თანდათან როგორ პატარავდებოდა
ქალის მზერის ანარეცლი.

პირველად ისინი ერთმანეთს შეხვდნენ ბინაში, სადაც ევის ფილისოდენა სურათები ეკიდა და განყობილი იყო ისეთი და-

ენილი ავეჯით, რომ გეგონებიდათ, ფეხის წერე
ებზე იდგნენ. ქალი თავისი ქმრის გამონათე
ვამებს იცავდა, მას კი ალიზიანებდა, რომ ასეთი
ძლიერი სულის მქონე ქალს შეეძლო ისე აუმ-
ცირებინა თავი, რომ ასეთი უძრო სასულელ
დაეცვა. ქალმა კი ოთახის მეორე ბოლოდან,
უთუყოდ იგრძნო მისა აღშფოთება, რადგან მას
თავისი მზერა მასპყრო. ეს მზერა პირაპარი და
იმავდროულად ორჭილულიც იყო: რმდენადმე
ცივი, უდავოდ ურყევი და ამასთანავე გულილია
— თუმცა, ამ აუსხესელ მზერას სიტყვებითაც ვე
გამოხატავდა. ქალის სოცარი თვალები მის
ჭორულობა, მეტისმეტად გამხდარ ქალბიჭურ
სახეზე ერთად მშვენება იყო, სიამონების
გამოხატვის მძაფრი სურვილით აღსავს. სიცი-
ლის დროს მისა წინ გამონეული კბილები თავის
ქალის გამბშვლებულ კბილებს ჰგავდა და როცა
მზერას თქვენზე შეაჩერებდა, დიდრინი, სევდი-
ანი, უზადო მოყვანილობის თვალები ქანდა კების
გულმოდგინთ გამოკვეთილ თვალებს ემსგავს-
ალო.

မြောက်ပါနံပါတ်၊ ရုပ္ပါ မာတမာ နာ့နှစ်ပောင်
တာဒေသပါရွှေလို ဂာလိုစိုဝှက်ပါ ထူးလို၊ ქျော်
တာနာမျိုးနှစ်ပါ အိုးမျိုးမျိုး ဖြောက်ပါ မြောက်ပါတ်
ဂာမြောက်ပါတ်၊ စွဲပါ ကိုယ်ပါ ဖွောက်ပါတ် မြောက်ပါတ်
ဖြောက်ပါတ်၊ မြောက်ပါတ် ပါ အိုးမျိုးမျိုး မြောက်ပါတ်
ရုပ္ပါ မြောက်ပါတ် မြောက်ပါတ် မြောက်ပါတ် မြောက်ပါတ်
ရုပ္ပါ မြောက်ပါတ် မြောက်ပါတ် မြောက်ပါတ် မြောက်ပါတ်

„ძალიან გვაკლდით პარასკევ საღამოს“ -
თქვა ქალმა.

„მართლა? რა მოხდა პარასკევ საღამოს?“

„ԱՅԵ, ԱՐԱԴՅՈՐՈ“.

„უბრალოდ, პატარა წვეულება გვქონდა და
თქმვინ გელოფით“.

„არავის დავუპატიიუებივართ“.

„თქვენ იყავით დაპატიჟებული, თქვენს
კოლს მე დავურუეც“.

„ჩემთვის არაფერი უთქვამს. ალბა

၆၂၁။ အ.၁. မြန်မာနိုင်ငံ၏ အောက် ဖော်။

„კარგით, ამას ძირისველობა პლატილ კუპა :
სწორო რომ ადას ძალაზე იწოხებარ სიამ-

„სხორედ ორი აკვას. გალიტა კუბ-პუზი“. ამა

ხებით ძოვიდოდი. ცაკვირვებულია, რომ დაცენა „
მასა ახორციელა არა ხომ წაგულებებია“.

— “*பாலை விடுவிரும் வாய்வை நினைவு*” என்று கீழே படித்துக் கண்ணால் அதை முறையாக விடுவிரும் வாய்வை என்று கருத விரும்பும்.

„დაია . ეკლისი ცეკვისა გრაფიცა, რედგომა .
აკენ აღარ იყო მიმართული. ორ ქალს შერის-
რობა უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე ის ამის
პასა მისჯემდა.

ისევ მოგვიანებით, როცა წვეულებაზე უკვე ელანი ერთად იყენენ, მასთან წუთით განმარტებისას ქალს აკოცა, მისმა ბაგრთა პასუხმა კი შეაცდუნა. უკან დაიხა, რათა ქალის სახეზე ენახა ის სველი, გაურკვეველი სითბო, რაც

მის კოცნას უნდა გამოიწვია. ამის ნაცვლად კი ქალის დაძაბული შზერა შერჩა. თვეების განმდვლობაში თითქოსდა ორ სარკეს შორის მომწყვდეული, ჩანდა, რომ თანდათან მშვიდებოდა. ქალის სხეული კაცის სხეულის ქვეშ სიმსუბუქეს იძნდა; მოგვანებით, ერთ ლამეს, კიდევ ერთი წვეულების შემდეგ, მის გვერდით მწოლმა ცოლმა, რომელისაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რა ხდებოდა, მეტოქე ქალის ციფი, მაგრამ გულწრფელ შეფასებით შენიშნა, თუ როგორ მშვენდებოდა ის – მეორე ქალი და ნახევრად ძილ-ბურანში, თბილ, ცოლქმრულ სანოლში მყოფმა მოღალატე კაცმა თავს გამართლება მოუძებნა. იმ მეორე ქალის სიცილი დაშეული ქალისას აღარ ჰგავდა, ქალს კაცისა და ქალის საერთო საიდუმლოებით სავსე თვალები უფრო ჩაულრმავდა და ისეთივე ბავშვური გახდა, როგორც მისი სახის სხვა ნაკვთები. როდესაც კაცი ოთხის მეორე ბოლოდნ უუცურებდა და ხედავდა რა, მის მიერებულ შექმნილ მშვენებას, შემოქმედის და მამობრივ სიამაყეს გრძნობდა.

ერთად ყოფნისას მათ შორის ბავშვური სინაზის აჩრდილი ჩნდებოდა, რომელიც მათი განშორებისას თითქოს დასაძინებლად მიჰყავდათ. უკვე იმ თვეებში, თითქოსდა იდუმალ, ინტიმურ დილეგში მომწყვდეულები, ერთად წოლისას, იდუმალი საბურველის ქვეშ მსჯელობდნენ იმ მოახლოებული საშიშროების შესახებ, თუ რას მოიმოქმედებდნენ, როცა მათი საიდუმლოება დაიმსხვრეოდა და გამიშუავნდებოდა. კაცი დროდადრო ქალის თვალებში იჭრდა სევდითა და ცრემლით შერბილებული საყვედურის სიმიეს, მაგრამ ეს საყვედური სულ სხვა იყო; სინდიდის კაცს წებას არ აძლევდა, სიტყვებით გამოხეატა ის დადანაშაულება, რასაც ეს საყვედური ნიშანავდა და როგორც შემდგომი გაირკვა, ის უძლეური იყო რამდენამდე შეემსუბუქებინა. სანამ კარს მიხურავდა, ყოველი განმორების წინ ქალი ყოველთვის ახერხებდა მისთვის იმ მზერით შეხედა, რომელიც კაცს გაბზარული ბროლის ხმასავით თან სდევდა.

ბოლო ნახვისას მთელი ალერსიანი თვეების სიფრთხილე გამოიშვარავდა და ქალის გაშიშვლებულ მზერაში მძეინვარება ჩადგა. „აღარ გიყვარავ?“ ორი ოჯახი ინგრეოდა და იმ ღრმა ინსტიქტიდან, რომელიც კაცს ქალისაკენ იზიდავდა, დარჩა მხოლოდ დამალვისა და მუდარის საჭიროება.

„არც იმდენად“. ამით კაცს სურდა, ყველაფერი ნათელი გაეხადა. მაგრამ ეს ქალისთვის სასიკვდილო დარტყმა იყო და მის გაფითრებულ, ბოლო დღეებისგან შოკირებულ სახეზე, მუქი, შავი ფრთებივით ჩამოვარცხნილი თმების

ქვეშ, მისი თვალების მზერა ისეთივე ციფი და მტრული გახდა, რომ ყოველთვის, როცა კაცი თვალს სუჭავდა, ეს მზერა თვალწინ წარმოუდგებოდა ხოლმე, როგორც გავარვარებული რეინა, რომლითაც ტანჯულ მსხვერპლს თვალები დაუბრმავდა.

და აი, ახლა, ისევ ნიუ-იორქში, ის მარტო მიაბიჯებდა ქვაფენილზე, დანაყრებული და შედეგიანი სუბრით კმაყოფილი. თავს ისე გრძნობდა, თითქოს განკურნებულს ჭრილობამ თავი შეხსენა. ყოველი მხრიდან ქალაქის ჩირალდნებში იკვეთებოდნენ სხვადასხვა მიმდებარე ქუჩები. ყოველი შემხვედრი სახე, რომელიც მისი მხედვებლების არეში მკრთალ ლაქასავით ჩნდებოდა, იმ ქალის სახეს ახსენებდა. კაცი გრძნობდა, რომ ქალი მას ეძებდა: სად დაუწყებს ძებნას? მას ხომ ახასიათებს ქუჩებში უბრალოდ სიარული, გაღმიერა და შეხვედრის იმედის ქონა. კაცს წინათვრნობად დაუჯლა... და აი, მართლაც, ქალი მისკენ ზურგით დგას შუქნიშნის წინ 43-ე ქუჩის გადასასვლელზე ორ პუერტორიკელ შიკრიკთან ერთად. ქალის ცნობა უმაღ შეიძლება მოულოდნელად უკან გადაჭეული თავით, ყმანვილქალური, ამონეული დანვებით და უკან სქლად შეკრული, ბზინვარე, ისე მაგრად მოჭიმული თმით, რომ მას ყოველთვის ეჩვენებოდა, თმის სარტყები აღბათ ტკივილს აყვენებონ. კაცი მიუახლოვდა და მორიდებით გვერდით დაუდგა, რომ მოულოდნელობით ქალი გაეოცებინა, ის კი დანაოგებული, შედებილი ქალი აღმოჩნდა, ქვემოთ ჩამონეული ტუჩით. კაცმა მიმოხედა და თავის თვალებს არ დაუჯერა. ქალის მზერა კი მონერნისტული ბანკის ფასადს მიღმა გაუჩინარდა. კაცმა ქუჩა გადაჭრა, შეიხედა ბანკში, თუმცა ვერავინ დაინახა, ვერცერთი წაცნობა სახე – მხოლოდ რამდენიმე, ქოთნის ტრიალიკული მცენარე, რომელიც ბუნდოვნად ეუცხაურა.

სამუშაოს დაუბრუნდა. შევბულების დროს კომპანანი მივლინებაში მყოფი თანამშრომლის კაბინეტი დაუთომ. მაგრამ საქმეს მხოლოდ დროდაღრო უდებდა გულს და ყოველი წუთის გასეღლასას ეჩვენებოდა, რომ აი, ახლა, ქალი გამოწინდებოდა. როცა მის მაგიდაზე ტელეფონმა დარცეკა, მოელოდა, რომ მორიგე აუწყებდა, ვილაც განერვილებული ქალი, უჩვეულო თვალებით გეითხულობოთო. როდესაც კაცი დერეფაზი გავიდა, ვილაცის მდივანნა ქალმა, რომელმაც წამით მოშორებით გაიელვა, იმ ქალს ისე ჰგავდა, რომ სული შეხეუთა. ის იმ დათმობილ კაბინეტში დაბრუნდა და გაოცდა, რომ ქალი იქ არ მოელოდა და კედლებზე გულგრილად შეათვალიერა ბაგშევების გაყვითლებული ნასატები. ულიმაბლო სადამომ კედლებზე ჩრდილები მოავინა, ფანჯრებს მიღმა ცათამბჯენები შეღამების შეუზე აელვარდენ. ლიფტით დაეშვა, გრილ, დაბაზულ, ხალხმრავალ ქუჩაში აღმოჩნდა და მადლიერი დარჩა ქალის გადაწყვეტილებით; ეს მისთვის დამახასათებელი იყო, მოეცად, სანამ კაცის სამუშაო დღე დამთავრდებოდა, ერთად ყოველთვის მზრუნველი ცოლის როლს თამაშობდა, მაგრამ ახლა მისი დამალვა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა, მათ შეეძლოთ სუფთა სინდისით სავახშობდა წასულიყვნენ, თავისი საფულე შეამონება, ჰქონდა თუ არა საკარისი ფული. გადაწყვეტია, რომ სპექტაკლზე არ წაიყვანდა, თუმცა, ქალი ამას შესთავაზებდა. ქალს სცენა უყვარდა. მაგრამ ერთად ყოფნის ძალიან ცოტა დრო ჰქონდათ, რათა დრო რამი სხვაზე დაეხადა.

იმ ძეველ ოტელში დაიქირავა ოთახი, სადაც ყოველთვის ჩერდებოდნენ. და ისევ გაოცებული დარჩა, რომ ქალი არ

ელოდებოდა ვესტიბიულში, სადაც მხიარული ხალხის თავყრილობა იყო და სიცილის ხორბო-ცი იდგა. ჩარლზ ბოიერი ლიფტს ელოდა. ქალს მოქნობოდა პორტიეს წინ სკამზე ჯდომა და ყოველი ამის თვალყურის დენები ფეხიფეხზე გადადებული, თითქოს პარს რომ აპობდა მაღალი ქუსლით და ცვეტიანი ცხვირით. კაცმა პორტიესთვის მთელი ისტორიაც კი გამოიგონა; ეს მისი ცოლია (ხელა დაუწია, წარბეპი ასწია, განითლდა, რაც შეუფერებელი იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში გამოიგებოდნა), წაიჩნებეს და, იმ-ჟულსურად, ქალი ნიუ-იორკში გაცყავა შესარიგებლად. ეს წესა არ ემორჩილებოდა, მაგრამ რას იზმზო, ხომ იცით, ქალების ამბავი... ასე რომ, ხომ არ გადაგვეცვალა ერთადგილიანი წომერი ორიანზე? გმადლობთ.

ეს პატარა სპექტაკლი თავში ისე ჩაეტეჭდა, რომ ბარბიც კი არ შეიხედა, მთავარი როლის შემსრულებელი ქალი სადმე, კულისებრი ხომ არ არის ფიტ? ბარი ცისფრად იყო განათებული და საზოგადოებაც ძირითადად ცისფერი იყო. ხმაბალალი, ხელოვნურად თვალშისაცემი ხმები ისმიდა, რომლებიც მგზნებარედ აკრიტიკებდნენ მუსიკალურ კომედია და კაცს გაახსენდა, რომ ერთხელ, როდესაც მათდამი სიძულვილი გამოხატა, ქალი სერიოზულად შეეპასუხა, ასეთები ჩვეულებრივი ხალხია, რომლებიც ხანდახან მასაც იზიდავენ, მაგრამ აქ ქალს მზერა გაუმარტიდა და დასძინა, მათ თავს ვერ გავუყარებო, „ბებრუხანა მეტისმეტად გაშიშვლებულია“, – თქვა ერთ-ერთმა იქ მყოფთაგანმა გამყინვავი ხმით, როდესაც ცნობილ მსახიობ ქალზე მსჯელობდნენ.

კაცი ლიფტით ავიდა და თავის წომერში შევიდა. წომერი კი ისეთივე იყო, რომელშიც ორი ჩერდებოდნენ ხოლმე. მთლად ისეთივე არა. გათბობა იყო ერთნაირი, მხოლოდ რადიატორები სხვადასხვა ადგილებზე იდგა. პერანგი და ჰალსტუხი გამოიცავალა, ზურგს უკან საკეში რალაც მომრგვალო მოძრაობა აირეკლა, მაგრამ ეს მხოლოდ ნელა მოხურული კარი იყო. სუნთქვაშეკრული, ცარიელი ოთახიდან ქუაში გავარდა და ქალს ნახეის უხილავი შესაძლებლობისაგან შვებით ამოისუნთქა. სავახშმიდ იმ რესტორანში მოვიდა, სადაც ქალს წაიყვანდა. ოფიციანთმა სწრაფად მოუქებნა მარტომყოფ კაცს ადგილი. გვერდით მაგიდასთონ ზევილი იჯდა, ქალმა საყურე ქალისოფლის დამახასათათებელი მოძრაობით შეისწორა; იმ ქალს კი ყურები გახვრეტილი არ ჰქონდა და მისი უმწიველობა გულს უჩუყებდა. ყავაზე უარი თქვა. დამდეგ დაბეჭდის ისლი ისედაც არ გაეკარებოდა.

ქუჩაში გავიდა, უნდოდა დალლილიყო. ბროდვეიზე წევ ვილები ირეოდნენ – მეზღვაურები თავიანთ სატრიტოებთან, ხოლო სუტენიორები მექავებთან ერთად, გაზაფხულზე ქალი მაცხოვრებლებს ხომ სისხლი უჩქეფთ. გარე უკანები, ისე ეს მიყრუებული იყო, როგორც საძილე ვაგონების გასასვლელები, რომლებიც წინ მისამრავიან დაგარგული პერსპექტივის აღსადგენად. აღბათ ქალი კაცს ძეგნას მეზუთ ავნიუზე დაუნებებდა, მაღაზიების ვიტრინების დათვალიერების მისთვის ჩვეული ინსტიქტით. შორიდან, როკულერის ცენტრის მახლობლად ქალის სილუეტი შეამნია, მიახლოებისას, წამიერად ქალის დანვის კონტური იცნო, მაგრამ აქვე ყველაფერი პარში გაიფანტა და დარჩა მხოლოდ ის, მისთვის უცნობი ტლანქი სახე, რომლისთვის მას არასოდეს უკოცნა და არც მისი შებრუნებული და მშვიდე მძინარე სახე შეუთვალიერებია. ერთი-ორჯერი ჭიშკრის თალს მიღმა კიდევ ხედავდა მათი სინაზის მოჩერენბით პირზომა, რომელსაც „პრომეტეს“ შადრევანთან სკამზე მიყუშული ეწინა. მაგრამ კაცს არასოდეს შეუგვრძნია ქალის არომატული მკვრივი სხეულის სიმსუბუქე თავის მკერდზე. საკიორველი იყო, რომ ამდენ სხესთა სიმრავლეში იმ ქალის არცერთი არ იყო. არადა, ისე ჩანდა, რომ უცხო ხალხის საგამო რაოდნენბაში, ჯამში, შეიძლება გამოკვეთილიყო მისა სახე – ისევე როგორც მანქის დიდი მასიდან რადიუმი. ქალი კაცთან თავშეკავებული არასოდეს ყოფილა. ეს აუტანელი არყოფნის ტაქტი მისთვის ხომ ჩვეული არ იყო.

მთვარე უშურეველად მატებდა სიკაშეს უყინულოდ დარჩენილ საციგურაო მოედანს. სახეები, გრძნობდნენ რა, რომ კაცი ვიღაცას ექცებდა, მისკენ ტრიალდებოდნენ. კაცს კი ყოველი ნამი ვიღაცას ექცებდა, მისკენ ტრიალდებოდნენ. კაცს კი ყოველი ნამი უიმისიდ ტკივილს აყენებდა და სიცარიელეს გრძნობდა, მას ხომ ისე ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი მასთან შეხვედრა: ქალი თვალებს მიანათებდა და, როგორც ყოველთვის, უნბურად გაუცინდებდა, ისევე, როგორც მაშინ, როცა რამე სერიოზული, ან, თუნდაც, სახიფათო შეემთხვევოდა; ქალის მზერას მისი სხეულიც აჰევებოდა და კაცის სიახლოევე გაფანტაგდა სიმძიმესა და თავშეკავებულ სიცივეს. და... კიდევ რა? და დასაწყისში რა იყო ის, რაც ბოლოს, მიუხედავდა მტანჯველი გულის ცემისა, კიდევ უფრო გაძლიერდა როგორც ბუნდოვანი წინასწარმეტყველება, რომელიც ტირანულ ძალაულებას იკრებს, თუკი აღსრულდა? რა იყო ის, რასაც სხელი ვერ დაარქვა, – აღბათ იმიტომ, რომ პატივმოყვარეობა ნებას არ აძლევდა, რომ მის იდუმალ ტკივილს კიდევ ვინმე შეენუხებიან?

თითქოს უკვე საკმაოდ დაიღალა, ყოველ შემთხვევაში, ფეხები დაუტემიდა, ეს კი კარგის ნიშანი იყო. სასტუმროში დაბრუნდა. გესტიბიულში ზემიმ დაემთავრებინათ. არცერთი ცნობადი სახე იქ აღარ იყო. რამდენიმე კარგად ჩაცმული ახალგზრდა ქალი, საზოგადოებრივ ადგილებში რომ უხვად ჰყვავინ და ჭენებიან, აქა-იქ ისევ იდგა, თაყვანისმცემლის ან ლიფტის მოლოდნები; როცა ლიფტის ღილაკს ხელს აქერდა, რაც თავისთავად ცხადია, ფუჭი შრომა იყო, მისი მხედველობის არეში უცბად გამოჩნდა სახე. კაცმა თავი მკევთრად მიაბრუნა და თითქმის ხმამალა თქვა, „ნუ გეშინია, რა თქმა უნდა, მე შენ მიყვარხარ“.

ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან თუხარელმა

6 არტი

პეჩარი პოზის ჰეთიროგენული სახეობი და მასზე შეუვარეპული თითზე ჩამოსათვლელი იღიორთის

გიორგი გაგოშიძე

სულეირთა, როგორიც არ უნდა გეჩვენებოდეთ ის, ხელოვნება ბებერი მეძავია, იაფფასიანი სუნამოთი გაულენ-თილი, ჭარბნონიანი, დიდუქულებიანი, ღრმა დეკოლტეანი, რომელიც დახლზე ცეკვავს, როგორც კამიუს ერთ-ერთი პერსონაჟი ქალი.

მაშინ რა არის ის, რაც ჩვენ წიგნებიდან ლამაზ თვალებს გვიფახულებს, თაგტრის დაბალ განათებაზე თავისი ჭრელი კაბებით თავპრეს გვახვევს ან ეკარებზე ფორერვერკივით ცოდნიმებს? ესეც ხელოვნებაა, ოლონდ ნამდვილის ვიზუალური ანაგრამა. სინამდვილეში ის, ბებერი ბოზი, ამ გამოსახულების უკან განთავსებული იდეაა, მაკიუთ, მოდური კაბებით და ახალგაზრდობის ელექტრიზაციით გაჭყეპილი შელამაზებული რეალობა. ხელოვნება უფრო მოხუცა, ვიდრე საკუთარი პროფესია, ის მშინაც ბებერი იყო, როცა გილგამეში უკადავების ცვალილის საძენად გაგზავნა, როცა ძველ ეგვიპტეში ფალონის ქანდაკებებს ათლევინებდა, როცა აპოლონის და დიონისეს კულტი გამიჯნა, როცა ვან გოგს სიფილის აპილა, როცა პარიზული ბოჰემა ნამოინყო და მაშინაც, როცა ფრონდის შთაგონა, რომ ხანდახან სიგარა მხოლოდ სიგარაა. არადა, მან ხომ იცოდა, რომ სიგარა ყოველთვის მეტაფორაა. მეოცე საუკუნეში ის ისეთი გადალძუებული ბებერი იყო, რომ არცერთი მამაკაცი ზედ არ შეხედავდა, რომ არა ის უდიდესი შარმი, რაც ის სინამდვილეში არის და რაც მას, როგორც იდეას, საუკუნების მანძილზე ემატებოდა. უკანასკნელ დეკადებში ზოგმა არტისტმა ბებერ შეძავს მაკიუთი მოაცალა, მოდური სამოსი გახადა, და შეეცადა, ასე შიშველი, მახინჯი აღექვათ. ეს იყო ხელოვნების ალბათ ცველაზე ნამდვილი გამოვლინება, რომელსაც დადა, ფუტურიზმი და პოსტმოდერნი ქადაგებდა. ეს მიმდინარეობები ფოკუსირებას აკეთებდნენ იდეაზე, როგორც ხორციელი სიმახინჯის, სიძის,

ვის, ლპობის, დესტრუქციის უკან არსებულ ნამდვილ სილამაზეზე. ეს ძალიან რთული დასანახი და ასახსნელია, ამას მხოლოდ ერთეულები ახერხებენ. დანარჩენები კი ბებერ ბოზს აფურთხებენ, თუმცა, იყვნენ არტისტები, რომლებმაც ხელოვნების ვიზუალური მხარე, ანუ სიძვაში ფულის აღება კომერციად აქციეს, სუტენიორებად იქცნენ და კარგი ფულიც გააკეთეს. ასეთი იყო, მაგალითად, ენდი უორჰოლი, რომელმაც თავისი „ფაქტორი“ ლამის ბორდელად აქცია და ამ დაღვრილი ოფლით ამერიკული ბომბონდის ცენტრალურ ფიგურად იქცა. მაგრამ უფრო საინტერესონი არიან ადამიანები, რომლებსაც შეუყვარდათ ბებერი ბოზი. ეს არის მცირერიცხოვნი, ექსცენტრული ჯგუფი ხელოვანების, რომლებიც მზად არიან, მთელი თავისი ქონება მცირეოდნი ყურადღების სანაცვლოდ დაახარჯონ ბებერ შეძაგა.

ხელოვნებასთან სექსი იაფია, ის შეგიძლიათ, წიგნების მაღაზიაში იყიდოთ (შეგახსენებთ, რომ ჩვენ იდეის ვიზუალიზაციაზე ვლაპარაკობთ), მაგალითად, კაფეს „პროცესი“... და ასე იაფად ის თქვენ ლოგინში ჩაგინებათ, ისევე, როგორც სხვა ათასობით მკითხველს, ან ბილეთის საფასურად ნარმოდგენის ყურებისას შეგიძლიათ, მასთან გქონდეთ ორალური სექსი. საფასურში შედის წებისმიერი პერსონაჟის სრული მომსახურება. საკუთარ ნარმოსახვაში შეგიძლიათ მადამ ბოვართან ინებივრით, ესმერალდას ძუძუები დაუკოცნოთ, სანამ კვაზიმოდი ზა-

რების უკან იცრემლება, ანა კარერინა მათ-რახით ცემოთ ან ნაფნაფის ქოხი დანაღმოთ. ეს ძალიან მარტივია, მაგრამ საკმარისია, თქვენ შეგიყვარდეთ არა ვიზუალი, არამედ კულისებში არსებული იდეა-ხელოვნება და დაიწყოთ მასზე ოცნება, გაგიჩნდეთ სურვილი, რომ ის თქვენთან სიყვარულით დაწვეს ისე, როგორც ჰომეროსთან, ეგონ შილესთან და ალბათ კიდევ რამოდენიმე თითზე ჩამოსათვლელ ადამიანთან, ეს ნარმოუდგენლად რთული ხდება. მეძავის სიყვარული ჭეშმარიტი გრძნობაა, ის არ იყიდება, მას იმდენი პარტნიორი ჰყავს გამოცვლილი, ისე დაცლილია ვნებისგან, ძნელად თუ გააკირვებთ რამით. რთულია, მას თავი შეაყვაროთ, მაგრამ თუ ეს მოხდა, ეს ნამდვილი გრძნობა იქნება.

თუ მან სიყვარულით „მოცათ“, ეს ნიშნავს რომ ის გაძლევთ ნიჭს, რომ თქვენი ხელებით, ტუჩებით, ყურებით მოისმინოთ, იმღროოთ, გამოთქვათ, დახატოთ, იგრძნოთ, თუ რა არის სინამდვილები ხელოვნება. ეს გრძელი, ნარმოუდგენლი ირგაზმია, რომელზეც თაობები ილაპარაკებენ, რომელსაც მილიონები განიცდიან. განა ეს არ ლირს ბებერი ბოზის შეცდენა?

ჰეთითხეთ მოცარტს, თუ ბგერებში ვერ ხვდებით, გამოიძახეთ მისი სული, მას შეუძლია პიკანტური დეტალების მოყოლა, მაგრამ ასეთი ცოტაა, ბებერ მეძავს ამდენი საუკუნის მანძილზე მხოლოდ ერთულები უყვარდა. როგორ, რანაირად არჩევდა მათ, ეს არავინ იცის.


თუმცა, ჩვენ ვგაეს სიამოვნება მასზე ოცნების და ფიქრის. ასე, მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ ის ნარმოიდგინოთ ლამაზ გოგოდ, რომელიც ოკეანის წინ ზის, ძალიან გრძელი თმა აქვს, თქვენ შორიდან უახლოვდებით, მის თმებს მიჰყვებით, რაც უფრო მცირდება მანძილი, მით უფრო იკვეთება მისი ახალგაზრდა, ფორმებიანი სხეული.

უფრო ახლოს მიდიხართ, ის თქვენ გიყურებთ, ამ თვალების ფერი არ არსებობს ბუნებაში, ეს მხოლოდ თქვენს ნარმოსახვაშია, ეს მშვენიერია, ის თქვენთვის ზის ნაპირზე, გელოდებათ, ის მხოლოდ თქვენზე ფიქრობს, მის სამყაროში თქვენ არ გყავთ კონკურენტები. როცა ეხებით, მისი ტუჩები იხლიჩებიან, როგორც ბირთვი ატომური აფეთქებისას. კოცნისას თქვენ მთელი რადიაცია ტანსაცმელზე გესხმებათ. ეს ყველაფერი ვიზუალია. რაც შეეხება შიგთავს - ჩვენი კარგად ნაც-

ნობი ბებერი ბოზი ხელოვნებაა. ეს ის დეტალია, რაც მთელ ამ სურათს აძლევს იდეას, შარმს, რომელიც პულს გვიჩირებს და რიგ შემთხვევებში დორბლებსაც გვაყრენენებს.

ჩვენ ვფიქრობთ გოგოზე, მაგრამ მის უკან ჰეცნობიერიც ფიქრობს ბებერ მეძაგზე. (ალბათ ჩვენი ჰეცნობიერიც უფრო კომპლექსური გემოვნების გადმონაშთია). მეძავის თეორია თანხვედრაშია ყველა არსებულ თეორიასთან – დაწყებული ჰეგელის თეზისი-ანტითეზისიდან, დამთავრებული მატერია-ანტიმატერიის ალმოჩნიით. ეს გენიალური ჯაჭვია, შეგიძლიათ, თავი მოიტყუოთ და ათას ლამაზ გოგოს სდიოთ, ან, როგორც ამას ჭეშმარიტი დონ უუანები, ხელოვანები აკეთებენ, ეჩლიჩით პირდაპირ ბებერ ბოზს, რომელსაც შეუძლია, მილიონნაირ ჰეტეროგენულ ფორმად იქცეს თქვენს ნარმოსახვაში.

ერთი რამე უტყუარია, ხელოვნების დამორჩილებას უფრო მეტი ვნება სქიოდება, ვიდრე დიდი ჰარემის დაკმაყოფილებას. როგორც დასახურისში აღვნიშნე, ხელოვნება კამიუს აპოლოგეტური პატარა მოთხრობის მსუბან, დიდძებებიან მეძავს წააგავს, რომელიც დახლზე ცეკვავს და მიუხედავად მისი ამაზრზენობისა, ის ყველაზე სასურველი ქალია ბარში მყოფი მოვრალი საზოგადოებისთვის.



კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და მწერალთა სახლის ლიტერატურული პრემია



ლიტერატურული პროცესების წახალისებისა და გააქტიურების მიზნით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და მწერალთა სახლის მიერ დაარსდა ყოველწლიური ლიტერატურული პრემია, რომელიც ხუთ წომინაციაში გაიცემა:

- წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები (კრებული/რომანი)
- წლის საუკეთესო პოეტური კრებული
- წლის საუკეთესო საბაგშვი წიგნი
- წლის საუკეთესო წიგნის დიზაინი
- წლის საუკეთესო დებიუტი

თითო წომინაციაში გამარჯვებულს გადაეცემა ფულადი პრემია 4000 ლარის ოდენობით.

ლიტერატურული პრემიის საკონკურსოდ განიხილება 2015 წელს წიგნად/ელექტრონულ წიგნად ქართულ ენაზე გამოცემული ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები;

პრემიაზე წარდგენილი წიგნი უნდა იყოს ტექსტის პირველი გამოცემა;

წიგნის კონკურსზე წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ გამომცემლის მიერ;

გამომცემლობებმა თითოეულ წომინაციაში შეიძლება წარადგინონ არაუმეტეს ხუთი წიგნისა.

კონკურსის შედეგებს აფასებს მწერალთა სახლის მიერ შერჩეული კონფიდენციალური ჟურნალის მწერლები და ლიტერატორები, რომელთა ნაწარმოებიც ამ წელს საკონკურსოდ არ განიხილება; გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება ფარული კენჭისყრით.

განაცხადის შემოტანის ბოლო გადაა 2015 წლის 25 დეკემბერი.

მოვლე სიას შეირი 2016 წლის მარტის ბოლოს წარადგენს.

კონკურსის გამარჯვებულები კი 2016 წლის მაისში, საბეიტო დაჯილდოების ცერემონიალზე გამოვლინდებიან.

გამომცემლობებმა კონკურსში მონაწილეობისთვის მწერალთა სახლის მისამართზე (მაჩაბლის ქ. 13) უნდა წარმოადგინონ:

- განაცხადი საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით, მწერალთა სახლის დირექტორის, ნატალია ლომოურის სახელზე;
- საკონკურსოდ შერჩეული წიგნები (3 ეგზემპლარად);
ელექტრონული წიგნების წარსადგენად განცხადება, ინფორმაცია და წიგნის ბმული მოგვაწოდეთ ელ. ფოსტაზე info@writershouse.ge;

დამატებითი შეკითხვებისთვის დაგვიკავშირდით info@writershouse.ge

ტელ: +995 32 297 41 01; 297 41 02

შურნალი „ახალი საუნავ“ 2015 წლის ბოლომდე შეგიძლიათ გამოიწვით ელვა.GE-ზე

თითო ნომრის ფასი - 2 ლარი

მის.: ქ.თბილისი, იოსებიძის ქ.49

elva@elva.ge

ტელ.: (+995 55 32) 2-38-26-74; 2-38-26-73;

2-38-26-76; (+995 55 32) 38-08-774



საცავ

სამხატვა

NEW

0134-9848
NSNI 00 134-9848
9 770134 984002

